დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM
# ასავალ-დასავალი
2024 წლის
26 თებერვალი - 3 მარტი
N10 1528
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# ქვეყანა ამათ ხელში არ უნდა ჩავარდეს!




სააკაშვილის აჩრდილები მომავალ მთავრობაში ადგილებს ინაწილებენ!



## მერაბ კოსტავას მეუღლის უცნობი დღიურები

გათხოვებიდან ორი კვირის შემდეგ
უკვე ვიცოდი, რომ ძალიან უბედური
ვიყავი. მერაბის ეჭვიანობა, რომელიც
გათხოვებამდე სიყვარულის დასტურად
მიმაჩნდა და მომწონდა კიდეც,
რეალობაში საშინელება აღმოჩნდა!



24-28



დედაჩემს მერაბი
სიცოცხლის ბოლომდე დიდ
პატივს სცემდა და საშინლად
არ უნდოდა, გაეგო,
რა ხდებოდა ჩვენ შორის!

# გუშინ თბილისში წითლები შემოვიდნენ! 15





«საქართველოს ბედი რუსეთის, ამერიკისა და ჩინეთის მოლაპარაკების დროს გადაწყდება, რომელიც წელს აუცილებლად გაიმართება!» 12-13

„ჩადით მოსკოვში პუტინთან და ჰკითხეთ — რას ერჩის რუსეთი ქართულ ეკლესიებს აფხაზეთში?“

20 „არსებობს 2025-2028 წლების პანდემიის გეგმა და ვირუსსაც უკვე სახელი აქვს შერქმეული!“



„ეს იქნება გლობალური მედია-პროექტი, გაცილებით მძაფრი, ვიდრე გახლდათ კოვიდისტერია!“

*ყველას კარგად გვემახსოვრებათ ახალგაპრეზიდენტებული მიხეილ სააკაშვილის ცნობილი გამოსვლა საქართველოს პარლამენტში, როცა მან ნაცრეჟიმის მთელი რეპრესიული პოლიტიკა და სამოქმედო გეგმა ერთი ფრაზით გაახმიანა — „ნულოვანი ტოლერანტობა, ყველანი ციხეში!“*

# ნაცოპოზიციის ჩრდილოვანი კაბინეტი ქართულ სახელმწიფოს საბოლოოდ დაასამარებს!

სააკაშვილისეულ **„ნულოვან ტოლერანტობას“** საქართველოსათვის სისხლის, ცხედრების, წამების, გაუპატიურების, მასობრივი ტერორისა და შიშიანობის მეტი არაფერი მოუტანია, ახლა კი ქართველ ხალხს სააკაშვილისა და მისი ნაცბანდის მხრიდან **„ჩრდილოვანი ტოლერანტობა“** ემუქრება.

საქმე ის არის, რომ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის მიერ ექსკლუზიურად მოპოვებული და გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საპარლამენტო არჩევნებამდე 8 თვით ადრე ნაცოპოზიციაში ე.წ. **ჩრდილოვანი კაბინეტი** დააკომპლექტეს, ანუ საქართველოს მომავალ მთავრობაში მინისტრების სავარძლები დაინაწილეს.

გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, **ოპოზიციის ჩრდილოვანი კაბინეტი,** ძირითადად, სამი პოლიტიკური ძალის — **ნაციონალური მოძრაობის, მამუკა ხაზარაძის პარტია „ლელოსა“ და გიორგი გახარიას პარტია „საქართველოსთვის“** წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული.

ვიდრე კონკრეტულად ჩამოვასახელებდეთ, რომელ ოპოზიციონერს რომელი თანამდებობა ეზმანება საქართველოს მომავალ მთავრობაში, ჯერ ის ვთქვათ, რას ნიშნავს და რას გულისხმობს ე.წ. **ჩრდილოვანი კაბინეტი...** როგორც პოლიტიკურ და სოციალურ ტერმინთა ლექსიკონი განმარტავს, **ჩრდილოვანი კაბინეტი** არის ალტერნატიული მთავრობა, რომელსაც ოპოზიციური პოლიტიკური ძალები არსებული მთავრობის საპირწონედ ქმნიან. **ჩრდილოვან კაბინეტში** რეალური მთავრობის ყოველ მინისტრს თავისი ალტერნატივა ჰყავს და თუ ოპოზიცია ხელისუფლებაში მოვა, **ჩრდილოვანი კაბინეტი** ლეგიტიმურ მთავრობად გადაიქცევა.

„რუსთავი-2“-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, **ნაცოპოზიციის ჩრდილოვან კაბინეტში** თანამდებობები ასეა განაწილებული:

პრემიერ-მინისტრი იქნება სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის ერთ-ერთი დედაბოძის — **ზურაბ ადეიშვილის ყოფილი მოადგილე გიორგი, იგივე ჭიჭე ვაშაძე,** რომელსაც დიდი ხანია, პირდაპირ სახეზე გამოაყარა მისმა სანუკვარმა და ეგზისტენციურმა ოცნებამ იმაზე, რომ ოდესმე საქართველოს მთავრობის მეთაური გახდეს.

**შინაგან საქმეთა მინისტრი** იქნება **დიმიტრი შაშკინი,** რომელიც სააკაშვილის რეჟიმის დროს, სხვადასხვა ეტაპზე, სასჯელაღსრულების, განათლებისა და თავდაცვის სამინისტროებს ხელმძღვანელობდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ციხეებში სისტემური წამების დანერგვაში, განათლების სისტემის ნგრევასა და თავდაცვის უწყების პოლიტიზებაში საკუთარი წვლილი აქვს შეტანილი. **ისიც კარგად გვახსოვს, განათლების მინისტრი შაშკინი ნაცრეჟიმისადმი არალოიალურ საჯარო სკოლების დირექტორებს როგორ ემუქრებოდა — თქვენს სისხლს დავლევო** და როგორ ესტუმრა ზუგდიდის მეოთხე საჯარო სკოლას, რათა პირადად გამოეცხადებინა სოლიდარობა ბრიტანეთიდან ჩამოყვანილი ინგლისურის მასწავლებლის — **თომას ფლეთჩერისათვის,** რომელსაც პირში ხელოვნური ფალოსი ჰქონდა გარჭობილი.

**სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის** უფროსი იქნება **ნიკა გვარამია,** რომელიც სააკაშვილის რეჟიმის დროს ჯერ გენერალური პროკურორის მოადგილე იყო, მერე — იუსტიციის მინისტრი, მერე — განათლების მინისტრი, მერე — ნაცრეჟიმის მიერ მიტაცებული „რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორი, სულ ბოლოს კი, როცა ნაცმოძრაობის პარტიული ტელეკანალიზაცია „მთავარი არხის“ შეფი გახლდათ, ქართველებს პირდაპირი ეთერიდან უყვიროდა — ჩაგიფსით მაგ თქვენ ღვინოსა და „ბორჯომში“!

**თავდაცვის მინისტრი** იქნება **თინა ხიდაშელი,** რომელსაც ეს თანამდებობა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაშიც ეკავა, ახლა კი არასამთავრობო ორგანიზაციას ხელმძღვანელობს, ტაივანიდან ფინანსდება და ანტიჩინური კამპანიით არის დაკავებული, რათა საქართველოსა და ჩინეთის სტრატე-







გიორგი ვაშაძე, დიმიტრი შაშკინი, ნიკა გვარამია, თინა ხიდაშელი, ნინო ლომჯარია

**ნაცოპოზიციის ჩრდილოვანი კაბინეტის შემადგენლობაში მსჯავრდებული ნაცბელადი მიხეილ სააკაშვილი არცერთ თანამდებობას არ იკავებს, მაგრამ იგი ყველა თანამდებობასა და ყველა მინისტრში იგულისხმება!**



## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



2030 წლისთვის **ჩვენ ყველა კანდიდატ ქვეყანაზე მეტად ვიქნებით მზად** იმისთვის, რომ **გავხდეთ ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი.**

„იმედინიუსი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



**ხაზარაძე არაფრით განსხვავდება იმ რადიკალებისგან,** რომლებიც დღეს პოლიტიკურ ველზე წარმოადგენენ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებს — სახელები ჰქვიათ სხვადასხვა, თუმცა, **რეალობაში ყველანი მიშას შვილები არიან.**

„იმედინიუსი“

**კახა კახიშვილი**
*პარლამენტარი*



ქვეყნის **პრეზიდენტი** რომ ხარ, თუ რამის გაკეთება გინდა, აქ გააკეთე. **რა სარგებელი უნდა ნახო, რომ წახვიდე და საფრანგეთის ან რომელიმე ქვეყნის წინაშე გალანძღო შენი ქვეყანა.** არ ვიცი, გაიზიარებს თუ არა **რადოსლავ სიკორსკის** მოწოდებას **სალომე ზურაბიშვილი,** მან თქვა — **„არა და არასოდეს“.**

„იმედინიუსი“

**ოლივერ ვარჰეი**
*ევროკომისარი*



ჩვენ საქართველოს **ჭეშმარიტად ევროპულ ქვეყნად** ვაქცევთ.

„რეზონანსი“

**პეტერ სიიარტო**
*უნგრეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი*



**საქართველომ დიდი ხნის წინ დაიმსახურა ევროკავშირის წევრობა.**

„რეზონანსი“

# ქვეყანა ამათ ხელში არ უნდა ჩავარდეს!

## სააკაშვილის აჩრდილები მომავალ მთავრობაში ადგილებს ინაწილებენ!








ეკა გიგაური, ნონა წოწორია, სალომე სამადაშვილი, ნათია მეზვრიშვილი, ლაშა ბუღაძე, სოფო ჯაფარიძე

გიულ პარტნიორობას შეუშალოს ხელი.

**იუსტიციის მინისტრი** იქნება **ნინო ლომჯარია,** რომელიც სახალხო დამცველად მუშაობისას სახალხო დამცველის გარდა ყველაფერი იყო, მხოლოდ ნაცსექტისა და ე.წ. ლგბტ თემის ინტერესებს იცავდა და აქტიურად გახლდათ ჩართული ე.წ. მეორე ფრონტის გახსნისა და საქართველოს ომში ჩათრევის პროპაგანდისტულ კამპანიაში.

**გენერალური პროკურორის** პოსტზე ოპოზიციის ჩრდილოვან კაბინეტში ორი კანდიდატურა განიხილება: ერთია არასამთავრობო ორგანიზაცია **„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მარადმწვანე დირექტორი ეკა გიგაური,** რომელიც სააკაშვილის რეჟიმის დროს სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილე იყო და 2007 წლის 7 ნოემბრის მშვიდობიანი მიტინგის სასტიკი დარბევის კვალდაკვალ, **ვანო მერაბიშვილმა** კაპიტნის წოდებით დააჯილდოვა. **კაპიტანი გიგაური,** მისი პოლიტიკური თუ ენჯეო ტყუპისცალის — **ნინო ლომჯარიას** მსგავსად, ე.წ. გლობალური ომის პარტიის დავალებას ასრულებდა და აქტიურად იყო ჩართული საქართველოს უკრაინიზაციის, ანუ ომში ჩათრევის კამპანიაში.

ნაცოპოზიციის ჩრდილოვან კაბინეტში **საქართველოს გენერალური პროკურორის თანამდებობაზე** მეორე კანდიდატად განიხილება ყოფილი გენერალური პროკურორის — **ზურაბ ადეიშვილის ყოფილი მოადგილე ნონა წოწორია,** რომელიც წლების განმავლობაში საქართველოს წარმომადგენელი იყო სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, სადაც ერთადერთი ფუნქცია ჰქონდა — **მაქსიმალურად უნდა შეეშალა ხელი სააკაშვილის რეჟიმის მიერ უკანონოდ დაპატიმრებული, ქონებაწართმეული, ნაწამები და შვილებდახოცილი საქართველოს მოქალაქეების საჩივრების დროული და ობიექტური განხილვისათვის.**

ჩრდილოვან კაბინეტში **საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელი** არგუნეს **ნაციონალური მოძრაობის ყოფილ და „ლელოს“ მოქმედ წევრს სალომე სამადაშვილს,** რომელიც ბრიუსელის პოლიტიკურ ტალანებში მართლაც აჩრდილივით დაძრწოდა და ევროპელ პოლიტიკოსებსა თუ ჩინოსნებს ეხვეწებოდა, საქართველოსათვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი არ მიენიჭებინათ.

იმავე ჩრდილოვანი კაბინეტის მიხედვით, **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი** იქნება სააკაშვილის რეჟიმის დროს მთავარი რეპრესიული მანქანის — **ადეიშვილის პროკურატურის მაღალჩინოსანი ნათია მეზვრიშვილი,** რომელსაც დღევანდელ ხელისუფლებაში, **გიორგი გახარიას** შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს, მისი მოადგილის პოსტი ეკავა, ხოლო გახარიას პრემიერ-მინისტრად დანიშვნის შემდეგ მთავრობის ადმინისტრაციას ხელმძღვანელობდა.

**კულტურის მინისტრი** იქნება **მამუკა ხაზარაძის „ტუალეტის მჯღაბნელთა“ და „უბორნიის მწერალთა“ კოჰორტის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, პრე-**

**ნაცოპოზიციის ჩრდილოვანი კაბინეტი, რეალურად, სააკაშვილის ჩრდილების თეატრია, ჩრდილოვანი მინისტრები კი ცვილით გაპოხილი, ჩხირებზე წამოცმული ქალალდის თოჯინები არიან, რომლებსაც ნაცბელადი „ვივამედის“ ლუქს-პალატიდან მართავს!**



გაგრძელება მე-4 გვერდზე

## კვირგვინოსნები



**არნო ხიდირბეგიშვილი**
*„საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი*

საქართველო **ხიდია** და არა **დერეფანი.** საქართველოს არჩევანი **ცხრა დათქმასა** და **ათ მცნებას** შორის მოუწევს!



**მამუკა მდინარაძე**
*საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი*

**სალომე ზურაბიშვილი** ისმენს, რომ, თურმე, **მიხეილ სააკაშვილი** ყოფილა **მოდერნიზაციის სიმბოლო** და უპასუხოდ ტოვებს ამ ყველაფერს — **მოდერნიზაციის სიმბოლო კი არა, ჩვეულებრივი კრიმინალია.**

„ინტერპრესნიუსი“



**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*

მივმართავ **ხაზარაძე-ჯაფარიძეს** და მათ კლასტერს — **რა გაგიკეთებიათ უანგაროდ საკუთარი ქვეყნისთვის?** თქვენგან პატრიოტები და სახელმწიფო მოღვაწეები არ გამოვა და **საზოგადოებისგან რა ნულოვანი ნდობა და რეიტინგიც გაგაჩნიათ, ზუსტად ასეთ ნულოვან რეიტინგს და პროცენტებს მიიღებთ არჩევნებზე.**

„ინტერპრესნიუსი“



**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტარი*

რადიკალურ ოპოზიციას უნდა, რომ **ცესკოში პოლიტიკური ჩარევის ბერკეტი შეინარჩუნოს** — ისინი უფრო ემზადებიან არჩევნების მეორე დღისთვის, ვიდრე არჩევნების დღისთვის.

„ინტერპრესნიუსი“



**სოზარ სუბარი**
*„ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი*

დღეს **ფსევდოშუაშისტური** პოზიციის დაკავებას ცდილობს **ნიკა გვარამიაც** კი, რომელიც შემოქმედი იყო ბოროტებების, რასაც ნაცმოძრაობა სჩადიოდა.

„პირველი არხი“

# ნაცოპოზიციის ჩრდილოვანი კაბინეტი ქართულ სახელმწიფოს საბოლოოდ დაასამარებს!








პაატა მანჯგალაძე, პეტრე ცისკარიშვილი, ბექა ლილუაშვილი, შალვა კერესელიძე, გრიგოლ გეგელია, მამუკა ხაზარაძე

*დასაწყისი მე-2 გვერდზე*

**მია „საბას“ ოთხგზის ლაურეატი ლაშა ბუღაძე,** რომელმაც თავის მოთხრობაში თამარ მეფისა და გიორგი რუსის საპირველღამო სექსუალური სცენები აღწერა, ხოლო სატელევიზიო გამოსვლაში — საკუთარი გეი-თავგადასავალი.

**ჯანდაცვის მინისტრი** იქნება **სააკაშვილის მავზოლეუმის დირექტორი სოფო ჯაფარიძე,** რომელიც 2012 წელს სააკაშვილისვე საპრეზიდენტო პროგრამა „ღიმილიან საქართველოში“ სტომატოლოგად მონაწილეობდა, ქართველ პენსიონერებს ძველი კბილები დააძრო და ახლები აღარ ჩაუსვა — რაკი ნაცმოძრაობა გადაირჩიეთ და ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოიყვანეთ, კბილებიც ბიძინა ივანიშვილმა ჩაგისვათო!

**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი** იქნება **გიორგი, იგივე ჭიჭე ვაშაძის ორკაციანი პარტიის მეორე წევრი, ჭიჭეს კიდევ უფრო ჭიჭე ქვესახეობა — პაატა მანჯგალაძე,** ხოლო **ფინანსთა მინისტრის** პოსტს დაიკავებს **პეტრე ცისკარიშვილი,** რომელიც ქართული ჯარისა და ევროპელი პენსიონერების გამძარცველ კეზერაშვილს ახლა ნაცმოძრაობის თავმჯდომარის — **ლევან ხაბეიშვილის** გუვერნიორად ჰყავს დანიშნული, რათა მას უცხოელ პოლიტიკოსებთან აუდიენციების დროს ქცევის ელემენტარული წესები და ორი ღერი ინგლისური ასწავლოს.

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს** ხელმძღვანელებად ჩრდილოვან კაბინეტში ორ კანდიდატურას განიხილავენ და ორივე გახარიას პარტიის წევრია — **ბექა ლილუაშვილი და შალვა კერესელიძე,** ხოლო **შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის** პოსტი „ლელოს“ წარმომადგენელ **გრიგოლ გეგელიას** უფეშქაშეს.

რაც შეეხება „ლელოს“ თავმჯდომარე **მამუკა ხაზარაძეს,** ყოფილი ზონდერკომკავშირელი, ყაჩაღ-ბანკირი და ხანდაზმული თაღლითი, რომელმაც ქართული სახელმწიფოსათვის ეკონომიკურად და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი — ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა სამარცხვინოდ ჩააფლავა, **საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრი** იქნება.

როგორც ხედავთ, ნაცოპოზიციის ჩრდილოვანი კაბინეტის შემადგენლობაში მსჯავრდებული ნაცბელადი მიხეილ სააკაშვილი არცერთ თანამდებობას არ იკავებს, მაგრამ იგი ყველა თანამდებობასა და ყველა მინისტრში იგულისხმება. **თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნაცოპოზიციის ჩრდილოვანი კაბინეტი, რეალურად, სააკაშვილის ჩრდილების თეატრია, ჩრდილოვანი მინისტრები კი ცვილით გაპოხილი, ჩხირებზე წამოცმული ქაღალდის თოჯინები არიან, რომლებსაც ნაცბელადი „ვივამედის“ ლუქს-პალატიდან მართავს.**

სწორედ ამიტომ არის დაკომპლექტებული **ნაცოპოზიციის ჩრდილოვანი კაბინეტი „ჩრდილოვანი ტოლერანტობის“** პრინციპით, ანუ სააკაშვილმა საქართველოსა და ქართველ ხალხს **„ნულოვანი ტოლერანტობის“** პოლიტიკით რაც დააკლო, ახლა **„ჩრდილოვანი ტოლერანტობის“** პოლიტიკით უნდა მიიყვანოს ბოლომდე!

შურისძიება, რევანში, მონატრებული რეპრესიების დაუოკებელი წყურვილი, ქუჩაში „სიკვდილის ბრიგადების“ თარეში, ციხეებში მწამებელ და გამაუპატიურებელ ჯალათთა ბოგინი, **ახალ-ახალი კეზერაშვილები,** რომლებიც ელიტურ კორუფციას ააყვავებენ და სახელმწიფო ბიუჯეტს პირად თუ პარტიულ ხაზინად გაიხდიან! — აი, ეს არის ჩრდილოვანი ტოლერანტობის არსი და ეს მიზანი იმალება ნაცოპოზიციის ჩრდილოვანი კაბინეტის ჩრდილში.

**ვინმე ჭკუათამყოფელს საგანგებოდ რომ მოენდომებინა – საქართველოს მთავრობას ისე დავაკომპლექტებ, ქვეყანას ბოლომდე დედა ეტიროს და ქართულმა სახელმწიფოებრიობამ არსებობა შეწყვიტოსო, პრემიერ-მინისტრად და მინისტრებად სწორედ იმ ხალხს დანიშნავდა, ვინც ნაცოპოზიციის ჩრდილოვან კაბინეტშია წარმოდგენილი!**

1976 წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 25-ე ყრილობაზე სიტყვით გამოსვლისას საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ედუარდ შევარდნაძემ** განაცხადა — **საქართველოსათვის მზე ჩრდილოეთიდან ამოდისო,** ნაცოპოზიციის ჩრდილოვანი კაბინეტი კი საქართველოს მზეს სამუდამოდ ჩაასვენებს!

**ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ 2024 წლის შემოდგომაზე გასამართ საპარლამენტო არჩევნებში ქართველი ხალხი ჩრდილში არ დადგება და ნაცრევანშისტების პოლიტიკურ კუბოს ბოლო ლურსმანს არ ჩააჭედებს!**

*ჯაბა ხუბუა*

## სააკაშვილმა საქართველოს „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკით რაც დააკლო, „ჩრდილოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკით უნდა მიიყვანოს ბოლომდე!

### კვირგვინოსნები

**ნიკოლოზ სამხარაძე**
*პარლამენტარი*



ევროპარლამენტში აგროვებენ ხელმოწერებს, რათა **ზურაბიშვილს სთხოვონ სააკაშვილის შეწყალება,** ამოქმედებულია ძველი ლობისტური ხაზები, **მცდელობაა, აიძულონ თუ ზეწოლა განახორციელონ ზურაბიშვილზე.**

„იმედინიუსი“

**ზურაბ აბაშიძე**
*თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე*



**სადიზმი არის ნაციონალური მოძრაობის ხელწერა,** ეს დადასტურებული ფაქტია სამართლებრივადაც და პოლიტიკურადაც. ადამიანებს მათ დროს ხვდებოდნენ ქუჩებში, **სცემდნენ, აწამებდნენ და ხოცავდნენ.**

„ინტერპრესნიუსი“

**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტოლოგი*



ხალხს ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში დაბრუნება რომ უნდოდეს, აქამდე დააბრუნებდა. **ოპოზიციის გამარჯვებისა და კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბების შანსს ვერ ვხედავ.**

„ახალი თაობა“

**ლაშა გეგეჭკორი**
*კოოპერატიული ბინათმშენებლობების შედეგად დაზარალებული*



30 წლის განმავლობაში **თბილისის ვერცერთმა მერმა ვერ შეძლო** კოოპერატიული ბინათმშენებლობებით დაზარალებული 3 500 თბილისელი ოჯახის პრობლემის გადაწყვეტა. **კახა კალაძე ასრულებს თავის წინასაარჩევნო დაპირებას** და უკვე 2 041 დაზარალებულ პირს საცხოვრებელი ბინა გადაეცა.

„იმედინიუსი“

*მსჯავრდებული მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც პატიმრობიდან თავის დაღწევა საკუთარი სიკვდილის იმიტაციით არ გამოუვიდა, ახლა ცდილობს, ციხიდან გამოსასვლელად რუსი ოპოზიციონერის — ალექსეი ნავალნის სიკვდილი გამოიყენოს.*

# ალექსეი ნავალნის სიკვდილი და მიხეილ ნაცვალნის გაცოცხლება

როგორც კი ცნობილი გახდა, რომ **პუტინის რეჟიმის მოწინააღმდეგე ნავალნი** იამალ-ნენეთა ავტონომიური ოკრუგის სოფელ ხარპში მდებარე შრომა-გასწორების კოლონიაში გარდაიცვალა, **კოლონიის მაგივრად კლინიკა „ვივამედის" ლუქს-პალატაში მოკოტრიალე ნაცბელადმა** „ფეისბუქში" მაშინვე პოსტი გამოაქვეყნა *(სტილი და პუნქტუაცია სრულად არის დაცული. რედ.):*

*„პუტინმა ციხეში მოკლა* ***ალექსეი ნავალნი.*** *შარშან ნავალნიმ ციხიდან ჩემ მხარდასაჭერად წერილი გამოაგზავნა.* ***პუტინი ნავალნის მე ხშირად მადარებდა და, რა თქმა უნდა, ერთიანად ვეზიზღებოდით.*** *შარშან პუტინის დავალებით ოლიგარქის პრორუსულმა რეჟიმმა მომწამლა ციხეში და მაშინ ღმერთმა გადამარჩინა.* ***რა თქმა უნდა, ივანიშვილს ხელი არ აუღია პუტინის დავალების შესრულებაზე და მეც ნავალნის მსგავსად ბოლომდე ვიბრძოლებ პუტინიზმის დამარცხებისთვის საქართველოში".***

მოკლედ, მე და ნავალნი ერთნი ვართ, ერთნაირები ვართ და პუტინსაც ერთნაირად ვეზიზღებითო!

ესე იგი, ის იყო **ალექსეი ნავალნი** და ეს გამოდის **მიხეილ ნაცვალნი!**

ვერ გეტყვით, პუტინს **ალექსეი ნავალნი** და **მიხეილ ნაცვალნი** ერთნაირად ეზიზღებოდა თუ არა, მაგრამ ის კი ნაღდია, რომ **ალექსეი ნავალნისა და მიხეილ ნაცვალნის** საქართველო და ქართველები ერთნაირად ეზიზღებოდათ!

კი, **მიხეილ ნაცვალნისა** და მისი ნაცრეჟიმის 9-წლიანი მმართველობა სწორედ იმის დასტურია, რომ მათ საქართველო და ქართველი ხალხი ეზიზღებათ!

ის კი არა, **მიხეილ ნაცვალნიმ** საქართველოსა და ქართველი ხალხის სიძულვილი ვერც ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ დამალა, როცა საქართველოს მოქალაქეობა უკრაინის მოქალაქეობაში გაცვალა, ქართული პასპორტი სანაგვეზე გადააგდო და უბეში უკრაინული პასპორტი ჩაითბუნა, სასამართლო პროცესზე კი ქართულად საუბარიც აღარ ინება, უკრაინულად ამეტყველდა და განაცხადა — **მოიყვანეთ თარჯიმანი, რომელიც ჩემს ნალაპარაკევს ქართულად გადათარგმნისო!**

**მიხეილ ნაცვალნის** საქართველო და ქართველი ხალხი რომ ჭირივით ეზიზღება, ამის კიდევ ერთი დასტურია მისი და ბიძამისის — „კაგებეს" ჩინოსან **თემურ ალასანიას** სატელეფონო საუბრის ცნობილი აუდიოჩანაწერი, რომელშიც ქართველ ერს ავადმყოფს უწოდებენ, უშვერი სიტყვებით აგინებენ და ამბობენ — **სანამ ქართველებს თავზე არ დააჯ...ამ და დედას არ მოუტ...ნავ, ვერაფერს იგებენო!** *(ცენზურა ჩვენია. რედ.).*

რაც შეეხება **ალექსეი ნავალნის,** მან საქართველოსა და ქართველების მიმართ ზიზღი 2008 წლის აგვისტოს ომის დღეებში გამოამჟღავნა, როცა ქართველებს (გრუზინებს) **„გრიზუნები"**, ანუ **„მღრღნელები"** უწოდა და თავის ბლოგში დაწერა — **საქართველო ფრთოსანი რაკეტებით უნდა დავბომბოთ, რუსეთიდან ყველა ქართველი გავყაროთ და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა ვაღიაროთო!**

ამდენად, მკაცრი რეჟიმის კოლონია „პოლარულ მგელში" უეცრად გარდაცვლილ **ალექსეი ნავალნისა** და კეთილმოწყობილ კლინიკა „ვივამედში" უეცრად გაცოცხლებულ **მიხეილ ნაცვალნის** ერთადერთი რამ აერთიანებდათ — **საქართველოსა და ქართველი ერის სიძულვილი!**

სხვა მხრივ, **ნავალნისა და ნაცვალნის** საერთო არაფერი ჰქონიათ!

უფრო მეტიც, სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ გამბედაობისა და უშიშრობის თვალსაზრისით, **ალექსეი ნავალნი მიხეილ ნაცვალნის** აბსოლუტური ანტიპოდი იყო!

მაგალითად, **ალექსეი ნავალნი,** რომელიც 2020 წელს ე.წ. ნოვიჩოკით — საბჭოთა კავშირში შექმნილი ნერვული აგენტით მოწამლეს და კომაში ჩავარდა, **ბერლინში მკურნალობისა და გამოჯანმრთელების შემდეგ არაჟნებით სავსე ტრაილერის კონტეინერში ვირთხასავით არ ჩამალულა და თავისი ქვეყნის სახელმწიფო საზღვარზე უკანასკნელ ქურდბაცაცასავით არ გადაპარულა, როგორც ეს სააკაშვილმა გააკეთა.** პირიქით, **ნავალნიმ,** რომელმაც ზუსტად იცოდა, რომ რუსეთში ჩასვლისთანავე დააპატიმრებდნენ, წინდაწინ გამოაცხადა — **ბერლინიდან ამა და ამ რეისით მოვფრინავ და მოსკოვის აეროპორტში ამა და ამ საათზე ჩავფრინდებიო!**

იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ **ალექსეი ნავალნი, მიხეილ ნაცვალნისაგან განსხვავებით,** სასჯელს კერძო კლინიკის ოროთახიან ლუქს-პალატაში კი არა, ზემკაცრი რეჟიმის კოლონიაში იხდიდა, სადაც ზამთარში მინუს 40 გრადუსია, ხოლო ზაფხულში პატიმრებს უპილოტო საფრენი აპარატისხელა კოღოების ჯარი ესევა და სისხლს სწოვს... **„ვივამედში" წამოგორებული მიხეილ ნაცვალნისაგან განსხვავებით, „პოლარულ მგელში" გამოკეტილ ალექსეი ნავალნის არც იმის საშუალება ჰქონდა, კვირაში ათობით მნახველი მიეღო, სასთუმალთან დედიკო ჰყოლოდა ჩამომჯდარი და გრძელვადიანი პაემნების ოთახში ცოლი თუ საყვარელი დაეფეხმძიმებინა...** მიუხედავად ამისა, **ნავალნის,**

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*





**კოლონია „პოლარულ მგელში" უეცრად გარდაცვლილ ალექსეი ნავალნისა და კლინიკა „ვივამედში" უეცრად გაცოცხლებულ მიხეილ ნაცვალნის ერთადერთი რამ აერთიანებდათ – საქართველოსა და ქართველი ერის სიძულვილი!**

## კვირგვინოსნები

**ალეკო ელისაშვილი**
*პარტია „მოქალაქეების" ლიდერი*



ისევ ვადასტურებ, რომ **ბესელია პატიმრების ბედით ვაჭრობდა,** მთელი თავისი ცხოვრება ფულს აკეთებდა.

„კვირის პალიტრა"

**ეკა ბესელია**
*ყოფილი პარლამენტარი*



**ელისაშვილი არის სულგაყიდული ადამიანი,** „ოცნებამ" იყიდა და როგორც მოუნდება, ისე ათამაშებს. არამზადა **ალეკო ელისაშვილს** საბოლოოდ ვაფრთხილებ, **ფრთხილად იყოს, რადგან პასუხს მოვთხოვ ისე, როგორც იმსახურებს.**

„კვირის პალიტრა"

**ციცინო შავაძე**
*როინ შავაძის მეუღლე*



**როინმა ომის დროს რაღაც ისეთი ნახა და გაიგო, რაც არ უნდა სცოდნოდა.** მას კარგად იცნობდნენ და იცოდნენ, არ გაჩერდებოდა, თვალს არ დახუჭავდა, **ადგნენ და მოკლეს.** წამება და მოკვლა არ აკმარეს, ჩირქიც მოსცხეს — **მოკლულს ნარკოტიკი ჩაუდეს და ჯაშუშიც გამოიყვანეს.** ყველა ჩართული იყო ამ საქმეში — დაწყებული **პრეზიდენტით, მერაბიშვილ-ახალაიებით** დამთავრებული.

„კვირის პალიტრა"

**ეთერ თათარაიძე**
*ფოლკლორისტი*



საერთოდ, ქართველებს უჭირთ, **როცა ცოცხალია ადამიანი,** იმისი აღიარება, რომ **ის ძალიან მნიშვნელოვანია თავისი ქვეყნისათვის.**

„კვირის პალიტრა"

**ნიკუშა შენგელაია**
*მხატვარი*



ხომ ვხედავთ, **რა უბედურ დღეში ჩავარდა უკრაინა** იმის გამო, რომ იქ სხვა დიდ ქვეყნებს გარკვეული ინტერესები აქვთ. ფაქტობრივად, **ჩვენი მსხვერპლად შეწირვაც უნდოდათ.**

„საერთო გაზეთი"

ნა ვალნუიტეს!

*დასაწყისი მე-5 გვერდზე*



**ნაცვალნისაგან განსხვავებით,** თავი არ მოუმკვდარუნებია, ისტერიკები არ გაუმართავს და ყალბი დიაგნოზის დასასმელად უცხოელი ექიმები არ დაუქირავებია.

ერთი სიტყვით, „ვივამედის" ლუქს-პალატაში მონებივრე სიმულანტი, მჩხავანა და ისტერიული **მიხეილ ნაცვალნის ალექსეი ნავალნისთან** შედარება და გატოლება „პოლარულ მგელში" გარდაცვლილი პოლიტპატიმრის სულისა და ხსოვნის შეურაცხყოფაა!

არადა, სწორედ ამით არიან დაკავებული როგორც თავად სააკაშვილი, ისე მისი სექტის წევრები, მათ შორის, **ნაცბელადის მავზოლეუმის დირექტორი სოფო ჯაფარიძე,** რომელიც აცხადებს:

***„ნავალნის მაგალითმა გვაჩვენა, რომ მიხეილ სააკაშვილი უდიდესი საფრთხის ქვეშ არის და რაც შეიძლება მალე აუცილებლად უნდა გათავისუფლდეს".***

სააკაშვილის მავზოლეუმის დირექტორი, ანუ მისი პიჯაკებისა და ბოტასების გამგე **სოფო ჯაფარიძე** საქართველოს რეგიონებში დადის და ბელადის გათავისუფლების მოთხოვნით ხელმოწერებს აგროვებს, მაგრამ ერთი რამ არის საინტერესო — **თუ მიხეილ ნაცვალნი, ალექსეი ნავალნის მსგავსად, პუტინის პატიმარია, ვინ უნდა გაითვალისწინოს მისი გათავისუფლების მოთხოვნით შეგროვებული ხელმოწერები** — პუტინმა თუ ბიძინა ივანიშვილმა, რომელიც, თურმე, პუტინის დავალებით, სააკაშვილს ციხეში კლავს და ამდენი ხანი ვერ მოკლა?!

საერთოდ, რა დამოკიდებულება ჰქონდა და აქვს **პუტინს ალექსეი ნავალნისა და მიხეილ ნაცვალნის** მიმართ, ამაზე ფაქტობრივი მოცემულობა მეტყველებს — **ნავალნი კოლონიაში დაიღუპა, ნაცვალნის კი კერძო კლინიკის ლუქს-პალატაში ცივ ნიავს არ აკარებენ!**

დიახ, **მიხეილ ნაცვალნი** „პუტინის ტყვე" რომ იყოს, წელიწადნახევრიანი თავმომკვდარუნების შემდეგ უეცრად კი არ გაცოცხლდებოდა, არამედ რუსთავის ციხეში მოთავსებიდან ცოტა ხანში უეცრად გარდაიცვლებოდა ისევე, როგორც **ალექსეი ნავალნი** — ხარპის კოლონიაში!

ასე რომ, **სააკაშვილის მავზოლეუმის დირექტორი სოფო ჯაფარიძე** და სხვა ნაცები ამაოდ ცდილობენ, საზოგადოება მოატყუონ, თითქოს მიხეილ ნაცვალნის ალექსეი ნავალნის ბედი ემუქრება!

ქართველმა საზოგადოებამ ნაცების მოსატყუებელი კბილი ჯერ კიდევ მანამდე მოიცვალა, სანამ **ყოფილი სტომატოლოგი და სააკაშვილის მავზოლეუმის ახლანდელი დირექტორი სოფო ჯაფარიძე,** საპრეზიდენტო პროგრამა „ღიმილიანი საქართველოს" ეგიდით, ქართველ პენსიონერებს ძველ კბილებს დააძრობდა და ახლებს აღარ ჩაუსვამდა!

კითხვაზე — **ვინ იყო ალექსეი ნავალნი და ვინ არის მიხეილ ნაცვალნი?** — ერთადერთი სწორი პასუხი ნავალნის უეცარი სიკვდილი და **ნაცვალნის** უეცარი გაცოცხლებაა!

***გიორგი ძაძამია***

# ალექსეი ნავალნის სიკვდილი და მიხეილ ნაცვალნის გაცოცხლება

რა უთქვამს, რა მოუჩმახავს?!

# სიკორსკის სიკვერცხე

***რადიოაქტიურ ნივთიერება პოლონიუმს „იდეალურ საწამლავსა" და „პოლიტიკური მკვლელობის იდეალურ იარაღს" უწოდებენ, რადგან ადამიანის ორგანიზმში მისი უმცირესი დოზით მოხვედრაც კი გარდაუვალ სიკვდილს იწვევს. ამ ქიმიურ ელემენტს „პოლონიუმი" იმიტომ დაარქვეს, რომ მისი ერთ-ერთი აღმომჩენი, ნობელის პრემიის ლაურეატი მარია სკლოდოვსკა-კიური წარმოშობით პოლონელი იყო.***



*პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რადოსლავ სიკორსკი*

დამკვიდრებული აზრით, 2006 წელს ჩაიში გარეული **პოლონიუმით მოწამლეს** რუსეთის უშიშროების სამსახურის ყოფილი ოფიცერი **ალექსანდრ ლიტვინენკო,** რომელსაც დიდ ბრიტანეთში პოლიტიკური თავშესაფარი ჰქონდა მიღებული, ხოლო, შვეიცარიის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, 2004 წელს პალესტინის ლიდერის **იასირ არაფატის** სიკვდილის მიზეზიც **პოლონიუმით მოწამვლა** გახდა.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, რადიოაქტიური ნივთიერება **პოლონიუმის** შესახებ, ასე თუ ისე, ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ არსებობს **პოლიტიკური პოლონიუმიც,** რომლითაც პოლონეთის ხელისუფლება საქართველოს მოწამვლას ლამობს.

მაგალითად, **პოლონეთის ხელისუფლების მიერ ქართული სახელმწიფოს პოლონიუმით მოწამვლის მცდელობა** გახლდათ სულ ახლახან მიუნხენის საერთაშორისო კონფერენციაზე მომხდარი ფაქტი, როცა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **რადოსლავ სიკორსკიმ** საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილის შეწყალებისაკენ მოუწოდა.

თუმცა, **ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა პოლონეთის ხელისუფლება ცდილობს, საქართველო პოლიტიკური პოლონიუმით მოწამლოს...** პოლონეთის სახელმწიფოს ლიდერები ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური **პოლონიუმით მოწამვლას** განსაკუთრებით მას შემდეგ ეშურებიან, რაც საქართველოში **ელგუჯა ცომაიას** ტრაილერით შემოპარული ნაცბელადი სააკაშვილი ციხეში აღმოჩნდა. გავიხსენოთ, თუნდაც პოლონეთის სეიმის ვიცე-სპიკერი **მალგოჟატა გოშევსკა,** რომელიც ვანო მერაბიშვილს, მიხეილ სააკაშვილსა და ნიკა გვარამიას პოლიტიკურ პატიმრებად აცხადებდა, ხოლო ბიძინა ივანიშვილს ოლიგარქს ეძახდა და მისთვის მკაცრი სანქციების დაწესებას ითხოვდა. **პოლონელი გოშევსკა,** რომელიც, ეშმაკმა უწყის, ვისი **გოშიაა,** თბილისში ორჯერ იყო ჩამოსული და ჯიუტად ითხოვდა — **კლინიკა „ვივამედში" სააკაშვილის მონახულების უფლება მომეცითო, მაგრამ არ მისცეს.**

გავიხსენოთ ისიც, რომ „ვივამედში" სააკაშვილთან შესულმა პოლონელმა ექიმმა მისი ბიოლოგიური ნარჩენები წინდაში დამალა და ცდილობდა, კლინიკიდან გაეტანა... კიდევ კარგი, მისი ქურდბაცაცობა პენიტენციური სამსახურის სათვალთვალო კამერებსა და ბადრაგების მახვილ თვალს არ გამოეპარა, თორემ ვინ იცის, ნაცბელადის ბიოლოგიურ ნიმუშს პოლონეთის რომელიმე ლაბორატორიაში რა ფსევდოექსპერტიზას ჩაუტარებდნენ და როგორ ყალბ დასკვნას გამოაცხობდნენ, ივანიშვილის „რუსული რეჟიმის" მიერ სააკაშვილის მოწამვლის შესახებ.

**საქართველოს პოლიტიკური პოლონიუმით მოწამვლის მცდელობა** იყო პოლონეთის პრეზიდენტ **ანჯეი დუდას** მიერ 2021 წელს გაკეთებული განცხადებაც — **სააკაშვილის და-**



# სიკორსკის სიკვერცხეზე ზურაბიშვილის დუმილი, შესაძლოა, სააკაშვილის შეწყალებაზე თანხმობის ნიშანი იყოს!

კვირგვინოსნები



**ლაშა ჩხარტიშვილი**
*„ლეიბორისტული პარტიის" წევრი*

**დღეს ნაციონალურ მოძრაობაში უკვე აღარ არის იმდენი ნაციონალი, რამდენიც „ოცნებაში" გადაბარგდა.**

„ახალი თაობა"



**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*

მრჩება შთაბეჭდილება, **ალიბს იკეთებს ქალბატონი სალომე,** რომ ჰქონდეს საფუძველი, **შეიწყალოს ბატონი სააკაშვილი** და შემდეგ თქვას, მე კი არა, ევროპელებმა მთხოვესო.

„პირველი არხი"



**პაატა ზაქარეიშვილი**
*კონფლიქტოლოგი*

თუ **სალომე ზურაბიშვილმა** გადაწყვიტა არჩევნებში მონაწილეობა, მის წინააღმდეგაც იქნება **ძალიან სერიოზული და აღვირახსნილი კამპანია.**

„ახალი თაობა"



**ვიქტორ ჯაფარიძე**
*„ხალხის ძალის" წევრი*

ხელისუფლებამ **კეთილი ინებოს და სააკაშვილი საკანში გადააბრძანოს.** მიხეილ სააკაშვილზე დიდი დამნაშავე ქართულ საპყრობილეს არ ჰყოლია.

„ახალი თაობა"



**დიმიტრი ხუნდაძე**
*„ხალხის ძალის" წევრი*

**ნუთუ ვერ ხვდებიან ევროპელი ლიდერები,** რომ ქართული მართლმსაჯულება დამოუკიდებელია და **მიხეილ სააკაშვილი დამსახურებულად იხდის სასჯელს?**

„პირველი არხი"



**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის" წევრი*

**სალომე ზურაბიშვილი** ჩაეწერა მათ რიგებში, ვინც ამბობს, რომ **ხალხს არავინ ეკითხება და უცხოურმა ძალამ უნდა გადაწყვიტოს, როგორი მთავრობა იქნება,** მაგრამ ნურას უკაცრავად.

„პირველი არხი"

**კავება საქართველოს იმიჯს აზიანებსო,** ხოლო პოლონეთის ამჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა **დონალდ ტუსკმა,** რომელიც მანამდე „ევროპის სახალხო პარტიას“ ხელმძღვანელობდა, პატიმრობაში მყოფი სააკაშვილი 2022 წელს პარტიის კონგრესზე მიიწვია, რაც ქართული სახელმწიფოს დემონსტრაციული დაცინვა და აბუჩად აგდება გახლდათ.

**საქართველოს პოლიტიკური პოლონიუმით მოწამვლის საქმეში** აქტიურად არიან ჩართული პოლონელი ევროპარლამენტარები — **ანა ფოტიგა და იაცეკ-სარიუშ ვოლსკი,** რომლებიც ნაცბანდის თავგადაკლული აპეკუნები ბრძანდებიან, სააკაშვილს პოლიტპატიმრად რაცხავენ და აცხადებენ, რომ საქართველოს ხელისუფლება მას ციხეში კლავს.

**ერთი სიტყვით,**

**დღეს პოლონეთის ხელისუფლებასა და მთლიანად პოლონურ პოლიტიკაში ჭარბად მოუყრიათ თავი საქართველოს პოლიტიკურ მტრებს, რომლებიც მზად არიან, მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნელი სააკაშვილის ციხიდან დასახსნელად ქართულ სახელმწიფოს პოლიტიკური პოლონიუმით გააფრთხობინონ სული!**

ამიტომაც იყო, რომ მიუნხენის საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში გამართული ერთ-ერთი პანელური დისკუსიის დროს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **სიკორსკიმ** საქართველოს კონსტიტუციის ფეხქვეშ გამთელავ **სალომე ზურაბიშვილს** უთხრა:

***„ჩვენ გვახსოვს, რომ ამ კონფერენციას ესწრებოდა ხოლმე თქვენი წინამორბედი, პრეზიდენტი სააკაშვილი. ბევრი ჩვენგანისთვის ის არის საქართველოს მოდერნიზების სიმბოლო. ჩვენ პატივს ვცემთ თქვენს კანონის უზენაესობას, მაგრამ ჩვენ ასევე ვფიქრობთ, რომ მის მიმართ მოპყრობა ასევე ძალიან მნიშვნელოვანია. მნიშვნელოვანია, მას მოექცნენ სამართლიანად და, ალბათ, თქვენ შეგიძლიათ წვლილი შეიტანოთ მის გათავისუფლებაში“.***

# პოლონეთის ხელისუფლება საქართველოს პოლიტიკური პოლონიუმით წამლავს!



***პანელური დისკუსია მიუნხენის საერთაშორისო კონფერენციაზე: პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რადოსლავ სიკორსკი მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილს საქართველოს მოდერნიზების სიმბოლოდ მოიხსენიებს და სალომე ზურაბიშვილს მისი შეწყალებისაკენ მოუწოდებს!***

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სააკაშვილი საქართველოს მოდერნიზების სიმბოლოდ რომ მიაჩნია, ეს მხოლოდ სიკორსკის პოლიტიკურ **სიკვერცხეზე** როდი მიუთითებს... ეს იმაზე მეტყველებს, თუ რა განწყობა და დამოკიდებულება აქვს საქართველოს მიმართ მთლიანად პოლონეთის ხელისუფლებას, რომელსაც ქართული სახელმწიფოსათვის **პოლიტიკური პოლონიუმი** არ ენანება.

თუმცა, საქართველოსათვის ვაიპრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკური უზნეობა უფრო სახიფათოა, ვიდრე **სიკორსკის პოლიტიკური სიკვერცხე!**

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, **ძალიან შემაშფოთებელი და სამარცხვინოა საქართველოს პრეზიდენტად წოდებული ზურაბიშვილის საქციელი, როცა იგი ძუძუს გოჭივით გაიტრუნა და საკადრისი პასუხი არ გასცა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომელმაც მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნელ სააკაშვილს „საქართველოს მოდერნიზების სიმბოლო“ უწოდა!**

სალომე ზურაბიშვილი საქართველოს ნამდვილი პრეზიდენტი მაშინ იქნებოდა, **სიკორსკის სიკვერცხეზე** მყისიერი რეაქცია რომ ჰქონოდა და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრისათვის იქვე ეთქვა — **სააკაშვილი საქართველოს მოდერნიზაციის სიმბოლო კი არა, სისხლის სამართლის დამნაშავეა, რომლის რეჟიმმაც უამრავი უდანაშაულო ადამიანი ქუჩაში დახვრიტა, უამრავი დედა ძაძით შემოსა, მშვიდობიანი საპროტესტო აქციები სისხლში ჩაახშო, ციხეებში სისტემური წამება დანერგა და ქვეყანას ტერიტორიები დააკარგვინაო!**

სალომე ზურაბიშვილი მართლა საქართველოს პრეზიდენტი რომ იყოს, ქართული სახელმწიფოს მოსაწამლი პოლიტიკური პოლონიუმით შეიარაღებულ პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრს პირში მიახლიდა — **სააკაშვილის შეწყალების შესახებ ერთხელ უკვე ვთქვი „არა და არასოდეს“, რასაც უკან არ წავიღებო!**

თუმცა, სალომე ზურაბიშვილი საქართველოს პრეზიდენტი კი არა, ნაცბანდის რეზიდენტი და „მეხუთე კოლონის“ წარმომადგენელია, რის გამოც **სიკორსკის სიკვერცხეს** დუმილით შეხვდა!

**სიკორსკის სიკვერცხეზე** ზურაბიშვილის დუმილი, შესაძლოა, სააკაშვილის შეწყალებაზე თანხმობის ნიშანი იყოს!

„დათა თუთაშხიას“ ეკრანიზაციიდან გემახსოვრებათ **მუნჯი მწამლავი ასტიონა,** რომელიც ჟანდარმერიის დავალებით, დუქანში **რაჟა სარჩიმელიასა** და სხვა აბრაგებს წამლავს... ჰოდა, ვინ იცის, **რადოსლავ სიკორსკის** წინაშე დამუნჯებული **სალომე ზურაბიშვილია სწორედ ის ასტიონა, რომლის ხელითაც პოლონეთის ხელისუფლება საქართველოს პოლონიუმით მოწამვლას აპირებს!**

**სიკორსკის პოლიტიკური სიკვერცხე და ზურაბიშვილის პოლიტიკური უზნეობა** ამ საფრთხის რეალურობაზე მიუთითებს!



## საქართველოსათვის ვაიპრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკური უზნეობა უფრო სახიფათოა, ვიდრე სიკორსკის პოლიტიკური სიკვერცხე!

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები



**თამარ ჩიბურდანიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*

**ზურაბიშვილი სააკაშვილს,** სავარაუდოდ, **არჩევნების პიკში შეიწყალებს,** რათა მათი გათვლებით, **სახალხო მღელვარება გამოიწვიონ და არჩევნების ბედი გადაწყვიტონ,** თუმცა, ამჯერადაც უშედეგოდ.

„იმედინიუსი“



**ირაკლი ბერაია**
*პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე*

**სალომე ზურაბიშვილი სააკაშვილს თუ შეიწყალებს, ქართველი ხალხის რისხვას თავიდან ვერ აიცილებს,** ეს კარგად უნდა იცოდეს.

„პირველი არხი“



**გიორგი კახიანი**
*პარლამენტარი*

შთაბეჭდილება მრჩება, რომ **სალომე ზურაბიშვილის ამოცანაა, ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში დააბრუნოს** და ამ გზაზე **მიხეილ სააკაშვილის** შეწყალებასაც არ გამოვრიცხავ. „ინტერპრესნიუსი“



**დავით ბერძენიშვილი**
*რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი*

**ზურაბიშვილი სააკაშვილს თუ შეიწყალებს, ეს იქნება ფუჭი გასროლა!** დაახლოებით 400-500 ათასი ოპოზიციონერი ამომრჩეველია ქვეყანაში, რომელსაც **მიშა არათუ არ უყვარს, მისი საკმაოდ დიდი ნაწილი, დასანახად ვერ იტანს,** სალომემ რომც შეიწყალოს, ამომრჩევლის ნაწილის ხმებს დაკარგავენ, ეს ამომრჩეველი ძალიან გაბრაზდება.

„ახალი თაობა“



**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*

**სალომე ზურაბიშვილი** ნაცების **მესამე პრეზიდენტია** და არა საქართველოს მეხუთე პრეზიდენტი.

„იმედინიუსი“

# მო გელა ნდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად

# მაგას ვინდა დაგიჯერებს!




პრინციპში, შენ უკვე **იმდენჯერ მიეცი,** ახლა **მისცემ თუ არა,** მნიშვნელობა აღარა აქვს.

შენ „ნაციონალურ მოძრაობას“ და **პირადად სააკაშვილს პირველად მაშინ მიეცი,** როცა გენპროკურორის მოადგილედ დაინიშნე და **ბადრი პატარკაციშვილის** მკვლელობაში ლომის წილი ჩაიდე. ან ის თუ გახსოვს, როგორი უნიჭო ფილმები დაამზადე? შენ მაგის გამო ციხიდან დღესაც არ უნდა იყო გამოსული, მაგრამ ჩვენ იმნაირი დემოკრატია გვაქვს, ნეხვს ვარდად მოგაჩვენებს.

☺

მას შემდეგ, რაც 2007-2008 წლებში ჩაიდინე, ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ შენ მხარეს ჩავლილი წყალი ძალიან ბინძური იყო.

**გახსოვს,** ჩვენი სისხლის დალევას რომ აპირებდი?

**გახსოვს,** ღვინოში და „ბორჯომში“ რომ გვიშარდავდი?

რას ამბობ, **აღარ გახსოვს** და ნაცმოძრაობასაც კი ემიჯნები?

ანუ ნაცმოძრაობას და სააკაშვილს **აღარ მისცემ?**

რათა, კაცო, **ქეზერაშვილმა** ფულების მოცემა შეგიწყვიტა? სხვა გზა მონახეო? ბლუ **მერაბიშვილმაც** ერთი რაღაცა დაგიქნია?

არ ვიცი, შეიძლება, მაგათ **დაგიკიდეს,** მაგრამ შენ იმნაირი აგებულებისა ხარ, ნაციონალურ მოძრაობას **ისევ მისცემ.** მისცემ კი არა, შეეხვეწები!

# არა და არასოდეს!



**მარჯვნივ როა,** ადოლფ ჰიტლერივით წელში მოხრილი, ყველაფერს იკადრებს — ჯერ **ბესელიას** დანიშნავს შეწყალების კომისიის თავმჯდომარედ, მერე **სააკაშვილსაც** შეიწყალებს მისი წარდგინებით!

**იკადრებს, რატომ არ იკადრებს? მაგაზე უარესები არ უკადრებია?**

**მარცხნივ როა,** ეგეც მაგნაირი ჯიშისაა, ლამის ერთნაირი წარსული აქვთ — რაც მთავარია, ფულები უყვარს ორივეს და სადმე თუ ჩაავლეს, მომენტს არ უშვებენ ხელიდან.

**8 თველა დარჩათ, უნდა მოასწრონ, მერე ან ვირი იქნება, ან — ვირის პატრონი!**

თუმცა, უნდა ეცადონ, მომდევნო 4-5 წლის განმავლობაშიც იტივტივონ, საზოგადოებას ჭკუა დაარიგონ, მორალზე, პატიოსნებაზე, პატრიოტიზმსა და ევროპიულ ღირებულებებზე ელაპარაკონ.

☺

ისე კი, მართლაც გენიალური ფრაზა დაგვიტოვა **სალომანდრამ — არა და არასოდესო!**

იქნებ აწი მაინც ვიხელმძღვანელოთ **ამ პრინციპით** და ეგეთები სკამეიკებსა თუ დივან-კრესლოებს აღარ გავაკაროთ, თუკი ისინი ცოტა შემაღლებულ ადგილას იდგებიან!

# რუსეთში კეთილ-მოწყობილის გოგო თითებს იშვერს!



23 თებერვალს, იუნკრების ხსოვნის დღეს, **ანა ნაცვლიშვილს** უბრძანებია: **აბა, ეს ახალგაზრდები იფიქრებდნენ, რომ ასი წლის შემდეგ რუსეთის მსახური ხელისუფლება ეყოლებოდა საქართველოსო?**

☺

აბა, უყურეთ... რა მაგარ გონორზეა **რუსეთში კეთილმოწყობილ ამირანას გოგო!**

შიშობს, ვინმემ **რუსეთუმეობა** არ წამოაძახოს და თავის **რუსეთუმეობას** თავისივე სიავით ფარავს.

მა რაააა!

**აბა, იუნკრები იფიქრებდნენ, რომ ასი წლის შემდეგ საქართველოს რუსეთის მსახური ხელისუფლება ეყოლებოდა?!**

☺

ეგ რა არი?

**აბა, იუნკრები იფიქრებდნენ, რომ ასი წლის შემდეგ რუსეთში კეთილმოწყობილ ამირანას გოგო საქართველოს პარლამენტში იბლატავებდა?!**

აბა, იუნკრები იფიქრებდნენ, რომ ასი წლის შემდეგ თურქეთში ქუთაისის ავტოქარხნის ჯართად ჩამბარებელ **ამირანას გოგო** პარლამენტის ტრიბუნიდან კორუფციაზე ილაპარაკებდა და თითებს სხვისკენ გაიშვერდა?!

**იიიიი... იუნკრები ამას ვერც იფიქრებდნენ, ვერც წარმოიდგენდნენ და ვერც აზრად გაივლებდნენ, მაგრამ ამ ყველაფერს ხომ საკუთარი თვალითა ვხედამთ?!**

☺

ეგ კიდე არაფერი!

**ამი ანას** უმფროსი **ხაზარაძე** იძახის — ფული რუსეთში ვიშოვე, მაგრამ როგორც კი ვიშოვე, ეგრევე წამოვედი და ევროპიელი გავხდიო.

ერთი **რუსეთში კეთილმოწყობილ ამირანას გოგო** გახდა ევროპიელი და მეორე **რუსებზე „ბორჯომის“ გამყიდავი მამუკი** გახდა ევროპიელი!

არ დაიჯეროთ, ორივენი საჩუქჩეთში არიან ჩარჩენილები და იქაურ პროპაგანდას აწვებიან!




## კვირგვინოსნები

**ნიკა გვარამია**
*პოლიტიკოსი*



ბახარიას **სამთავრობო კოალიციაში ვხედავ,** მასთან დაკავშირებით წარსულთან მიმართებით **კითხვების დასმას არ ვაპირებ.**

„TV პირველი“

**კახა ქემოკლიძე**
*პარტია „საქართველოსთვის“ პოლიტიკური მდივანი*



ჩვენ გვინდა საქართველოს ევროინტეგრაცია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათ მიუჯდე გვერდით, **ვინც სამი თვის განმავლობაში დადიოდა ევროკავშირის სხვადასხვა სტრუქტურაში და ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ კანდიდატის სტატუსი არ მიგვეღო და კანდიდატის სტატუსის მიღება-არმიღებას სააკაშვილს უკავშირებდნენ.** ამ ხალხთან შეუძლებელია რაციონალური დისკუსია.

„კვირის პალიტრა“

**ლევან ნიკოლეიშვილი**
*ექსპერტი*



ნებისმიერი ინვესტორი კარგად უნდა დაფიქრდეს, იყიდოს თუ არა ფასიანი ქაღალდები **ხაზარაძე-ჯაფარიძისგან** — საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია „სქოუფმა“ **ხანდაზმული თაღლითების** კომპანიას 2 პოზიციით შეუმცირა რეიტინგი.

„იმედინიუსი“

**მაია ბითაძე**
*პარლამენტარი*



რაც არ უნდა მინისტრად მოგვევლინოს **ხაზარაძე, გვარამია, ვაშაძე** თუ **პაატა მანჯგალაძე,** ამას ისინი არ წყვეტენ, მათ კარგად უნდა დაიმახსოვრონ, რომ **ეს არის ქართველი ხალხის გადასაწყვეტი.**

„ინტერპრესნიუსი“

**მამუკა ხაზარაძე**
*„ლელოს“ ლიდერი*



ბარიერის გადალახვის პრობლემა არ გვაქვს, **ჩვენ გვინდა, ხელისუფლებაში მოვიდეთ,** ვიყოთ წამყვანი ძალა კოალიციაში, ამას აუცილებლად გავაკეთებთ.

„პირველი არხი“

# დამწყერილები




სუ ვფიქრობდი, რაც ამათ **თავებში მწყერები ჰყავთ,** გააფრენენ და ცოტა დაოკდებიან-მეთქი! მაგრამ არა და არა! **ამათ თავებში იმდენი მწყერი ჰყოლიათ, ალბათ, მთელი ცხოვრება უნდა აფრინონ და იყვნენ აეგეთ აღტყინებულობაში.**

ისე კი, მართლაც ვინ დაგიგეგმათ წინასაარჩევნო კამპანია, თქვე აბუეტებო?

რა სამუშაოს ჰპირდებით ყველას — **ეგ ცრუპენტელობა ხო ჯერ კიდევ „მოქავშირის“ პერიოდში გაგვატარეთ, მილიონ სამუშაო ადგილს რო არიგებდით?**

ან რა **მაღალანაზღაურებად სამუშაოზე** ლაპარაკობთ?

საიდან, როგორ, რანაირად?

**როცა ხელისუფლებაში ეყარენით, მაშინ სამუშაოსართმევდით ხალხს,** ბიზნესებსა და ოჯახებს უტერორებდით, ახლა რა სიყვარულის ბუშტი გაგისკდათ?

☺

**მარცხნივ რო ოჩოპინტრე დგას დაბოღმილი გამომეტყველებით,** ჩემი სოფლიდან არი წარმოშობით. ჰკითხეთ ერთი, თავის სოფელში ერთი ხე მაინც დაურგავს?!

**მარჯვნივ რო აყუდებულა,** მთლად უარესი, საკუთარ ქალაქში **„ჰუჰუს“** ეძახიან და ამასაც ჰკითხეთ, სადმე ერთი ხე მაინც დაურგავს?

☺

კაი, ჰო, **ამათ ისევ პარლამენტში შეძრომა უნდათ** და უნიჭოდ რაღაცას ცდილობენ, მაგრამ ფონად რომ ბალღები დაუყენებიათ ტრანსპარანტებით, მაგათ პატრონი არა ჰყავთ?

☺

**სამუშაო ადგილებიო, კაცოოოო, სამუშაო ადგილებიო...** მილიონი სამუშაო-ვო, ვეღარ ამბობენ, ვეღარ აკონკრეტებენ, ახლა ზოგადს აწვებიან, ზოგადსა და საზოგადოს.

**რავი, კაცო, მწყერი ლამის ალაზნის ველზე აღარ არი და ამათ თავებში რით ვერ გამაილია?!**



# თაზო „ლელოს“ წევრი!

ვინ არის **თაზო?**

**თაზო** იყო **მამუკა ხაზარაძის** პარტიის წევრი და მან პარტია დატოვა.

რატომ დატოვა ხაზარაძის პარტია **თაზომ,** ცეცხლოვან „მუსტანგზე“ არ დააპიპინებინეს?

არა, **თაზომ** იმიტომ დატოვა **„ლელო“**, რომ მას 1000-ლარიანი პენსია მოეჩვენა უტოპიად.

რა უთხრა ამის თაობაზე **თაზომ** ხაზარაძეს?

**თაზომ** ხაზარაძეს უთხრა — ამომრჩევლებს ნუ ატყუებო.

რა უპასუხა ხაზარაძემ **თაზოს?**

**ხაზარაძემ** უპასუხა — ვისაა, რომ ჰკადრებ და რასაა, რომ ჰკადრებო?

**თაზოს** ჟურნალისტებმა დაურეკეს — მართლა ეგრე იყო-ვო?

**თაზომ** — კომენტარს არ ვაკეთებო.

☺

**მე და თქვენ თაზოს შესახებ დღემდე არაფერი ვიცოდით.**

**ახლა გავიგეთ, რომ თაზო პარტია „ლელოს“ წევრი ყოფილა.**

**აეგრე, რაააა!**

**ზოგჯერ პარტიიდან უნდა წამოხვიდე, რომ მოსახლეობამ გაგიცნოს.**

☺

ამოცანა გვეკითხება: **თაზო რომ დარჩენილიყო ხაზარაძის პარტიაში, რა მოხდებოდა?**

ჩვენ დღემდე არაფერი გვეცოდინებოდა **თაზოს** შესახებ.



# ჩერგოლიტა

თავიდან **ვალერი ლეონტიევი** მეგონა, ჯერ კიდევ იმდროინდელი, „მარგარიტას“ რომ მღეროდა 90-იანების დამდეგს, თუმცა, ფონს შევხედე და ეჭვი შემეპარა, ლეონტიევი **„პოსტივის“** რანაირად უნდა უყურებდეს-მეთქი?

☺

უი, ჩვენი **თამარა** არ ყოფილა, კაცო, ახალ „ამპულაში“?

ჰოოო, **ჩერგო — ბოკერიას კნეინა!**

ესა, ალბათ, წინასაარჩევნო იმიჯია, ეგრე აპირებს უმრავლესობით მოსვლას.

რავი, ყველანი უმრავლესობებით მოდიან და ამას რა, ფეტვი ურევია?

☺

არა, დავუშვათ, წინასაარჩევნოდ იმიჯისა და გამომეტყველების შეცვლა მოგინდა, რაღა **ვალერი ლეონტიევის ფიზიონომია** უნდა გადმოიღო?

თუ აუცილებელი იყო, **ლევ ლეშჩენკოსი ან იოსებ კობზონისა არ სჯობდა? რა იყო, შე ქალო, იმათ ხელის მოსაკიდებელი ხორცი მაინც ჰქონდათ!**

☺

ისე, რაღა დაგიმალოთ და... ჩერგო **შალიაპინსაც** მაგონებს ახალგაზრდობაში, მაგრამ ასაკში შესული მაინც **ლეონტიევს** დამსგავსებია!

## კვირგვინოსნები

### ალექსანდრე რაქვიაშვილი
*„გირჩის“ წევრი*



**1 000-ლარიანი პენსიის დაპირება** არის გაუაზრებელი პოპულიზმის კარგი მაგალითი, **„ლელოს“ ვიღაც „პიარშიკებმა“ უთხრეს, რამე ასეთი დააბრეხვეთო** და ამათაც დააბრეხვეს.

„პირველი არხი“

### საბა ბუაძე
*თბილისის საკრებულოს წევრი „ლელო – საქართველოსთვის“*



აფთიაქში ვყიდულობ წამალს და გადახდის დროს **კონსულტანტი მეუბნება:**

**— რეფერენტული ფასებია, მთავრობის გაკეთებული.**

**მე:** რა კარგი მთავრობა გვყავს, გაიხარონ.

— ნამდვილად, ამ დუქიანებს აღარ ჯობია?!

**მე:** რა თქმა უნდა, ქალბატონო, მაგათ ყველა ჯობია.

**— ჰოდა, სანამ თქვენისთანა ახალგაზრდები არ გამოჩნდებიან, მე 41-ს ვხაზავ.**

**მე:** მაშინ დამპირდით, პოლიტიკაში რომ მოვალ, ჩემს პარტიას შემოხაზავთ.

**— კი დედა, გეფიცები ყველაფერს.**

ამ დროს **მეორე კონსულტანტი** იგლიჯება სიცილით.

„ალია“

### გიორგი გუგავა
*ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივანი*



მწარედ ახსოვთ ქოცებს **„შალვას ფანჩატური“,** ამიტომაცაა წარამარა რომ ახსენებენ და **რომ არა ოპოზიციის „შარლმიშელობა“, ეგ ფანჩატური მოგიღებდათ ბოლოს.**

„ალია“

### თამარ ჩარკვიანი
*თბილისელი პარლამენტარი*



**2-პროცენტიანი ხაზარაძე** რატომ აწუხებს ასე ძალიან **ღარიბაშვილს?** არ გაგიკვირდეთ, ერთ საძოვარზე რომ „გაიჩითონ“.

„ახალი თაობა“

### თინა ბოკუჩავა
*ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე*



**ქუთაისს** აუცილებლად უნდა **დაუბრუნდეს საპარლამენტო ქალაქის სტატუსი,** უნდა განვავითაროთ და გავზარდოთ ქუთაისის აეროპორტი.

„ინტერპრესნიუსი“

# სამში მესამე

***პატივცემულო მკითხველო, წინამდებარე წერილის სათაურმა არც დაგაბნიოთ და არც გაგაკვირვოთ! საქმე ის გახლავთ, რომ თბილისში ფალოსების მაღაზიის, ანუ ე.წ. „სექსშოპის“ არსებობის ფაქტი უკვე მესამედ დაფიქსირდა. სწორედ აქედან გამომდინარე შევარჩიეთ წერილის სათაურიც — „სამში მესამე“...***



1994 წლის 29 მარტი № 5 (68)

ასავალ დასავალი

ფასი 9 900 კუპონი

ნიანგები იცინიან, ანუ ფიქრები „სექს-შოფთან“ მიტროფანე ლაღიძის ქუჩაზე

თავისი იდეა თბილისელ მოქალაქეებს მიხეილ ლომაშვილსა და გიორგი კინოსოვს. მაგრამ, როგორც რუსები იტყვიან, „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“...

„სექს-შოფის“ აბრა ლაღიძის ქუჩაზე.

ასე გამოიყურება „სექს-შოფის“ გარე ვიტრინები ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში.

გიორგი კორძაძე

როგორც ცნობილია, **პირველი „სექსშოპი“ საქართველოში** ზუსტად 30 წლის წინათ, 1994 წელს, ვინმე **დავით კინოსოვმა** შუა რუსთაველზე ზუსტად იქ გახსნა, სადაც ადრე **კაფე „ნარგიზის“ ეკლერებისა და შუების განყოფილება** იყო.

**მეორე „სექსშოპი“** ოდნავ მოგვიანებით **სააკაშვილის ერთ-ერთმა ფავორიტმა და ნაცხროვის იუსტიციის მინისტრმა კოტე კემულარიამ** გააჩახჩახა პლეხანოვზე. გაჩახჩახება შემთხვევით არ გვიხსენებია, რადგან იმ ტოტალური უშუქობისა და სიბნელის ეპოქაში კოტე კემულარიას ფალოსების მაღაზიაში სწორედ **მანათობელი პრეზერვატივები** იყიდებოდა, რომლებიც შეძლებისდაგვარად ასრულებდნენ ალტერნატიული სინათლის წყაროს ფუნქციას.

დაახლოებით იმავე ფაქტთან გვაქვს საქმე ახლაც, რადგან თბილისში პირველი სექს-შოპის გახსნიდან საიუბილეო 30-ე წელს გამოჩნდა **ფალოსები, რომელიც პარაფინისგან არის დამზადებული და სანთელივით იწვის და ილვენთება.**

ასე რომ, თუ ვინმესგან გაიგონეთ — **არიქა, მიშველეთ, ფალოსი დამეწვეთა და ტანსაცმელი გამიფუჭაო!** — იცოდეთ, საუბარია სანთელზე, რომელსაც ფალოსის ფორმა აქვს და, მგონი, სათანადო მომენტში „ა ლავ იუსაც“ იძახის.

მოკლედ, ყველაფერი ამ რამდენიმე დღის წინათ დაიწყო, როცა **სამოქალაქო აქტივისტებმა — ხატია ჯანაშიამ და სიდონია ხომერიკმა** თბილისში, ცნობილი ქართველი მხედართმთავრისა და კავკასიის გმირის, გენერალ **კონსტანტინე ლესელიძის სახელობის ქუჩაზე,** რომელსაც ახლა რატომღაც **კოტე აფხაზის ქუჩა** ჰქვია, ფალოსების მაღაზია აღმოაჩინეს.

დიახ, შუა თბილისში, პირდაპირ **საკრებულოს შენობის წინ, რომელშიც უამრავი პოლიტიკური ფალოსია თავმოყრილი,** სწორედ მამაკაცის სასქესო ორგანოს, ანუ ფალოსის ფორმის სანთლები იყიდებოდა. სუვენირების მაღაზია ვინმე **სოსო ქლიბაძეს** ეკუთვნის. თავისუფლების მოედნიდან ლესელიძის ქუჩას ჩავუყვებით თუ არა, ფალოსების მაღაზია ხელმარცხნივ სულ პირველია.

ერთი სიტყვით, მაღაზიაში, სადაც რამდენიმე მშვენიერი ქალბატონია დასაქმებული, ფალოსების კორიანტელი იდგა, მაგრამ სამოქალაქო აქტივისტების გამოჩენისა და ფაქტის გახმაურების შემდეგ ფალოსები შეახვიეს და სადღაც გადამალეს. არადა, ვიტრინებსა და დახლებზე გამოფენილი და ჩამორიგებული იყო სხვადასხვა ზომის, ფორმისა და ფერის ფალოსები — გრძელი, მოკლე, წვრილი, მსხვილი, წითელი, ყვითელი, ცისფერი, ლურჯი, ვერცხლისფერი, ოქროსფერი, ბრჭყვიალა, „მოკრი ასფალტის ფერი“, „მატოვი“. ამ ყველაფერს უყურებდა გამვლელ-გამომვლელი, შინაური თუ გარეული, დიდი თუ პატარა...

როგორც ავი ენები ამბობენ, ფალოსების მაღაზიაში არაერთხელ დააფიქსირეს **ლაშა ბუღაძე, არჩილ გეგელია, ელენე ხოშტარია, სალომე სამადაშვილი, ლევან ხაბეიშვილი, ზურაბ ჭიაბერაშვილი და ზურაბ-გირჩი ჯაფარიძე,** რომლებიც სექციაში ცარიელი ჩემოდნებით შევარდნენ და მერე იქიდან გაძეძგილი ჩემოდნებით ხვნეშა-ხვნეშით გამოვარდნენ! აღარაფერს ვამბობთ იმ შემთხვევებზე, როცა **ცნობილი ქართველი მეკურტუმეები თუ ის ქალბატონები, რომლებიც ადრე ხელიდან ხელში გადადიოდნენ, მაგრამ ამ ბოლო დროს ჩამოწერეს,** სოსო ქლიბაძის თანამშრომლებს თავიანთ გასაჭირს მორცხვად და თვალების ფახურით ამცნობდნენ — ორი ცალი ფალოსი შეგვიხვიეთო!

როგორც გაირკვა, **სოსო ქლიბაძის მაღაზიაში** გამოფენილი ფალოსების კენწეროზე პატრუქის თავი იყო ამოშვერილი, რომელსაც ცეცხლს წაუკიდებდი და მერე ასე აგიზგიზებული ფალოსით გააჩახჩახებდი ყველაფერს. ფალოსის ფორმის სანთლებს ინგლისურად ეწერა **„ხელნაკეთი საქართველოში“.** თითო ფალოსი 28




**თბილისში, ლესელიძის ქუჩაზე მდებარე მაღაზია, სადაც ფალოსის ფორმის სანთლები იყიდებოდა**

## შუა თბილისში, პირდაპირ საკრებულოს შენობის წინ, რომელშიც უამრავი პოლიტიკური ფალოსია თავმოყრილი, სწორედ მამაკაცის სასქესო ორგანოს, ანუ ფალოსის ფორმის სანთლები იყიდებოდა!



# იყო 30-ე

# ლესელიძის ქუჩაზე, სოსო ქლიბაძისა და ლანა ვერულაშვილის მაღაზიაში ფალოსები აღარ გაიყიდება!




მაღაზიის მეპატრონეები – სოსო ქლიბაძე და ლანა ვერულაშვილი




ლარი ღირდა.

ფალოსების მაღაზიის გენერალური მენეჯერი აღმოჩნდა სოსო ქლიბაძის მეუღლე, ქალბატონი **ლანა ვერულაშვილი.** მან **ხატია ჯანაშიასა და სიდონია ხომერიკს,** რომლებიც მაღაზიაში პირდაპირი ფეისბუქჩართვით შევიდნენ, თანამშრომლებთან ერთად ამბავი დააწია — **ფალოსები ჩვენია და არ დავთმობთო!**

შელაპარაკება და გაწევ-გამოწევა ინციდენტის მეორე დღესაც გაგრძელდა, როცა სოსო ქლიბაძის მაღაზიასთან მისულ სამოქალაქო აქტივისტებსა და მართლმადიდებელ მოძღვარს ფალოსების მაღაზიის ამფსონებმა პოლიციელები და ვიღაც პროვოკატორები დაახვედრეს. **პოლიცია საქმეში გაერკვა თუ არა, მაშინვე ეროვნული პოზიცია დაიჭირა და ფალოსების გამყიდველებს სამოქალაქო აქტივისტების დაჩაგვრის საშუალება არ მისცა.** განსაკუთრებით ერთი თეთრქურთუკიანი აქტიურობდა, რომლის გვარი და სახელი ჩვენთვის უცნობია... როგორც გვითხრეს, ფალოსებს ფარულად სწორედ ის ამზადებს და არამარტო სოსო ქლიბაძისა და ლანა ვერულაშვილის მაღაზიას, არამედ სუვენირების სხვა წერტებსაც ამარაგებს ვაკესა თუ პლეხანოვზე, შარდენსა თუ თავისუფლების მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელებში...

**როგორც სამოქალაქო აქტივისტები აცხადებენ, ყველგან მივლენ და ფალოსების მაღაზიების მეპატრონეებს ისეთ დღეს დააყრიან, რომ აყროლებული და ბილწი ნივთებით მოვაჭრეებმა შესაძლოა, სწორედ ცეცხლმოკიდებული ფალოსებით გაუპატიურება ინატრონ!**

## მთელი ამ საქმის უბედურება ის გახლავთ, რასაც ფალოსების გენერალური მენეჯერი – ლანა ვერულაშვილი სამოქალაქო აქტივისტ ხატია ჯანაშიას უმტკიცებდა – ეს მაღაზია ეკლესია არ არის და ვინ მოგცათ უფლება, ფალოსების გაყიდვა აგვიკრძალოთო!

**ცოლ-ქმარი ქლიბაძე-ვერულაშვილი** ასე რომ ფიქრობს, სულაც არ არის გასაკვირი იმის ფონზე, როცა **ელტონ ჯყონიას ქალიშვილი** თბილისში ქართველი მეკურტუმეების ფართს აწყობს, ხოლო სტაჟიანი ჩამშვები **დავით ბერძენიშვილი** გაიძახის — **ჩვენ სექსუალური უმცირესობების საქართველო ვართო!** აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ **თბილისის მერყოფილი ჭიაბერაშვილი** მეცნიერულ დონეზე ამტკიცებდა — **„ქართვლის დედის“ ქანდაკებას ხმლისა და ფიალის ნაცვლად სინამდვილეში ხელში ფალოსი და საშო უჭირავსო!**

აი, ასეთმა ავადმყოფებმა და გარყვნილებმა მიიყვანეს საქმე **საყოველთაო კუტუნიობამდე** და ამ შემთხვევაში **ზენიალური იტალიელი მომღერალი ტოტო კუტუნიო** ნამდვილად არაფერ შუაშია!

***დიტო ჩუბინიძე***

# წელსა!






# ლგბტ სექტამ გადაწყვიტა, საქართველოს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დააკარგვინოს!

***მას შემდეგ, რაც 18 თებერვალს შერეული ორთაბრძოლის მსოფლიო ვარსკვლავმა, ქართველმა მერაბ დვალიშვილმა დაამარცხა ოლიმპიური ჩემპიონი ჭიდაობაში, მექსიკელი ჰენრი სეხუდო და მსოფლიო ჩემპიონის ქამრისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა, მის წინააღმდეგ უბინძურესი კამპანია აგორდა. დაბოლმილთა შორის უპირველესი ქართველთმოძულეობის უპირობო ლიდერი ლგბტ სექტა აღმოჩნდა.***

ლგბტ სექტის „სახემ“ და „თბილისი პრაიდის“ ერთ-ერთმა ორგანიზატორმა **ნატა ფერაძემ** სოცქსელებში პირდაპირ დაწერა — **მერაბ დვალიშვილის ჰომოფობიური განცხადებები უნდა ვთარგმნო და შერეული ორთაბრძოლების საერთაშორისო ორგანიზაციას გავუგზავნოო!** ამ სოროსელი ალქაჯის თქმით, მერაბ დვალიშვილს სპორტული კარიერა უნდა დაენგრეს, თუ საჯაროდ არ მოიხდის ბოდიშს ლგბტელთა წინაშე...

**კოლექტიურ ნატაფერაძეთა ჯოგის მიზანი მარტივია:** ქართველმა მებრძოლმა არ მოიპოვოს მსოფლიო ჩემპიონის ქამარი და ვერ გაიხაროს საქართველომ, რომელიც სიხარულით ცას ეწია იმავე 18 თებერვალს ესპანეთში მცხოვრები **ილია თოფურიას** მიერ მოპოვებული მსოფლიო ჩემპიონობის გამო.

არადა, ამ ლგბტ სექტას რომ მართლაც შეუძლია ადამიანის კარიერის დანგრევა, ეს საოპერო მომღერლის **თამარ ივერის** მაგალითმაც გვიჩვენა, როდესაც მან 2013 წლის 17 მაისს ჩაშლილი გეი-პარადის კვალობაზე, საჯაროდ გამოთქვა თავისი უარყოფითი პოზიცია ლგბტელთა მიმართ! **ჰოდა, სოდომისტებმაც უმალ უჩივლეს მომღერალს და უცხოეთში დაგეგმილი ყველა საკონცერტო გამოსვლა ჩაუშალეს.**

ამის შემდეგ **თამარ ივერი** გვერდით მიუჯდა ლგბტ სექტის იმჟამინდელ ბოსს **ირაკლი ვაჭარაძეს** და თბილისში გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე საჯაროდ მოუხადა ბოდიში ლგბტ სექტას და პირობაც დადო, რომ ყოველთვის მათი უფლებების დაცვისთვის იბრძოლებდა!



**თამარ ივერისაგან** განსხვავებით, **მერაბ დვალიშვილი** ლგბტ აქტივისტი ვერ გახდება, რადგან ქართველი ვაჟკაცია... ამასთან, იმედი ვიქონიოთ, რომ შერეული ორთაბრძოლების საერთაშორისო ორგანიზაციაში ტვინს წიხლს დააჭერენ და მსოფლიო დონის ვარსკვლავს **ნატა ფერაძისნაირი ავადმყოფების დასმენებს** არ გადააყოლებენ!

**ნატა ფერაძისათვის** რამის რჩევას აზრი არა აქვს, ამიტომ მის მეგობარ და გულშემატკივარ ნაცსოროსულ კლასტერს მივმართავ: **დააოკეთ ეს ფსიქოპათი!**

ღმერთმა არ ქნას, **მერაბ დვალიშვილს ნატა ფერაძის დასმენების გამო** ხელი შეეშალოს მსოფლიო ჩემპიონის ქამრის მოპოვებაში, თორემ ქართველი ხალხის რისხვას ვერ გადაურჩებით და საქართველოში აღარც ერთს აღარ დაგედგომებათ, რადგან **ყველანი კოლექტიურ ნატა ფერაძედ შეირაცხებით.**

***გიორგი გიგაური***

# სანამ დროა, დააოკეთ ეს ავადმყოფი ნატა ფერაძე!



მაყვალა ბერიანიძე:

# თუ ხელისუფლება კოლექტიურ ნაცებთან გარიგებულია და 2024 წლის არჩევნებზე 2012 წლის სცენარის გამეორებას გეგმავს, ესენი საქართველოდან ვერ გაასწრებენ!

*დასაწყისი იხ. „ა–დ“, 2023 წლის №54, 2024 წლის №1–9*

***ჟურნალისტი მაყვალა ბერიანიძე რუსეთის პრეზიდენტს საგანგებო განცხადებით მიმართავს და უკრაინაში მებრძოლი 22 წლის მამუკა გაწერელიას შეწყალებას სთხოვს, რომელსაც სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს:***

— თქვენი გაზეთის ორ ნომერში გამოქვეყნდა **ვლადიმერ პუტინის** უაღრესად საინტერესო ინტერვიუ **ტაკერ კარლსონთან,** რომელიც აუცილებლად უნდა შეფასდეს! დარწმუნებული ვარ, ცეცხლს პუტინის მომხრეებიც გამიხსნიან და ამერიკის თაყვანისმცემლებიც, მაგრამ მაინც ხმამაღლა ვიტყვი — კარლსონი რუსეთის პრეზიდენტთან მიაგზავნეს! თითქოს დაპირისპირებულია ბაიდენის ადმინისტრაცია მასთან, თითქოს ტაკერ კარლსონს ამერიკაში პრობლემებს უქმნიან, მაგრამ დათა თუთაშხიასი არ იყოს, **მაინც მიგზავნილი მგონია მისტერ ტაკერი პუტინთან.** ამერიკასა და გლობალურ დასავლეთს აინტერესებდათ, თუ რას ფიქრობდა იმ რუსეთის პრეზიდენტი, რომლის დაშლასაც მერამდენე წელიწადია, ლამობენ... სხვათაშორის, რუსეთის დაშლის განახლებული გეგმა მე-20 საუკუნის დასაწყისიდან მოქმედებს, რომლის თანახმადაც იგი უნდა დანაწევრდეს უკრაინად, ველიკოროსიად, ციმბირად და კავკასიად, რომლის ცენტრიც იქნება თბილისში.

**— პუტინისა და ტაკერ კარლსონის ინტერვიუში ყველაზე მეტად რამ გაგაკვირვათ?**

— ყველაზე მეტად გამეცინა, როცა პუტინმა **ტაკერ კარლსონს** უთხრა — **ზელენსკი ებრაელია, მამამისი ჰიტლერს ებრძოდა და მისი შვილი პრეზიდენტის რანგში ნაცისტი გახდაო!** აი, აქამდე მივიდა უკვე მსოფლიო... რაკი რუსეთის პრეზიდენტმა ეთნიკურ წარმომავლობაზე ჩამოაგდო სიტყვა, მაშინ მეც დავსვამ ერთ რიტორიკულ შეკითხვას — **კი მაგრამ, აფხაზეთი და სამაჩაბლო ჩვენ რეალურად დავკარგეთ პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევის დროს და ქართველები სულ პუტინს რომ ვატრიალებთ შვიდ ბრუნვაში, მედვედევს რატომ არ ვახსენებთ? მედვედევი რუსია?**

**— თქვენ ამ თემას წინა ინტერვიუშიც შეეხეთ...**

— **დიმიტრი მედვედევი** თბილისელი სომეხია, რომელმაც გვარი ინსტიტუტში ჩაბარების შემდეგ გადაიკეთა! იგივე ითქმის **სერგეი ლავროვზეც,** რომელიც ასევე წარმოშობით თბილისელი სომეხი კალანტაროვია... აღარაფერს ვამბობ **ევგენი პრიმაკოვზე,** რომელსაც მამა საერთოდ ქართველი ჰყავდა და თბილისში, პლეხანოვზე, გაიზარდა. **მოკლედ, რა დავუშავეთ ქართველებმა თბილისში გაზრდილ ხალხს, მტრად რომ მოგვეკიდნენ და ქვეყანა თავზე დაგვანგრიეს, ვერ ვხვდები!** პუტინისა და ტაკერ კარლსონის ინტერვიუმ საბოლოოდ ფარდა ახადა იმ საიდუმლოს, რაც პირადად მე ისედაც ვიცოდი — **მსოფლიოში რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეთანხმების გარეშე არაფერი ხდება!** სწორედ ამას ადასტურებს პუტინის სიტყვები — *„ამერიკელებმა შემომითვალეს, თქვენ იანუკოვიჩი დააწყნარეთ და ჩვენ კი თქვენს ოპოზიციას დავამშვიდებთ! ჩვენ შევთანხმდით და იანუკოვიჩს არ გამოუყენებია არც ჯარი და არც პოლიცია, მაგრამ შეიარაღებულმა ოპოზიციამ ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის მხარდაჭერით, კიევში მაინც მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება!“* ანუ რა გამოდის? უკრაინელ ხალხს არავინ არაფერი ჰკითხა და უკრაინაში ყველაფერი წარიმართა ისე, როგორც რუსები და ამერიკელები შეთანხმდნენ? განა საქართველოშიც იგივე არ მოხდა? ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ დღეებში შევარდნაძეს არც ჯარი გამოუყვანია და არც კომენდანტის საათი გამოუცხადებია, რადგან ამერიკის ყოფილმა პრეზიდენტმა **ჯორჯ ბუშმა** (უფროსი) დაურეკა და უთხრა — **უნდა გადადგეთ, ჩემს შვილს „ფერადი რევოლუციის“** მოწყობაში ხელს ვერ შეუშლითო! მოგეხსენებათ, ამერიკელმა ჟურნალისტმა, რომელმაც გახმაურებული წიგნი — **„ამერიკის ცამეტი ძაღლიშვილი“** გამოსცა, ცამეტ „ძაღლიშვილში“ ორი ქართველი შეიყვანა — **შევარდნაძე და სააკაშვილი.** სააკაშვილს წიგნის ავტორმა **„საქართველოს შავი ჭირი“ უწოდა.** სააკაშვილსა და მის გუნდს რომ აწინაურებდა და სულ გზას უხსნიდა, როგორ ფიქრობთ, ამას შევარდნაძე რატომ აკეთებდა? ცხადია, აკეთებდა სწორედ ამერიკელების მითითებით... მახსოვს, ერთხელ ცხონებულ **მედიკო მეზვრიშვილს** შევხვდი და ვუთხარი — **გადაეცი შენს მეგობარ შევარდნაძეს, რომ სახელმწიფო კანცელარიაში თავის მიერ მოყვანილი და დანიშნული ხალხი აგინებს-მეთქი!** ჩამოვიარეთ სახელმწიფო კანცელარია და ცხონებული **თამილა მაჭავარიანის** გარდა, შევარდნაძე კაციშვილმა არ დაიცვა — შევარდნაძის მრჩევლები და ხელქვეითები შევარდნაძეს აგინებდნენ. **მედიკო მეზვრიშვილი** სახტად დარჩა და მითხრა — ედოს ეს უნდა ვუთხრაო! რად უნდოდა შევარდნაძეს მაგის თქმა, განა თვითონ არ იცოდა, რაც ხდებოდა? **განა ამათაც არ იციან, რომ 2023 წლის 7-8 მარტს ამერიკელები ამათ ამხობდნენ?**

**— რატომ ამხობდნენ?**

— იმიტომ, რომ ქვეყანა უკრაინის ომში არ ჩართეს!

**არავინ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს არ მოგვცემდა და 2023 წლის მიწურულს საქართველოში სამოქალაქო ომი გარანტირებული გვქონდა, რომ არა ამერიკელების შიში — თბილისში რუსის ჯარი შემოვაო! არადა, რუსი მართლა შემოვიდოდა,** რადგან დიდი ხანია, მომენტს ელოდებიან და გამზადებული არიან — სოფელ ყარაფილასთან და ლა-



ვლადიმერ პუტინი და ჯო ბაიდენი



სი ძინპინი და ჯო ბაიდენი



ვლადიმერ პუტინი და სი ძინპინი

## „საქართველოს ბედი რუსეთის, ამერიკისა და ჩინეთის მოლაპარაკების დროს გადაწყდება, რომელიც წელს აუცილებლად გაიმართება!“

## კვირგვინოსნები

**მამუკა არეშიძე**
*ექსპერტი*



ნებისმიერ შემთხვევაში, **ალექსეი ნავალნი პუტინის რეჟიმის მსხვერპლია,** იმის მიუხედავად, ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა თუ მოკლეს.

„კვირის პალიტრა“

**თამარ ჩერგოლეიშვილი**
*„ტაბულას“ დამფუძნებელი*



არ ვიცი, რა შეიძლება ქნა იმაზე ვულგარული, რომ **ნავალნი** „ვივამედში“ გაშხლართულ **თვითმარქვია, ეგომანიაკ სიმულანტს შეადარო.**

„რეზონანსი“

**მაკა ბოჭორიშვილი**
*პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე*



**სალომე ზურაბიშვილი ერთგვარად ჩართულია იმ თამაშში, რა თამაშსაც მიხეილ სააკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ თამაშობს.**

„რეზონანსი“

**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*



**ნავალნი** რუსეთში დაბრუნდა საჯაროდ, **სააკაშვილი** შემოიპარა ქურდულად — ერთი **ნამდვილად იყო პოლიტპატიმარი,** მეორე **ნამდვილად არის კრიმინალი.**

„იმედინიუსი“

**ბექა ოდიშარია**
*პარლამენტარი*



**ნავალნი ყინვასა და უბედურებაში** იხდიდა სასჯელს, **სააკაშვილი დედიკოსთან ერთად** იხდის ქალაქის ცენტრში, ორპალატიან საავადმყოფოში — **ნავალნის ოჯახის მაინც შერცხვეს.**

„ინტერპრესნიუსი“

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ ერთ-ერთი ლიდერი*



**მიშა თან პუტინის ტყვეა და თან შეწყალებას ითხოვს?!**

„ახალი თაობა“

მისყანასთან ღობეებთან უდგათ ტანკები!

**— აფხაზეთის ე.წ. „პრეზიდენტის“ ასლან ბჟანიას ინტერვიუ გამოაქვეყნა „ტას“-მა, სადაც განაცხადა — საქართველოს ხელისუფლება პრაგმატულად იქცევაო, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გათვალისწინებით, რაც 1992 წელს მოხდა, უდიდესი შეცდომა იყოო, მაგრამ ომამდელი სიტუაცია არ დაბრუნდება და თბილისს რეალობის აღიარება მოუწევსო!**

— **ასლან ბჟანიას** შევახსენებ, რომ თავისი პატრონი — პუტინი ასე არ ფიქრობს, რადგან იმავე **ტაკერ კარლსონს,** როცა რუსეთ-უკრაინის ომზე ელაპარაკებოდა, განუცხადა — თანდათანობით იარები მოშუშდება და ხალხებს შორის ურთიერთობა აუცილებლად აღდგებაო!

როგორც პუტინის უკანასკნელი ინტერვიუდან ირკვევა, **რუსეთი და ამერიკა უზარმაზარ უკრაინას არ ეკითხებიან რამეს და ბჟანიას რა ჰგონია, აფხაზეთის ამბავს შეეკითხება ვინმე? საქართველოს ბედი რუსეთის, ამერიკისა და ჩინეთის მოლაპარაკების დროს გადაწყდება, რომელიც წელს აუცილებლად გაიმართება!**

არავინ იფიქროს, რომ **პუტინი და ბაიდენი** ერთმანეთს არ ელაპარაკებიან. ტაკერ კარლსონთან ინტერვიუში პუტინმა აღიარა, რომ ბაიდენთან ბოლო ხანს არ ულაპარაკია, მაგრამ „კონტაქტები აქვს“! ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამერიკა და რუსეთი გარიგებული და მორიგებული არიან? აღარაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ პუტინმა ტაკერ კარლსონი ჩაუშვა, როცა უთხრა — ვიცი, **ცერეუში** გინდოდათ მუშაობის დაწყება და კიდევ კარგი, არ მიგიღესო!

პუტინი ტაკერ კარლსონს რომ ეუბნება — **რატომ მიათრმოათრევენ რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას? იმიტომ, რომ ის აერთიანებს რუსულ სულსო!** — თქვე დალოცვილებო,

## ჩადით მოსკოვში პუტინთან და ჰკითხეთ – რას ერჩის რუსეთი ქართულ ეკლესიებს აფხაზეთში, ილორის მონასტერს რუსული გუმბათი რომ დაადგა, ხოლო, თუ სადმე უძველესი ქართული წარწერებია, ყველგან ყველაფერი წაშალა და ამოშანთა?

ჩადით და თქვენ მოუყევით პუტინს საქართველოს ისტორია, სხვები დამახინჯებულად რომ უყვებიან და უთხარით, რომ, **როგორც მონღოლებმა გამოწვეს რუსი ბერები ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში, ისე გამოწვა თემურ-ლენგმა ქვათახევში ქართველი ბერ-მონაზვნები.** ჩადით და უთხარით პუტინს, რომ, როგორც მონღოლებმა დააჭრეს რუს მთავრებს თავები, მერე გვამებზე ფიცრები დააწყვეს და ზედ იქეიფეს, ისე იქცეოდნენ მათ მიერ ხელშეწყობილი და შეიარაღებული მკვლელები აფხაზეთშიც! ყველაზე მთავარი — **თუ ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის შეთანხმება დაიდო, რომ მოკავშირე რესპუბლიკების საზღვრები არ შეიცვლებოდა, მაშინ ჩვენმა პატარა ქვეყანამ რა დააშავა?**

**— საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი პირები კრემლში ვერ ჩადიან, რადგან დაშანტაჟებული და შეშინებული არიან, რომ ამერიკელები გადატრიალებას მოუწყობენ და დაამხობენ!**

— ჰოდა, უნდა გაბედონ და ჩავიდნენ!

**— მოდით, ახლა მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე ვისაუბროთ! მამუკა ხაზარაძე რაღაც ძალიან საეჭვოდ არის ახუნტრუცებული...**

— არ ვიცი, **ნიკა გვარამიასთან** ციხეში რა მოლაპარაკება შედგა, მაგრამ **ნიკა მელიას** რომ უშიშროების აკადემია აქვს დამთავრებული, უტყუარი ფაქტია. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ნიკა გვარამია გამოვიდა და ძალიან საეჭვოდ განაცხადა — **მამუკა ხაზარაძესთან, ბაქაძესთან, „გირჩთან“ ყველაფერი გარკვეული მაქვსო!** აგერ მე და აგერ თქვენ — ესენი რაღაც ფორმით პარლამენტში უსათუოდ შევლენ, რადგან არასოდეს დამავიწყდება 2012 წლის არჩევნები, როცა ბიძინა ივანიშვილი, ფაქტობრივად, შეგუებული იყო მეორე ადგილს და 40 პროცენტს, მაგრამ ქართველმა ხალხმა გადაწყვიტა მაშინ ყველაფერი. დიახ, ხალხი ვერ გააჩერეს! რაც 2012 წლის 1 ოქტომბერს თბილისში ხდებოდა, იმაზე ერთმა ჩეხმა ჟურნალისტმა მაშინ მითხრა — **ასეთ რამეს ფულით ვერ იყიდიო!** ხალხმა ივაჟკაცა მაშინ, თორემ კიდევ ერთხელ გეუბნებით, ბიძინა ივანიშვილი შეგუებული იყო მეორე ადგილსა და 40 პროცენტს, ხოლო სააკაშვილი საერთოდ არ აპირებდა ხელისუფლების გადაბარებას და მშვიდობიანად წასვლას!

მგონია, რაღაც ამნაირი ხდება და ხელისუფლება, რომელიც გაიძახის, 60 პროცენტი გვაქვს რეიტინგიო! — აპირებს 40 პროცენტი მიუგდოს კოლექტიურ ნაცმოძრაობას! ერთი სიტყვით, 2012 წლის 1 ოქტომბერს სააკაშვილს არჩევნების შედეგი 60/40-ზე უნდოდა თავის სასარგებლოდ, მაგრამ ყველაფერი უკუღმა ამოტრიალდა. ამათაც 60/40-ზე უნდათ და ღმერთმა ნუ ქნას, ახლაც ისე აყირავდეს სიტუაცია!

**— რა გაძლევთ ამ ეჭვის საფუძველს?**

— პირდაპირ გეტყვით — საშინლად არ მომეწონა **ნიკა გვარამიას** ასე დამშვიდებული და ჰაიჰარა საუბარი ამ თემაზე და კიდევ უფრო არ მომეწონა სააკაშვილის იუმორისტების გადაბარგება სახელისუფლებო არხებზე! რას აკეთებენ, ჰარაკირს იკეთებენ? ტელევიზიით **მეგის ქარდავას** ქორწილის კადრები გავიდა და საშინლად გავმწარდი, რადგან ჭრილობები განმიახლდა. გარეწარი **სოსო თოფურიძე** იყო იმ ქორწილში თამადა, რომელსაც ვითომ ეძებენ... ვისაც **სოსო თოფურიძე** იქ ადღეგრძელებს, როგორც დეპუტატს, დღეს მინისტრის მოადგილეა. **მთელი საჯარო რეესტრი ნაცების ხელშია და გიორგი ვაშაძის მოადგილე, რომელიც ადეიშვილის დროს მუშაობდა, საჯარო რეესტრში დღესაც იმავე თანამდებობაზეა!**

ასეთ რაღაცებს შევარდნაძე აკეთებდა განგებ, რათა ხალხი გაეგიჟებინა და მერე ხელისუფლება გადაებარებინა. დიდი ეჭვი მაქვს, რომ ესენიც განგებ სჩადიან ამას.

თუ ხელისუფლება კოლექტიურ ნაცებთან გარიგებულია და 2024 წლის არჩევნებზე 2012 წლის სცენარის გამეორებას გეგმავს, პირდაპირ გეტყვით, რომ ესენი საქართველოდან ვერ გაასწრებენ!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## „ვარდების რევოლუციის“ დღეებში შევარდნაძეს ამერიკის ყოფილმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (უფროსი) დაურეკა და უთხრა — უნდა გადადგეთ, ჩემს შვილს „ფერადი რევოლუციის“ მოწყობაში ხელს ვერ შეუშლითო!“



ჯორჯ ბუში, ედუარდ შევარდნაძე და ჯეიმს ბეიკერი

## „დიმიტრი მედვედევი თბილისელი სომეხია, რომელმაც გვარი ინსტიტუტში ჩაბარების შემდეგ გადაიკეთა!“



## „არავინ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს არ მოგვცემდა და სამოქალაქო ომი გარანტირებული გვქონდა, რომ არა ამერიკელების შიში — თბილისში რუსის ჯარი შემოვაო!“

### კვირგვინოსნები

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



**ჩემი თავისუფლება და სიცოცხლე დავაგდე ქართველი ერის ფეხებთან** და ვუთხარი: **აჰა, შეგიძლიათ აიღოთ, დაიტაცოთ და გამოიყენოთ,** როგორც ინსტრუმენტი სიამაყის და იმედის დასაბრუნებლად. „ინტერპრესნიუსი“

**სოფო ჯაფარიძე**
*მიხეილ სააკაშვილის წარმომადგენელი*



**მიხეილ სააკაშვილის** გათავისუფლება დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს, **ის არის ძალიან დიდი საფრთხის ქვეშ!** ის არის პირადად **ვლადიმერ პუტინის პატიმარი, ტყვე!**

„ინტერპრესნიუსი“

**ამირან სალუქვაძე**
*ბრიგადის გენერალი თადარიგში*



**ნავალნი იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მოწინააღმდეგე, შესაბამისად, საქართველოს მტერი, სააკაშვილის** დაჯგუფება გვიმტკიცებს, რომ ნავალნი უკეთესი რუსეთისთვის იბრძოდა, მაგრამ **ვინ დაამტკიცებს, რომ ნავალნის რუსეთი ჩვენთვის უკეთესი იქნებოდა?**

„საერთო გაზეთი“

**პეტრე მამრაძე**
*პოლიტიკოსი*



ამ მოზაიკით, **ეგრეთ წოდებული ოპოზიციისგან ღირებული ძალა ვერ შეიქმნება. სააკაშვილი** არის **პუტინის** ერთგული გოშია, „კაგებეს“ ეფრეიტორი, რომელსაც „კაგებეს“ გენერალი **თემურ ალასანია** კურირებს. ინტერვიუებში ალასანია ყოველთვის ნიშნის მოგებით ამბობს — **მიშას მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ჩემ გარეშე არასდროს მიუღიაო.**

„საერთო გაზეთი“

**ზაალ კასრელიშვილი**
*ანალიტიკოსი*



ჩვენ ველოდებით **ბევრად უფრო დამანგრეველსა და სისხლისმღვრელ შეტაკებებს რუსეთ-უკრაინის არმიებს შორის,** ვიდრე აქამდე იყო.

„თბილისელები“

# «ლელოს» პოლიტიკური მდივანი «ლელოს» თავმჯდომარეს ამხელს!

***ადამიანების, მეტადრე, პოლიტიკოსთა ორპირობის, ცრუპენტელობის, უტიფრობისა და უპრინციპობის სამხილებლად ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება გახლავთ არქივი, რომელიც ყველაფერს ზუსტად იმახსოვრებს და არასოდეს არაფერი ავიწყდება.***



მაგალითად, ამ დღეებში **სატელევიზიო არქივმა** შეგვახსენა, რომ საქართველოს პარლამენტის წევრი **სალომე სამადაშვილი,** რომელიც ამჟამად **მამუკა ხაზარაძის** პარტია **„ლელოს“** პოლიტიკური მდივანი და ერთ-ერთი ლიდერი ბრძანდება, ნაციონალური მოძრაობიდან „ლელოში“ გადასვლამდე მამუკა ხაზარაძეს ულმობლად ამხელდა და აკრიტიკებდა.

უკეთ რომ ვთქვათ, **სალომე სამადაშვილი „ლელოში“ გაწევრიანებამდე ცოტა ხნით ადრე „ლელოს“ ლიდერის შესახებ სრულ სიმართლეს ღაღადებდა, რასაც ადასტურებს რამდენიმე ფრაგმენტი მისი ერთ-ერთი სატელევიზიო გამოსვლიდან, რომელიც სოციალურ ქსელებში ვრცელდება.**

იმხანად ჯერაც ნაცმოძრაობის წევრი სალომე სამადაშვილი ნაცმოძრაობის პარტიული ტელევიზიის — **„მთავარი არხის“** ეთერში აცხადებდა:

***„მამუკა ხაზარაძე ვერ ელეოდა კომუნისტურ თუ კომკავშირულ ბილეთს, რომელიც ჯიბეში ედო და იმ ხალხს, ვინც, სხვათაშორის, სისხლის ფასად მოიპოვა დამოუკიდებლობა ამ ქვეყნის, მეორე მხრიდან ებრძოდა“.***

ცხადია, **სალომე სამადაშვილი** იმას გულისხმობს, რომ **მამუკა ხაზარაძე, როგორც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი,** საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიტინგებს არბევდა.

უფრო კონკრეტულად, **სამადაშვილს** მხედველობაში აქვს 1989 წლის 18 თებერვალს თბილისში, „გეპეის“ პირველ კორპუსთან, ეროვნული მოძრაობის მიერ ჩატარებული ანტისაოკუპაციო აქცია, რომელიც კომუნისტურმა რეჟიმმა **ე.წ. მერვე პოლკის სალდაფონებისა და ზონდერკომკავშირელების ხელით დაარბია,** ერთ-ერთ მარბიელ რაზმს კი სათავეში **მამუკა ხაზარაძე** ედგა.

სალომე სამადაშვილისათვის, ალბათ, ისიც ცნობილია, რომ სწორედ **1989 წლის 18 თებერვლის აქციაზე,** რომლის მონაწილეებსაც კომკავშირელი ზონდერები სკამის გადაჭრილი ფეხებით გაუსწორდნენ, **მამუკა ხაზარაძემ** ხელი აღმართა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ერთ-ერთ მთავარ შემოქმედსა და ეროვნულ გმირზე — **მერაბ კოსტავაზე,** რასაც „ასავალ-დასავალისათვის“ მიცემულ ინტერვიუებში არაერთი ადამიანი ადასტურებს.

კი, **სალომე სამადაშვილმა** აშკარად კარგად უწყის **მამუკა ხაზარაძის ზონდერკომკავშირული ავანჩავანი** და ამიტომაც ამბობს — **იგი იმ ხალხს ებრძოდა, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობა სისხლის ფასად მოიპოვა!**

იმასაც შეგახსენებთ, რომ ნაციონალურ მოძრაობაში **სალომე სამადაშვილი არ იყო ერთადერთი, ვინც მამუკა ხაზარაძის ზონდერკომკავშირელობისა და მის მიერ მერაბ კოსტავაზე ხელის აღმართვის შესახებ საუბრობდა... ჯერ კიდევ 2018 წელს კიევში მყოფმა მიხეილ სააკაშვილმა** სოციალურ ქსელში ვიდეომიმართვა გაავრცელა, რომელშიც მამუკა ხაზარაძის შესახებ განაცხადა:

***„გეპეის“ კომკავშირის მდივანი როცა იყო, გამოვარდა იქიდან „დუბინკებით“ ის და მისი „ბაევიკები“ და მერაბ კოსტავას, რომელსაც ერთადერთი პალტო ჰქონდა ცხოვრებაში საცოდავს, რომელიც ციხიდან იყო ახალი გამოშვებული, შემოახია ეს პალტო მთლიანად მამუკა ხაზარაძემ“.***

ვერ გეტყვით, **სალომე სამადაშვილს** თავისი ყოფილი ლიდერისაგან — სააკაშვილისაგან აქვს ინფორმაცია, რომ ზონდერკომკავშირელი ხაზარაძე ეროვნული მოძრაობის მიტინგებს არბევდა თუ სხვა წყაროებს ეყრდნობა, მაგრამ ერთი რამ ფაქტია — **პარტია „ლელოს“ პოლიტიკურმა მდივანმა ზუსტად იცის, რომ პარტია „ლელოს“ დამფუძნებელი და თავმჯდომარე *„ვერ ელეოდა კომუნისტურ თუ კომკავშირულ ბილეთს, რომელიც ჯიბეში ედო და იმ ხალხს, ვინც, სხვათაშორის, სისხლის ფასად მოიპოვა დამოუკიდებლობა ამ ქვეყნის, მეორე მხრიდან ებრძოდა“.***

## სალომე სამადაშვილმა ხელი დაადო მამუკა ხაზარაძეს, როგორც ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ მებრძოლ ზონდერკომკავშირელს!

ვფიქრობთ, ყველაფერი დღესავით ნათელია და სათქმელიც ბევრი აღარაფერია, მაგრამ ორი რიტორიკული კითხვა მაინც უნდა დაისვას:

1. **რატომ გაწევრიანდა პარტია „ლელოში“ სალომე სამადაშვილი,** რომელსაც კარგად სცოდნია, რომ პარტია „ლელოს“ დამფუძნებელი და თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძე გულმხურვალე და თავცხელი ზონდერკომკავშირელი იყო, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ იბრძოდა და საბჭოთა იმპერიის მარწუხებისაგან სამშობლოს გათავისუფლების მსურველ ქართველ პატრიოტებს მიტინგებზე არბევდა?

2. **მამუკა ხაზარაძემ, რომელმაც „ასავალ-დასავალს“ სასამართლოში უჩივლა სწორედ იმიტომ, რომ ზონდერკომკავშირელობასა და ეროვნული მოძრაობის მიტინგის დარბევაში ვამხილეთ,** პარტიაში რატომ მიიღო და პოლიტიკურ მდივნად რატომ დანიშნა სალომე სამადაშვილი, რომელმაც იგი ზონდერკომკავშირელობასა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში ამხილა?

ორივე ამ კითხვას ერთი პასუხი აქვს: **სალომე სამადაშვილი და მამუკა ხაზარაძე უპრინციპო, უიდეალო და უზნეო პოლიტიკანები არიან, რომლებსაც საერთო ღირებულებები და ქვეყნის მომავალზე ფიქრი კი არა, სკამისა და ხელისუფლებისაკენ ლტოლვა აერთიანებთ!**

სხვათაშორის, სალომე სამადაშვილს არამხოლოდ ის სცოდნია, რომ **მამუკა ხაზარაძე** ზონდერკომკავშირელი იყო და ეროვნულ მოძრაობას ებრძოდა, არამედ ისიც კარგად ჰქონია გაცნობიერებული, რატომ გადაწყვიტა პოლიტიკაში მოსვლა **ხანდაზმულმა თაღლითმა...** აი, რას **ამბობდა სამადაშვილი,** სანამ ხაზარაძის პარტიის წევრი და პოლიტიკური მდივანი გახდებოდა:

***„მოდი, პირდაპირ ვთქვათ, რომ დაჭერის საფრთხე ემუქრება ხაზარაძეს. ბიძინა ივანიშვილს უნდა მამუკა ხაზარაძის დაჭერა, ყველამ ვიცით და როდესაც დაჭერის საფრთხე დაემუქრა და მაშინ გადაწყვიტა პოლიტიკურ ასპარეზზე, ასე ვთქვათ, გამოსვლა, რატომ შეიძლება, არ გაგიჩნდეს შეკითხვა, რომ საკუთარი ინტერესების დასაცავად მოდის ის პოლიტიკაში და არა — ამომრჩევლის“.***

სამადაშვილი აქაც აბსოლუტურად მართალია — **ხაზარაძე პოლიტიკაში მხოლოდ მას შემდეგ შემოვიდა, რაც პროკურატურამ ჯგუფურ თაღლითობასა და 17 მილიონი დოლარის გათეთრებაში ამხილა,** ანუ ყაჩაღ-ბანკირს პოლიტიკოსის მანტიის მოსხმა მართლმსაჯულებისაგან თავის დასაძვრენად დასჭირდა!

უნდა ითქვას, რომ **ხაზარაძემ** მიზანს ნაწილობრივ მიაღწია კიდეც... **მართალია, სასამართლომ დანაშაული დაუმტკიცა, გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა და თაღლითის სახელი დაარქვა, მაგრამ საპატიმრო სასჯელი არ შეუფარდა, რათა მისი ციხეში ჩასმა დასავლეთის თვალში ოპოზიციური პარტიის ლიდერის პოლიტიკურ დევნად არ წარმოჩენილიყო.**

მოკლედ, **ხაზარაძე** პოლიტიკაში საქართველოს ბედსა და ქართველი ხალხის უკეთეს მერმისზე ჭმუნვამ კი არა, კანონის წინაშე პასუხისგებისა და დაპატიმრების შიშმა მოიყვანა, რაზეც სალომე სამადაშვილი საჯაროდ და ხმამაღლა საუბრობდა, ვიდრე ხაზარაძის პარტიის პოლიტიკური მდივანი და ერთ-ერთი ლიდერი გახდებოდა.

არ გეგონოთ, რომ სალომე სამადაშვილი ქართულ ოპოზიციურ სპექტრში იშვიათი გამონაკლისია, რომელიც ასეთ უპრინციპობასა და მსუბუქ პოლიტიკურ ყოფაქცევას ამჟღავნებს... პირიქით, **სალომე სამადაშვილი იმ უპრინციპობის, უცხვირპირობისა და მსუბუქი პოლიტიკური ყოფაქცევის კრებსითი სიმბოლოა, რომელსაც ქართული ოპოზიციური სპექტრი თავფეხიანად მოუცავს!**

**სამადაშვილი და მისნაირები** ხომ დღეს პროდასავლურ დროშას აფრიალებენ და დიდ ანტირუსებად მოაქვთ თავი, მაგრამ ხვალ მათ პოლიტიკურ და პირად კეთილდღეობას რომ დასჭირდეს, პროდასავლურ დროშას უმალ ცეცხლს მისცემენ და ყველაზე დიდ რუსულ დროშას გაშლიან!

რაც შეეხება თავისივე პარტიის პოლიტიკური მდივნის მიერ მხილებულ და გამოჭენებულ **მამუკა ხაზარაძეს,** ეს **ხანდაზმული თაღლითი,** რომელსაც წინასაარჩევნო კამპანიის მთავარი სიმბოლო — **გასული საუკუნის 60-იან წლებში გამოშვებული ამერიკული ავტომობილი „ფორდ მუსტანგი“ აუბოლდა, აცხადებს:**

***„ცეცხლოვანი „მუსტანგი“, რომელსაც მალე შევაკეთებთ, ცეცხლითა და მახვილით აღკვეთს ამ ქვეყანაში კორუფციას, ნეპოტიზმს, „ოცნების“ მიერ გაჩერებულ პროექტებს და ნამდვილ ცეცხლს დაანთებს“.***

გესმით?! **კორუფციის „ცეცხლითა და მახვილით აღკვეთაზე“ ლაპარაკობს კორუფციის ცოცხალი და ცეცხლოვანი სიმბოლო მამუკა ხაზარაძე, რომელმაც თავისივე ბანკის აქციონერებს თაღლითური ტრიუკი ჩაუტარა და 17 მილიონი დოლარი ცხვირწინ აწაპნა!**



ხაზარაძის ძველთაძველი **„ფორდ მუსტანგი“,** რომელსაც ამასწინათ ცეცხლი წაეკიდა, შესაძლოა, მართლაც მალე შეაკეთონ, მაგრამ თავად ხაზარაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური რენომე არანაირ შეკეთებას, პროფილაქტიკასა და რეაბილიტაციას არ ექვემდებარება!

ვფიქრობთ, ამაში „ლელოს“ პოლიტიკური მდივანი სალომე სამადაშვილიც დაგვეთანხმება, რომელიც, როგორც გაირკვა, „ლელოს“ თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძის შავ წარსულსაც და ბნელ აწმყოსაც შესანიშნავად იცნობს!

**სალომე სამადაშვილი იმ უპრინციპობის, უცხვირპირობისა და მსუბუქი პოლიტიკური ყოფაქცევის კრებსითი სიმბოლოა, რომელსაც ქართული ოპოზიციური სპექტრი თავფეხიანად მოუცავს!**

***ჯაბა ხუბუა***

# გენერალისიმუსი

№13 (249) ★ 2024 წლის 26 თებერვალი ★ გამოდის 2003 წლიდან


*გუშინ, 25 თებერვალს, ზუსტად 103 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისში წითლები შემოვიდნენ და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს!*

# გუშინ თბილისში წითლები შემოვიდნენ!

ყველაფერს წინ უძღოდა ლორეს ნეიტრალურ ზონაში 1921 წლის 11-12 თებერვალს მოწყობილი არეულობა, როცა ადგილობრივი არაქართული მოსახლეობა, ძირითადად, სომხები, „აჯანყდნენ" და „დახმარებისთვის" წითელ არმიას მიმართეს. ცხადია, მე-11 წითელმა არმიამაც, რომელსაც გერმანელი **ანატოლი ჰეკერი** ხელმძღვანელობდა და ჩასაფრებული იყო, არ დააყოვნა და საქართველოში შემოიჭრიგინდა.

ლენინმა და ტროცკიმ დამატებით მე-9 წითელი არმიაც მოგვიქსიეს აფხაზეთიდან, ხოლო თერგის მხრიდან, კაზაკები და ბოლშევიკური რუსეთის სამსახურში მყოფი ჩრდილოკავკასიელი ველურები აკრაჭუნებდნენ კბილებს და საქართველოში შემოსაჭრელად ემზადებოდნენ!

**დაახლოებით 4 ათასამდე სომეხი კავალერისტი ხმალს ხელში ათამაშებდა და თბილისში შემოჭირითებაზე ოცნებობდა. არანაკლები იყვნენ აზერბაიჯანელებიც... საერთო ჯამში, 1921 წლის თებერვალში საქართველოს მტრის 40-ათასიანი ლაშქარი შემოესია, რასაც საქართველომ 10-ათასიანი სამხედრო ძალაც ვერ დაახვედრა. არადა, წარმატებული მობილიზაციის შემთხვევაში, საქართველოს 150-ათასკაციანი ლაშქრის გამოყვანა შეეძლო.**

სულძაღლი **სერგო ორჯონიკიძე** ამ დროს აზერბაიჯანში იყო...

16 თებერვალს მე-11 წითელი არმიის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, სოფელ შულავერში, **საქართველოს რევოლუციური კომიტეტი** შეიქმნა, რომელსაც **ნოე ჟორდანიამ** დაცინვით **შულავერის მთავრობა** უწოდა. სულ მალე **ნოე ჟორდანიას** თავში საცემად გაუხდა საქმე, ხოლო **შულავერის მთავრობამ** მთელი საქართველოს მოსახლეობა გაცინებული დატოვა, რადგან თბილისში დაჯდა და ქვეყნის მართვა-გამგებლობას **ერთადერთი ლეგიტიმური ხელისუფლების** სტატუსით შეუდგა.

**შულავერის მთავრობაში** შედიოდნენ: **ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, შალვა ელიავა, გიორგი ელისაბედაშვილი, საშა გეგეჭკორი, ამაიაკ ნაზარეთიანი და ბესარიონ კვირკველია.**

**გიორგი ელისაბედაშვილის** გარდა **შულავერის კომიტეტის** არცერთი წევრი თავისი სიკვდილით არ მომკვდარა... სუყველა შეეწირა ე.წ. **სტალინურ ტერორს,** რომელიც სინამდვილეში სულაც არ დაუწყია სტალინს. ამდენად, **იოსებ სტალინი** საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ყველაზე დიდი დამცველი გამოდის, რადგან, ვინც მე-11 არმიას შემოუძღვა, არცერთი არ აცოცხლა!

**ფილიპე მახარაძეს,** რომელიც ისედაც ლოგინად იყო ჩავარდნილი და სიკვდილს ებრძოდა, 1941 წლის 10 დეკემბერს სტალინმა გული გაუხეთქა, რადგან საქართველოს უზენაეს სასამართლოში, სადაც **ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმე** იხილებოდა, ფილიპე დასაკითხად გამოიძახეს. ფილიპემ სასამართლომდე ვერ მიაღწია.

**მამია ორახელაშვილი,** რომელიც **ევგენი მიქელაძის** სიმამარი და


*წითელი არმიის შემოსვლა თბილისში. 1921 წლის 25 თებერვალი*

## „შემოდიოდა სიკვდილი ცელით!" ★

ლენინის მოადგილე იყო, 1937 წლის მიწურულს დახვრიტეს!

1937 წელს დახვრიტეს **შალვა ელიავაც,** როგორც **კონტრრევოლუციონერი, მოღალატე და ჯაშუში...** სხვათაშორის, ავადსახსენებელ ყარსის ზავზე სწორედ **შალვა ელიავას** აქვს ხელი მოწერილი.

1937 წლის ოქტომბერში ამოხადეს სული **ამაიაკ ნაზარეთიანსაც,** ხოლო უსიმპათიურეს **საშა გეგეჭკორს,** რომელიც მენშევიკური მთავრობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი წევრის — **ევგენი გეგეჭკორის ბიძაშვილი და ბერიას ცოლის ალალი ბიძა** გახლდათ, ჯერ კიდევ 1928 წელს მოაკვლევინეს თავი. გადმოცემის თანახმად, **გეგეჭკორს** არ აპატიეს, რომ **ქაქუცა ჩოლოყაშვილს** თავის სახლში მალავდა და პირადად გადააცილა თავის შეფიცულებთან ერთად თურქეთის საზღვარზე.

1937 წელს დახვრიტეს უგანათლებულესი იურისტი და ექიმი, აზნაური **ბესარიონ კვირკველიაც,** რომელიც **ნოე ჟორდანიასა და აკაკი წერეთლის ნათესავი იყო.**

გაგიკვირდებათ და, დღეს, იმ არეული და სისხლიანი ეპოქიდან 103 წლის შემდეგ, საქართველოში **შულავერის კომიტეტი თუ მთავრობა** ისევ არსებობს და საქართველოს დასაქცევად ახალ-ახალ გეგმებს აწყობს. **თანამედროვე შულავერის კომიტეტში ფილიპე მახარაძის, სერგო ორჯონიკიძისა და მამია ორახელაშვილის** სულიერ მემკვიდრეებს ადგილები ასე აქვთ გადანაწილებული: საქართველოს პრემიერ-მინისტრი, თურმე, უნდა გახდეს ცნობილი გეი-პარტიის, **სტრატეგია დაღმაშენებლის** შეფი **გიორგი ჭიჭე-ვაშაძე;** შინაგან საქმეთა მინისტრად **დიმიტრი შაშკინია** გათვალისწინებული; საგარეო საქმეთა მინისტრი ან **სალომე სამადაშვილი** უნდა იყოს ან **ანა ნაცვლიშვილი,** ანდა ორივე ერთად. გეგმის თანახმად, **სალომე და ანა** კალთაში ჩაუსხდებიან ერთმანეთს და ქვეყნის საგარეო პოლიტიკას ასე წაიყვანენ; **სუს**-ის უფროსობას კონჩიტების პრინცესას **ნიკუტა გვარამიას** ჰპირდებიან, ხოლო ინფრასტრუქტურის მინისტრობას — **მამუკა ხაზარ-**ფაშას, რომელიც კიდევ ერთი გეი-პარტიის — „ლელოს" შეფია.

რაც შეეხება **სააკაშვილს,** მიშას ან ბორდელების გაერთიანების დირექტორად, ან კაპროფილების თავმჯდომარედ, ანდა კუზანოვის კლინიკის დეფლორაციის განყოფილების ჭრაკერვის მიმართულების გამგედ ნიშნავენ.

ახლა კი მივუბრუნდეთ **ჟორდანიას** დროინდელ საქართველოს, რომელიც უმძიმეს მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი და როგორც დღეს, მაშინაც ყოველი მხრიდან უტევდნენ.

**შექმნილ სიტუაციაში, როგორც მოსალოდნელი იყო, ქემალისტურმა თურქეთმა დრო იხელთა და 1921 წლის თებერვალ-მარტში სასწრაფოდ დაიკავა ართვინის, არტაანისა და ყარსის ოლქები.** 11 მარტს ბათუმში შემოვიდა დღევანდელი თურქეთის ერთ-ერთი ფუძემდებელი და **ქემალ ათათურქის** უახლოესი თანამებრძოლი, გენერალი **მუსა ქიაზიმ ყარაბექირი.** 1921 წლის 19-21 მარტს ბათუმში სისხლისმღვრელი ბრძოლები გაჩაღდა. გენერალმა **გიორგი მაზნიაშვილმა და იოსებ სტალინის** უახლოესმა მეგობარმა, ცნობილი ქართველი მსახიობის **გოგი ქავთარაძის ბიძამ, სერგო ქავთარაძემ,** მეტსახელად **ტოგომ,** რომელიც მერე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის **ვიაჩესლავ მოლოტოვის** მოადგილე და რუმინეთში საბჭოთა კავშირის ელჩი გახდა, მენშევიკები და ბოლშევიკები საქართველოს გადასარჩენად გააერთიანეს და ბათუმი თურქი ოკუპანტებისგან გაწმინდეს! ბათუმისთვის ბრძოლაში მაზნიაშვილმა 84 ქართველი ჯარისკაცი დაკარგა — ყველაზე მეტი, რაც კი ოდესმე დაუკარგავს!

სხვათაშორის, 1920 წლის 7 მაისს, როცა საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო, მოსკოვში ჩასულ საქართველოს სამთავრობო დელეგაციას **სტალინი** არ შეხვდა. საქართველოსკენ წამოსვლის წინ ქარ-


*გაგრძელება „გენერალისიმუსის" მე-2 გვერდზე*





## სერგო ორჯონიკიძის დეპეშა ლენინსა და სტალინს საქართველოს გასაბჭოების შესახებ:

„თბილისის თავზე საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალებს. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!"

# გუშინ თბილისში წითლები შემოვიდნენ!

„შემოდიოდა სიკვდილი ცელით!“ ★

*დასაწყისი „გენერალისიმუსის“ პირველ გვერდზე*

თველთა დელეგაციის მეთაური **გრიგოლ ურატაძე,** რომელიც კობას დიდი ხანია, იცნობდა, სტალინთან გამოსამშვიდობებლად ეროვნებათა საქმის სახალხო კომისარიატში მივიდა და მსოფლიო პროლეტარიატის მომავალი ბელადი ინახულა. ძველმა ნაცნობებმა თბილად მოიკითხეს ერთმანეთი... სულ ბოლოს **გრიგოლ ურატაძე** სტალინის კაბინეტიდან რომ გამოდიოდა და ის-ის იყო კარის დახურვას აპირებდა, მასპინძლის ხმამ კარის ზღურბლთან შეაჩერა. სტალინმა ურატაძეს მრავალმნიშვნელოვნად და ღიმილით ჰკითხა — **გრიშა, თბილისში მართლა გჯერათ, რომ რუსეთი ბათუმს დათმობს?**

ნოე ჟორდანია და მთელი მისი მთავრობა სწორედ ბათუმიდან გაიქცნენ ევროპაში გემით. როგორც სამხედრო ისტორიკოსები და დარგის სპეციალისტები ამტკიცებენ, საქართველოს სტრატეგიული უპირატესობაც ჰქონდა და გამარჯვებაც შეეძლო, მაგრამ გენერალმა **გიორგი კვინიტაძემ** მიიღო საეჭვო გადაწყვეტილება და 1921 წლის 24 თებერვალს 22:00 საათზე საქართველოს ხელისუფლებამ თბილისი დატოვა. სწორედ გიორგი კვინიტაძესთან მოუვიდა დაპირისპირება გენერალ **გიორგი მაზნიაშვილს,** რომელმაც დატოვა პარიზი და სამშობლოს მოაშურა, სადაც სიბერე არ აცალეს და 1937 წელს დახვრიტეს.

**ნოე ჟორდანიამ,** რომელიც ილია ჭავჭავაძეს სიცოცხლეს უშხამავდა და საქართველოს დამოუკიდებლობაზე ერთი წამითაც არ უოცნებია, საფრანგეთში წაიღო იმ დიდი საქართველოს მიერ შექმნილი ეროვნული საგანძური, რომელსაც **ილია ჭავჭავაძე** აღმერთებდა. მერე ამ განძის ორი მესამედი საფრანგეთში **შარლოენს** ღვინოებსა და პარიზულ ბორდელებში გახაზირდა, ხოლო, რაც სულმნათი **ექვთიმე თაყაიშვილის** არაადამიანური მეცადინეობით, შიმშილითა და ტანჯვა-წამებით გადარჩა, დიდი სტალინის პატივსაცემად გენერალმა **შარლ დე გოლმა** 1945 წლის აპრილში საქართველოში დააბრუნა.

1921 წლის თებერვალში საქართველოში შემოსულმა წითლებმა სულ მალე ფერი იცვალეს და საქართველოს უფლებებზე დაიწყეს წკმუტუნი. არადა, ამას საქართველოს სიყვარულით კი არა, სინამდვილეში სტალინის სიძულვილით სჩადიოდნენ, აქაოდა, **კობამ** როგორ გვაჯობა და კრემლში ფეხი როგორ მოირთხაო!

**ამ ამბიდან სამოცდაათი წლის შემდეგ იმ წითლების შვილებმა და შვილიშვილებმა, რომლებიც უკვე წითელ ინტელიგენციას წარმოადგენდნენ, საქართველოს დასაქცევად ისევ შექმნეს შულავერის კომიტეტი და ისევ გაიმარჯვეს საქართველოზე, როცა ქვეყნის არჩეული პრეზიდენტი და ეროვნული ხელისუფლება თოფითა და ზარბაზნით განდევნეს.**

თუ გენერალი **ანატოლი ჰეკერი** და მისი მე-11 არმია ცარიელ თბილისში შემოვიდნენ და ტყვიის გასროლის გარეშე დაიკავეს ქალაქი, **წითელი ინტელიგენტების** მეოხებით შექმნილმა **შულავერის კომიტეტმა** თბილისში სისხლის ტბები დააყენა და მთელი რუსთაველის პროსპექტი ცეცხლს მისცა. იმ წითლებისგან განსხვავებით მათი შთამომავლები, ანუ დღევანდელი წითლები, თავიანთ ნამდვილ სახეს მალავენ და თავს დიდ დემოკრატებად ასაღებენ... აი, მაგალითად, **მამუკა ხაზარაძე,** რომელმაც უამრავი ადამიანი გამოასახლა, ხოლო **მერაბ კოსტავას** სკამის გადაჭრილი ფეხით დასდევდა, იმ წითლებივით დღესაც ყინჩად აცხადებს, რომ ცეცხლითა და მახვილით დაეპატრონება ხელისუფლებას! **შულავერის კომიტეტის** თანამედროვე წევრები მონდომებით მალავენ თავიანთ წარსულსა და ნამდვილ სახეს... ისინი, nაირ-ნაირ კონგრესებსა და ტრენინგებზე ნათრევნი, თავს დიდ დემოკრატებად და უფლებადამცველებად წარმოაჩენენ, მაგრამ სინამდვილეში ზუსტად იმ ბანდას განასახიერებენ, რომელიც 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს დაეპატრონა!

ნათქვამია — მიწა ვერ იტანს უცხო ჯარისკაცსო!

აქედან გამომდინარე, სიმართლე უნდა ითქვას — **საქართველოში ბოლშევიკურ ოკუპაციას დიდად შეუწყო ხელი იმ ხუთმა თუ ექვსმა თვემ, როცა 1918 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე საქართველოში კაიზერული გერმანიის სამხედრო კონტინგენტი შემოვიდა და საქართველოს პორტებისა და სარკინიგზო ხაზების დაცვა იკისრა.** მაშინდელი ქართული გაზეთები სავსეა ცნობებით, სადაც გერმანელი ჯარისკაცების თავაშვებულობაა აღწერილი. მაგალითად, კახეთის სოფლებში ჩამდგარი გერმანელი ჯარისკაცები ბატებს დაერივნენ და იქაურობას სულ მუსრი გაავლეს. მომხდარის გამო კახელი გლეხები ჟორდანიას მთავრობას საჩივარს საჩივარზე უგზავნიდნენ — გერმანელები მოგვაშორეთ, სარჩო-საბადებელი სულ ერთიანად გაგვიჩანაგეს, ბატის ჭუკებიც კი აღარ შეგვარჩინესო!

ეს ყველაფერი, ცხადია, ბოლშევიკების წისქვილზე ასხამდა წყალს, ხოლო საქართველოს ხელისუფლება ამას ვერაფერს უპირისპირებდა.

**ისტორიამ ჯვარს აცვა და გაასამართლა ნოე ჟორდანია იმის გამო, რომ წითელი საფრთხის აღსაკვეთად, ფაქტობრივად, არაფერი მოიმოქმედა და ქვეყანაში შულავერის კომიტეტის პარპაში დაუშვა.**

ისტორია არც ამ ხელისუფლებას აპატიებს, თუ წითლები ისევ მოვლენ და **შულავერის კომიტეტი** საქართველოს ტერიტორიებს ბოლშევიკურის ნაცვლად ამჯერად **ლიბერალური ერთსულოვნებით** ჩამოარიგებს!

***დიტო ჩუბინიძე***



**სტალინი საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ყველაზე დიდი დამცველი გამოდის, რადგან, ვინც მე-11 არმიას შემოუძღვა, არცერთი არ აცოცხლა!**



# როგორ ერთობოდნენ წარჩინებული ქართველი ბოლშევიკები და მათი ცოლები

## სვიმონ მასხარაშვილი:

# ეს რომ სტალინს სცოდნოდა, ბოლშევიკი ლიდერი და მისი ცოლი დახვრეტას ვერ გადაურჩებოდნენ!

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი აცხადებს, რომ, თუ არა ქართველი ბოლშევიკების ღალატი, საბჭოთა კავშირის ბედი შესაძლოა, სულ სხვა გზით წასულიყო. სტალინს ეგონა, რომ კრემლში ხელისუფლებისთვის გაჩაღებულ ბრძოლაში სწორედ ქართველი ბოლშევიკები იქნებოდნენ მისი მხარდამჭერი, მაგრამ ანგარიშში მოტყუვდა:***

— 1922 წლის მაისში, ივნისში, ივლისსა და აგვისტოში, როცა ლენინი ინსულტის გამო გაითიშა, სტალინი, როგორც პარტიის გენერალური მდივანი, უკრაინაში, ციმბირსა და კავკასიაში აყალიბებდა იმ მთავარ დასაყრდენ ძალას, რომელიც საკავშირო ყრილობაზე მის გვერდით უნდა დამდგარიყო და მხარი დაეჭირა ხელისუფლების სათავეში სტალინის მოსვლისათვის.

1922 წლის სექტემბერში **ლენინი** გონს მოვიდა. ის დრო იყო, როცა საკავშირო უმაღლესი საბჭოს ყრილობა მზადდებოდა, სადაც საბჭოთა კავშირის კონფედერაციული სახელმწიფოს შექმნა უნდა გადაწყვეტილიყო. სწორედ ამ დროს კომუნისტური პარტიის ქართულმა ფრაქციამ დაიწყო ბრძოლა, მაგრამ არა სტალინის მხარდამხარ, რათა ქართველებს კრემლში ძალაუფლება აეღოთ, არამედ სწორედ ქართველი სტალინის წინააღმდეგ!

**— მაინც როგორ დაიწყეს ქართველმა ბოლშევიკებმა სტალინის წინააღმდეგ ბრძოლა და რა იყო ამ დაპირისპირების მთავარი მიზეზი?**

— ვიდრე **ლენინი** გათიშული იყო, ქართველი კომუნისტები ჩუმად იყვნენ და სიტუაციას თბილისიდან აკვირდებოდნენ, მაგრამ, როგორც კი დაინახეს, რომ გონს მოვიდა, მაშინვე ყურები ცქვიტეს და მოქმედებას შეუდგნენ. სხვათაშორის, **ლენინი** მაშინ აქტიურად მოვიდა გონს — სიტყვითაც ხშირად გამოდიოდა, წერდა და ა.შ. 1923 წლის დასაწყისში იგი კიდევ ერთხელ გაითიშა და ამის შემდეგ საბოლოოდ გახდა არაკომუნიკაბელური. მოკლედ, ქართველმა ბოლშევიკებმა 1922 წლის სექტემბერში ნაცვლად იმისა, სტალინისთვის დაეჭირათ მხარი, პირველები დაებღვნენ სწორედ სტალინს და დაიწყეს მისი დაბეზღება **ლენინთან და ტროცკისთან.** არადა, ამ დროს ქართული სეგმენტი კომპარტიაში ძალიან გაძლიერებული იყო. სტალინმა ამიერკავკასიის ფედერაცია, ფაქტობრივად, ქართველი კომუნისტების საბატონო რეგიონად აქცია და მათი გაძლიერებით საკავშირო კომპარტიაში ქართველების პოზიციები გაცილებით მყარი გახადა.

სტალინს ეგონა, რომ კრემლში ხელისუფლებისთვის გაჩაღებულ ბრძოლაში სწორედ ქართველი ბოლშევიკები იქნებოდნენ მისი მხარდამჭერი, მაგრამ ანგარიშში მოტყუვდა და **1922 წლის სექტემბერში თვალნათლივ გამოჩნდა, რომ კომპარტიის ქართული ფრაქცია თავიდან ბოლომდე ლენინისა და ტროცკის პოლიტიკურ სარეცელში დაწვა.**

ლენინს ჰქონდა საოცარი პოლიტიკური ყნოსვა და გონს მოვიდა თუ არა, მაშინვე დაინახა, რომ მისი რეალური კონკურენტი არა **კამენევი, ზინოვიევი და ტროცკი,** არამედ **სტალინი** იყო. ასეთ სიტუაციაში, როცა ლენინმა ტროცკის მოადგილეობა შესთავაზა, ქართველ კომუნისტებს შეეძლოთ, ცალსახად დაეჭირათ მხარი სტალინისთვის, მაგრამ ამ მართლაცდა სამარცხვინო ხალხმა მაშინ, როცა სტალინთან დაპირისპირებისგან თვით ტროცკიმაც თავი შეიკავა, ღიად და აშკარად დაიწყო მისი დამარხვა!

**— კი მაგრამ, რა იყო ამის მიზეზი?**

— ამის მიზეზი გახლდათ ქართული შური და მეტი არაფერი! საქართველოში მყოფი ქართველი კომუნისტები დაიბოღმნენ — ჩვენი კობა — **სტალინი — როგორ უნდა გახდეს კრემლში ჩვენი უფროსიო!** — და ლენინისა და ტროცკის მხარე დაიჭირეს. მართლაც მერამდენედ უნდა გათამაშდეს საქართველოს ისტორიაში ერთი და იგივე სცენა? 1921 წლის ზაფხულში, როცა ნაძალადევში, გიორგი პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლში, სტალინს **„ყორღანასძე“** დაუძახეს, ვინ იყო ეს ხალხი? ისინი, რომლებიც ბოლშევიკურ მე-11 არმიას ან საქართველოში შემოუძღვნენ, ანდა, ვინც რუსებს შემოუძღვა, იმათ დაუნათესავდა, მათ-



*მინადორა ორჯონიკიძე და მალაქია ტოროშელიძე*

**ისტორიკოსის თვალით ★**

თან ერთად ქეიფობდა და ჭერში ქუდს ისროდა! აი, ასეთი სიტუაცია იყო მაშინ.

**— მაინც ვინ აღვივებდა „ქართულ შურს“ განსაკუთრებული თავგამოდებით?**

— ამის თქმა ძნელია... ისე, გავლენითა და თანამდებობით ყველაზე უფრო ცნობილი ქართველ ბოლშევიკებს შორის **მამია ორახელაშვილი** იყო, რომელიც სახკომსაბჭოს თავმჯდომარის, ანუ ლენინის მოადგილე გახლდათ. ალბათ, ხელი უნდა გავიშვიროთ **ფილიპე მახარაძისკენაც,** რომელიც უშუალოდ ქართველ ბოლშევიკთა ლიდერი იყო!

**— სერგო ორჯონიკიძე?**

— **სერგო ორჯონიკიძეზე** მაინცდამაინც ვერ ვიტყვი, რომ მაშინ სტალინს უღალატა, მაგრამ **ბუდუ მდივანზე** შეიძლება ამის თქმა, რომელიც სტალინის ბავშვობის ძმაკაცი იყო და თავადური ოჯახიდან მოდიოდა. მოკლედ, ქართველი კომუნისტების უდიდესი ნაწილი სტალინს დაუპირისპირდა.

**— ოფიციალურად რის გამო დაუპირისპირდნენ ქართველი ბოლშევიკები სტალინს?**

— ოფიციალური მიზეზი ის იყო, რომ ქართველ ბოლშევიკებს არ უნდოდათ საქართველოს ყოფნა ამიერკავკასიის ფედერაციის შემადგენლობაში და სურდათ, საქართველო, როგორც სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ცალკე და დამოუკიდებელ ერთეულად შესულიყო. **ქართველ ბოლშევიკთა ეს ჯგუფი, რომელიც „ნაციონალ-უკლონისტებად“ მოინათლა, ლენინსა და ტროცკის სტალინის დასაბეზღებელ წერილებს სწერდა.** სტალინს უწევდა ურთულესი თამაში — მას არ უნდა დაეკარგა არც რუსული შოვინისტური ელექტორატი, რომელიც წარმატებით მიიმხრო ლენინის გათიშვის დროს ე.წ. „ავტონომიზაციიის“ გეგმის წარდგენისას, მაგრამ ამავდროულად ბეწვის ხიდზე უნდა გაევლო და ყველაფერი ისე წარემართა, რომ საქართველოს წინაშეც პირნათელი დარჩენილიყო!

**— ლენინი რომ აზრზე მოვიდა, სტალინის წინააღმდეგ რა ნაბიჯები გადადგა?**

— წეღანაც გითხარით და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ლენინმა, როგორც კი გონს მოვიდა, მაშინვე იგრძნო, რომ მისი კონკურენტი იყო არა „წითელი არმიის“ შეფი **ტროცკი** და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ხელმძღვანელი **გრიგოლ ზინოვიევი,** არამედ სტალინი! ლენინს ასეთი ცხოველური ინსტინქტი რომ არ ჰქონოდა, ოქტომბრის გადატრიალებას ვერ მოახდენდა. კიდევ ერთხელ გიმეორებთ: **ქართველი ბოლშევიკები, ორი-სამი კაცის გარდა, შეიკრიბნენ, დაარტყეს სტალინს და გვერდით დაუდგნენ ლენინს!**

**— 30-იან წლებში ეს მოღალატეები დახვრიტეს?**

— უმეტესობა კი, მაგრამ ყველა არა! აი, მაგალითად, **მიშა ცხაკაია,** თუნდაც იმავე **სტურუებს,** სტალინმა აპატია.

**— მაშინ სტალინს აბელ ენუქიძეც დაუპირისპირდა?**

— არა, არ ჩანს, რომ **აბელ ენუქიძე** დაუპირისპირდა! საინტერესო, იცით, რა არის? ლენინმა ქართველ „ნაციონალ-უკლონისტებს“ წერილობით დაუჭირა მხარი, მოითხოვა ამ საქმის გამოძიება და მიმართა **ტროცკის,** ეკისრა ამ საქმის მოსამართლეობა! ლენინი ძალიან ცბიერი კაცი იყო — რაკი ტროცკი სტალინს პირდაპირ ვერ დააჯახა და თავის მოადგილედ ვერ დანიშნა, ახლა უკვე ქართველი ბოლშევიკების საჩივარმა საფუძველი მისცა, ტროცკი ამ თამაშში შემოეყვანა და სწორედ მისთვის დაევალებინა მტყუან-მართლის გარკვევა!

მოკლედ, ქართველებმა ვერ შეიფერეს სტალინის ნაბოძვარი, რომლის თანახმადაც რუსეთის კომპარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტს, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ ქართველები ხელმძღვანელობდნენ და პოლიტიკური ელიტის 90 პროცენტიც ქართველი იყო, 1936 წლამდე ჩვენ გარდა სხვა ბატონ-პატრონი არ ჰყავდა! **ქართველების ღალატის მიუხედავად, სტალინმა მაინც მოახერხა ძალაუფლების ხელში აღება, რადგან ის დაეყრდნო ბუხარინს, ტომსკის და თამაშში შემოიყვანა ვიაჩესლავ მოლოტოვი, მაგრამ ასე რომ არ მომხდარიყო და ქართველებს ერთი პირი ჰქონოდათ, ეს პროცესი გაცილებით უმტკივნეულოდ გადაივლიდა და 1922 წლის შემდეგ კომპარტიის ქართული ფრაქცია მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით კიდევ უფრო გაძლიერდებოდა.**

1925 წლიდან სტალინის მთავარი დასაყრდენი გახდა კომპარტიის უკრაინული ფრაქცია. ქართველებს რომ ღალატი არ გამოეჩინათ და იმ უმძიმეს პერიოდში ბელადს გვერდით დასდგომოდნენ, სავსებით შესაძლებელია, რომ სტალინის გარდაცვალების ჟამს კრემლში ძალაუფლებას სწორედ კომპარტიის ქართული ფრაქცია დაპატრონებოდა.

**— მერედა რუსები ამას დაუშვებდნენ?**

— ნუ გვავიწყდება, რომ ეს არის კომუნისტური პერიოდი, როცა ეროვნული ნიშნით ვინმეს შევიწროება და დევნა გამორიცხული იყო. სხვათაშორის, გავითვალისწინოთ ისიც, რომ ქართველების, როგორც მმართველი ელიტის, ფენომენს მოსკოველი და ლენინგრადელი რუსები შეგუებული იყვნენ. ათეულობით გენერალი ქართველი იყო, ბოლოს და ბოლოს, თავად სტალინი რუსებს ნახევრად ღმერთად ჰყავდათ გამოცხადებული. აი, ასეთ სიტუაციაში სტალინი გვერდით რომ ათეულობით ქართველი მფარველი, ძალიან მეპარება ეჭვი, ამ ფაქტს რიგით რუსებში უკურეაქცია გამოეწვია, **მაგრამ ქართველებმა, სამწუხაროდ, ყველაფერი გააკეთეს, რომ ეს ასე არ მომხდარიყო.**

უბედურება ის არის, რომ ეს ყველაფერი არც 1922-1923 წლებში დაწყებულა. 1937 წელს ქართული პოლიტიკური სეგმენტი, რომელიც რეპრესიებში მოჰყვა, სხვა რესპუბლიკებთან შედარებით დიდი არ იყო, მაგრამ 1951 წლის ნოემბერში დაწყებულ **„მეგრელთა საქმეს“** რა ვუყოთ, როცა პირდაპირი გაგებით სერიოზულ კორუფციას ჰქონდა ადგილი? **სწორედ „ქართულმა შურმა“ და ქართველთა გაუტანლობამ მოიტანა ის შედეგი, რომ სტალინმა მემკვიდრე ვერ დატოვა, ხოლო ლავრენტი ბერიას ლიკვიდაციის დღიდან დაიწყო სტალინისა და სტალინური სისტემის ნგრევა.**

სტალინის გარშემო მართლა არ აღმოჩნდა ხალხი, ვინც შესაძლოა, მისი მემკვიდრე ყოფილიყო. არსებობდა იმის უდიდესი ალბათობა და რესურსი, რომ სტალინის სამემკვიდრეო რგოლში დომინანტი სწორედ ქართული სეგმენტი ყოფილიყო, მაგრამ ქართველმა კომუნისტებმა — **სტალინის ბავშვობისა და სიჭაბუკის მეგობრებმა და ძმაკაცებმა** — ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რათა გადამწყვეტ მომენტში, როცა სტალინი რეალურ ძალაუფლებას ხელში პირველად იღებდა, მისთვის ყელი გამოეჭრათ! როგორც ჩანს, **სწორედ 1922-1923 წლებიდან იწყება სტალინის უნდობლობა მისი თანამემამულე კომუნისტებისადმი.**

**— ცნობილია, რომ სტალინი ასკეტურად ცხოვრობდა. საინტერესოა, როგორ ცხოვრობდნენ ის ქართველი კომუნისტები, რომლებიც სტალინს ლენინთან და ტროცკისთან თბილისიდან აბეზღებდნენ და საჩივარს საჩივარზე აგზავნიდნენ?**

— დავიწყოთ იმით, რომ ქართველ ელიტურ ბოლშევიკთა დიდ ნაწილს საქართველოს მენშევიკურ მთავრობაში ოჯახის წევრები ჰყავდათ! მაგალითად, **მალაქია ტოროშელიძის** მეუღლე **მინადორა ორჯონიკიძე** დამფუძნებელი კრების წევრი და **სერგო ორჯონიკიძის ალალი ბიძაშვილი** იყო. **საშა გეგეჭკორის ალალი ბიძაშვილი** გახლდათ **ევგენი გეგეჭკორი,** ხოლო **სიმონ ჯუღელის ალალი ბიძაშვილი** იყო **ვალიკო ჯუღელი.**

როდესაც ხელისუფლება შეიცვალა, ბოლშევიკური ელიტა პირდაპირ ჩასახლდა მენშევიკური ელიტის საცხოვრებელ ბინებში. მეტიც, მათ კომფორტი არ მოუკლიათ. გარდა თბილისური ბინებისა, ქართველმა ბოლშევიკებმა წყნეთსა და სხვა ადგილებშიც გაიჩინეს აგარაკები. ცხენსა და ეტლს არ კადრულობდნენ და ყველანი ძვირადღირებულ უცხოურ მანქანებში გამოიჭიმნენ, ანუ კიტელით არ დადიოდნენ და თავი ისე ეჭირათ, როგორც იმპერიის პერიოდის უმაღლეს არაქართველ არისტოკრატებს. გვარსა და სახელს არ ვიტყვი, რადგან შთამომავლები ჰყავს და მის მიერ დაზარალებულ ადამიანთა შთამომავლებიც არსებობენ. მეორე მსოფლიო ომამდე ჩვენი ოჯახი ვერაზე ცხოვრობდა. ის დრო იყო, როცა ვაკე ჯაგნარით გახლდათ დაფარული, წყნეთის გზა ჯერ კიდევ არ იყო გაჭრილი და მეძაწვნეები წყნეთიდან თბილისში საცალფეხო ბილიკებით ვირებით დადიოდნენ. ერთ-ერთი მემაწვნე ქალი მაწვნითა და რძით ჩვენს ოჯახს ამარაგებდა და ჩვენთან დიდი ხნის ურთიერთობა ჰქონდა. საქართველოს გასაბჭოებიდან ცოტა ხანში წყნეთელი მემაწვნე ქალი მაწონს გვაძლევდა, მაგრამ რძეს — არავითარ შემთხვევაში. ბაბუაჩემი, რომელიც ვეტექიმი იყო, ამ ფაქტმა ძალიან დააინტერესა და, ბოლოს და ბოლოს, ამ ქალს, რომლის შვილებიც ჩვენი ნათესავი მღვდლის მიერ ფარულად იყო მონათლული, სიმართლე ათქმევინა — **„შულავერის კომიტეტის“ ერთ-ერთი წევრი და ქართველი ბოლშევიკების ერთ-ერთი ლიდერი, თურმე, სწორედ მისგან მარაგდებოდა რძით. ამ ბოლშევიკი ლიდერის ცოლისთვის, რომელიც საკუთარი კანის ხარისხზე ზრუნავდა, მემაწვნე ქალს წყნეთში მიჰქონდა ათეულობით ლიტრი რძე, რათა აბაზანა პირამდე ავსებულიყო. ძილის წინ ბოლშევიკი ლიდერის ცოლი ამ აბაზანაში ბანაობდა, მთელი დღის მტვერს იცილებდა, ამის შემდეგ მერქევე შედიოდა აბაზანაში, ბოლომდე ამოიღებდა ნაბან რძეს და მას ვერაზე ყიდდა. ეს ყველაფერი ხდებოდა იმიტომ, რომ იმ ბოლშევიკი ლიდერის ცოლს რძეში ფულის გადახდა არ უნდოდა.**

**— ეს ამბავი სტალინმა იცოდა?**

— ეს ამბავი ჩვენი ოჯახის გარდა არავინ იცოდა, რადგან იმ მემაწვნე ქალმა ბაბუაჩემს, ფაქტობრივად, აღსარებასავით უთხრა. ეს რომ სტალინს სცოდნოდა, ის ბოლშევიკი ლიდერი და მისი ცოლი დახვრეტას ვერ გადაურჩებოდნენ!

**— მაინც ვინ იყო ეს ქალი?**

— ეს ქალი იყო ე.წ. „ნაციონალ-უკლონისტთა“ წარმომადგენელი, რომელსაც სულ ფეხებზე ეკიდა საქართველოც, მისი დამოუკიდებლობაც და მისი სახელმწიფოებრივი სტატუსიც, მაგრამ ფეხებზე არ ეკიდა საკუთარი კანი და მზად იყო, თავისი კანის სიფაქიზისთვის მსგავსი სიბინძურე ჩაედინა!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

# „საქართველოში მყოფი ქართველი კომუნისტები დაიბოლმნენ – ჩვენი კობა, სტალინი, როგორ უნდა გახდეს კრემლში ჩვენი უფროსიო!“


სერგო ორჯონიკიძე და ბუდუ მდივანი





მამია ორახელაშვილი


ფილიპე მახარაძე


საშა გეგეჭკორი


ევგენი გეგეჭკორი


ვალიკო ჯუღელი


სიმონ ჯუღელი

## ითვლება, რომ ბერიას სტალინის სიკვდილში ურევია ხელი. არადა, წიგნის – „სტალინის და ბერიას მკვლელობა“ ავტორი ამტკიცებს, რომ ბერიას სტალინის სიცოცხლის ხელყოფა არც უცდია და ორივე „ქვეშქვეშა“ ნიკიტა ხრუშჩოვის მსხვერპლი გახდა. რომელი ვერსია უფრო ახლოსაა ჭეშმარიტებასთან?





იური მუხინი

იმ წიგნის ავტორი, რომელზეც თქვენ საუბრობთ, **რუსი ისტორიკოსი იური მუხინი** გახლავთ. ის **2002 წელს** მოსკოვში გამოვიდა. მანამდე, **1995 წელს** მან გამოსცა რუსეთში დიდი ხმაურის, პოლონეთში კი — აღშფოთების გამომწვევი ისტორიული გამოკვლევა **„ხატინის დეტექტივი“**, რომელშიც უარყოფდა **ხატინში პოლონელ ოფიცერთა დახვრეტაში შინსახკომის მონაწილეობას.**

**„ხატინის საქმეზე“** სხვა დროს ვისაუბროთ, ახლა კი მის მეორე წიგნს — **„სტალინის და ბერიას მკვლელობას“** შევეხოთ. უნდა ითქვას, რომ ეს სოლიდური ნაშრომია უზარმაზარი დოკუმენტური (მათ შორის ნაკლებად ცნობილი და უცნობი) მასალის მოხმობით, მოულოდნელი, ორიგინალური და ზოგჯერ გამაოგნებელი დასკვნებით. მათ რიცხვს განეკუთვნება **ი. მუხინის** მტკიცება, რომ **ბერიას ბელადის** დღემდე იდუმალებით მოცულ აღსასრულში ბრალი არ მიუძღვის. დღეს შეიძლება ბოლომდე დამტკიცებულად ჩაითვალოს, რომ **1953 წლის მარტში** მახლობელ აგარაკზე **კუნცევოში** მკვლელობა მოხდა, თანაც პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა, ეს პირდაპირი მკვლელობა იყო (მოწამვლის გზით, როგორც თავად მუხინიც მიიჩნევს) თუ ასევე მკვლელობა — ოღონდ სამედიცინო დახმარების აღმოუჩენლობის გზით. ფაქტი ფაქტად რჩება.

შეიძლება დავეთანხმოთ **მუხინს** — ამ დანაშაულში ერთ-ერთი წამყვანი როლი **ხრუშჩოვს** ეკუთვნის. მაგრამ რა ვუყოთ დანარჩენ სამს? სანამ ბელადს ინსულტი დაარტყამდა და მომსახურე პერსონალი მას იატაკზე უგონოდ დაგდებულს იპოვიდა, აგარაკზე ხომ ოთხი სტუმარი იყო — **ხრუშჩოვი, ბერია, მალენკოვი** და **ბულგანინი.** ჩვენი აზრით, **„მუშკეტერთა“ ამ ოთხეულში დარტანიანი სწორედ ბერია** გახლდათ.

ძალიან გვინდა კრემლის მეორე ქართველის გამართლება, მაგრამ არ გამოდის. ფაქტები მის წინააღმდეგ მეტყველებს. პირველი — ჯერ კიდევ **სტალინის** გარდაცვალებამდე **ბერია** და **მალენკოვი** ცკ-ის, მინისტრთა საბჭოს და უმაღლესი საბჭოს ერთობლივ სხდომას ატარებენ, რომელზეც მას ყველა პოსტიდან ათავისუფლებენ და ხელისუფლებას იყოფენ. **მალენკოვი პირველ — მთავრობის მეთაურის პოსტს ისაკუთრებს** (ფორმალურად), **ბერია კი — მეორეს და, ფაქტობრივად, მთელ ძალაუფლებას.** მეორე — **ბერიას** ჩაწოდებით ქვეყანაში იწყება ე. წ. „დესტალინიზაციის“ პროცესი, წყდება **ბელადის თხზულებების გამოცემა,** უქმდება ბევრი მისი მითითება, **სტალინის სახელი გაზეთების ფურცლებიდან ქრება.** თვითმხილველთა (ვ. მოლოტოვის, ლ. კაგანოვიჩის, ა. მგელაძის და სხვათა) მოწმობით, მათთან საუბარში ბერია მკვეთრად კრიტიკულად იხსენიებს **სტალინს, „დიქტატორს“, და „ტირანს“ უწოდებს მას.** მესამე — მალე ბელადის დაკრძალვის შემდეგ მის შვილს, **გენერალ-ლეიტენანტ ვასილი სტალინს „დატაცებასა“ და „ანტისაბჭოთა საქმიანობაში“ უაზრო ბრალდებით აპატიმრებენ. ვასილის** საქმის გამოძიებას **ბერია** თავის ერთგულ სატრაპს, **გენერალ ვლოძიმირსკის** ავალებს. ცხადია, **ვ. სტალინის** მოშორება აუცილებელია, რადგან მან ეჭვი აიღო და საჯაროდაც კი განაცხადა, რომ **„მამა მოწამლეს“. ვასილის** დაპატიმრებით ოთხივე დაინტერესებულია. მაგრამ ამას **ბერია** აკეთებს, ის პირადად აწერს ხელს დაპატიმრების ორდერს, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი.

შეგვიძლია, კიდევ მოვიყვანოთ მაგალითები, რომლებიც ბერიას კუნცევოს დანაშაულში ამხელს. მაგრამ, ვფიქრობ, ჩამოთვლაც საკმარისია.

**მუხინი,** რა თქმა უნდა, იმაშიც მართალია, რომ საბოლოოდ **ხრუშჩოვმა** თავისი თანამოსაქმენი და თავად **ბერია** ჭკუაში მოატყუა. მაგრამ დანარჩენში ვერ დავეთანხმებით.


ხრუშჩოვი, ბერია, მალენკოვი, ბულგანინი.

## დიდი ხნის წინ მივაქციე ყურადღება, რომ საბჭოთა კავშირის ჰიმნში (ძველ ვარიანტში) კომუნისტური პარტია ნახსენებიც არ იყო. პარტიაზე სტროფი მოგვიანებით დაემატა. ეს უცნაურად მეჩვენება. ჰიმნის ტექსტში არის ხალხთა მეგობრობა, ერთიანობა, არმია, პარტია კი არ არის. ნუთუ სტალინს – პარტიის ბელადს, მის გენერალურ მდივანს, რომელმაც პირადად გაასწორა ჰიმნის ტექსტი, ეს მომენტი მხედველობიდან გამორჩა?


1

ПОПРАВКИ, СДЕЛАННЫЕ ТОВАРИЩЕМ И.В.СТАЛИНЫМ, -23.IX
НА ПРЕДЛОЖЕННОМ НАМИ ТЕКСТЕ ГИМНА.

СЕРГЕЙ МИХАЛКОВ
ЭЛЬ - РЕГИСТАН.

Союз нерушимый Республик
СВОБОДНЫХ ~~НАРОДОВ СОЮЗ БЛАГОРОДНЫЙ.~~

Союз нерушимый республик свободных ~~свободных народов~~
~~Свободных народов союз благородный~~

Сплотила навеки Великая Русь.

Да здравствует, созданный волей народов,

Единый, могучий Советский Союз!

ЖИВИ В ВЕКАХ, СТРАНА СОЦИАЛИЗМА!
ПУСТЬ НАШЕ ЗНАМЯ МИРУ МИР НЕСЕТ.
~~ЖИВИ И КРЕПНИ, СЛАВНАЯ ОТЧИЗНА!~~
ТЕБЯ ХРАНИТ ВЕЛИКИЙ ~~РУССКИЙ~~ НАРОД.

Сквозь грозы сияло нам солнце свободы,

И великий нам
~~Нам~~ ЛЕНИН ~~в грядущее~~ путь озарил.

на верность народу,
Нас вырастил СТАЛИН-~~избранник народа~~,

На труд и на подвиги нас вдохновил.

ЖИВИ В ВЕКАХ, СТРАНА СОЦИАЛИЗМА!
ПУСТЬ НАШЕ ЗНАМЯ МИРУ МИР НЕСЕТ.
ЖИВИ И КРЕПНИ, СЛАВНАЯ ОТЧИЗНА!
ТЕБЯ ХРАНИТ ВЕЛИКИЙ ~~РУССКИЙ~~ НАРОД!

ПРИМЕЧАНИЕ: Поправки тов. СТАЛИНА /сделанные им от руки синими чернилами/ мы пометили здесь красным карандашем; синим карандашем помечены наша окончательная редакция, принятая товарищем СТАЛИНЫМ, МОЛОТОВЫМ и ВОРОШИЛОВЫМ.

ჩვენი მხრივ, დავამატებთ, არა მხოლოდ გაასწორა, არამედ, ფაქტობრივად, ჰიმნის ტექსტის თანარედაქტორი გახლდათ. ცნობილია, რომ ტექსტის თავდაპირველი ვარიანტი პოეტმა **სერგეი მიხალკოვმა** და **ჟურნალისტმა ჰაროლდ ელ-რეგისთანმა** დაწერეს, რომლებიც მაშინ სამხედრო კორესპონდენტები იყვნენ. მათ შეიტყვეს, რომ გამოცხადდა კონკურსი ახალი ჰიმნის ტექსტზე (მანამდე სსრკ სახელმწიფო ჰიმნად „ინტერნაციონალი“ ითვლებოდა), **1943 წელს** თავიანთი ტექსტი შექმნეს და ფრონტიდან მოსკოვში გააგზავნეს. მალე ისინი დედაქალაქში გამოიძახეს და ჰიმნის ტექსტის მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარემ, **მარშალმა ვოროშილოვმა** განუცხადა, რომ მათი ტექსტი **სტალინს** მოეწონა, მაგრამ მას კიდევ დამუშავება სჭირდება. მუშაობა თავად **ბელადთან** თანაავტორობით გაგრძელდა. თავისი განთქმული ლურჯი ფანქრით **სტალინი** ასწორებდა ტექსტს და მასში ახალ სტროფებსაც წერდა. ჰიმნის საბოლოო ტექსტი **1943 წლის დეკემბერში** დამტკიცდა და **1944 წლის 1 იანვრის** ღამეს პირველად შესრულდა საკავშირო რადიოთი (ა. ალექსანდროვის მუსიკა).

მართალი ბრძანდებით, **იოსებ სტალინს** ტექსტის მზადებისას ერთი მომენტიც არ გამორჩენია, პარტიის მოხსენიების გარდა. **მიხალკოვი** იხსენებს, რომ ერთხელ, როცა ტექსტს თითქოს საბოლოო სახე ჰქონდა მიღებული, ბელადმა თვითონ დაურეკა და უთხრა: **„ტექსტი რაღაც მწირ შთაბეჭდილებას ტოვებს. ერთი სტროფი არ ჰყოფნის. საჭიროა კუპლეტი არმიაზე, მის როლზე ქვეყნის ცხოვრებაში, ფაშიზმზე გამარჯვებაში“.** ამასთან, **სტალინმა** პირადად მის მიერ დაწერილი ვარიანტი შესთავაზა. ასე დაიბადა არმიისადმი მიძღვნილი სტროფი. ბელადის დაწერილი ტექსტი ჰიმნში უცვლელად შევიდა:

Мы армию нашу
растили в сраженьях,
Захватчиков подлых
с дороги сметем.
Мы в битвах решаем
судьбу поколений.
Мы к славе Отчизну
свою приведем...

და ისმის კითხვა: ნუთუ ბელადს არმია გაახსენდა და პირწმინდად დაივიწყა ქვეყნის ცხოვრებაში იმ პარტიის როლი, რომელსაც თვითონვე ხელმძღვანელობდა? რა თქმა უნდა, არა. თანამედროვეთა მოწმობით, **სტალინი** არასოდეს არაფერს ივიწყებდა და მძიმესაც კი მნიშვნელობას ანიჭებდა. აქ სხვა ამბავია. მან ჰიმნში პარტია იმ მიზეზით არ ჩართო, რომ მას სახელმწიფო სტრუქტურად არ თვლიდა. თუ გავიხსენებთ, რომ თავის სიცოცხლეში ორჯერ — **1936 წელს,** კონსტიტუციის მიღების დროს და **1952 წელს** — მე-19 ყრილობის მსვლელობისას მან სცადა, პარტია მეორე პლანზე გადაენაცვლებინა და ამ სტრუქტურისთვის მხოლოდ აგიტაცია-პროპაგანდა დაეტოვებინა, ცხადი ხდება, რომ პარტიაზე სტროფი ჰიმნის ტექსტში განზრახ არ ჩართეს.


სერგეი მიხალკოვი


ჰაროლდ ელ-რეგისთანი




გენერალისიმუსი
2024 წლის 26 თებერვალი. №13 (249)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

# შევარდნაძის საიდუმლო




## ედუარდ შევარდნაძე:

# 1978 წლის 13 აპრილის ღამით თბილისის ქუჩებში უკვე ტანკები იდგა!

**დასაწყისი იხ. „ა-დ". 2023 წლის №46-49, 51-52, 2024 წლის №1-9**

***ალბათ, ბევრ ჩვენგანს სმენია — ისეთი განცდა მაქვს, საქართველოს ისევ შევარდნაძე მართავსო, ანუ 1972 წლიდან მოყოლებული, როდესაც შევარდნაძე საბჭოთა საქართველოს ლიდერი გახდა, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, საქართველოში ყველაფერი თითქოს სწორედ შევარდნაძის გარშემო ტრიალებს — მისი გარდაცვალებიდან ლამის ათწლეულის გასვლის შემდეგაც კი. ამიტომ იმის გააზრება, ამ 50 წლის განმავლობაში რა მოხდა, რა ხდება და რა მოხდება მომავალში, სწორედ „შევარდნაძის საიდუმლოს" ამოხსნით თუ შეიძლება.***

1978 წელს საბჭოთა საქართველოს ახალ კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფო ენად დატოვების თაობაზე **შევარდნაძე** დაუფარავად წერს, რომ თავად უწყობდა ხელს ხალხში კრიტიკული განწყობის გაღვივებას და ამას ჰქონდა თავისი განსაკუთრებული მიზეზი. როგორც უკვე მოგახსენეთ, შევარდნაძე ორ ცეცხლს შუა იყო მოქცეული, რადგან კრემლში სტუმრობისას **ბრეჟნევსაც** და **სუსლოვსაც** მოახსენა, მშობლიური ენის წართმევას ქართველებში დიდი პროტესტი მოჰყვება და შეიძლება, 1956 წლის მარტის მოვლენებზე უარესიც მოხდესო.

მეორე მხრივ, თუ ქართული ენა დაკარგავდა სახელმწიფო ენის სტატუსს, ქართველი ხალხი, ადრე თუ გვიან, ამაზე მწარე პასუხს ისევ „საქართველოს პირველ კომუნისტს" მოსთხოვდა... ჰოდა, ამიტომაც იყო, რომ შევარდნაძე ამ კონსტიტუციის პროექტის განხილვისას ყოველმხრივ უჩიჩინებდა იმდროინდელ სახელოვნებო, სამწერლო თუ სამეცნიერო ელიტას, რათა ხმა აღემაღლებინათ მშობლიური ენის დასაცავად!

თუმცა, ამ პოლიტიკური კომბინაციების კვალობაზე, აქა-იქ უკვე ღია ანტისაბჭოთა განცხადებებიც კი გაისმა — თან, ანტისაბჭოთა დისიდენტების კი არა, საბჭოთა ფუნქციონერების მხრიდან:

***„მწერალთა კავშირში ძალიან მწვავე შეკრება ჩატარდა. ზოგი მხარს უჭერდა ამ ფორმულირებას*** *(ქართულის რუსული ენით ჩანაცვლებას — გ.გ.)*, ***ზოგი კატეგორიული წინააღმდეგი იყო. ხელისუფლების მიერ არდათმობის მოლოდინი პესიმიზმის მოლოდინს ბადებდა, რაც აკაკი ბაქრაძის მიერ მწერალთა კავშირში გაცხადებულ პოლიტიკურ მაქსიმალიზმში გამოვლინდა:*** *„სულ ტყუილია ჩვენი მცდელობა, აქ რომელიმე მუხლი შევცვალოთ. ჩვენ ეს არ შეგვიძლია. ამას არავინ გვკითხავს. კრემლს ასეთი კონსტიტუცია უნდა, ასეთს მიგვაღებინებენ. ჩვენ შეგვიძლია ერთი რამ: მთლიანად, თავიდან ბოლომდე უარვყოთ ეს კონსტიტუცია. ამასაც ჩვენ არავინ დაგვიჯერებს, მაგრამ მართლები ვიქნებით შთამომავლობის წინაშე. გავაგებინებთ ქართველ ხალხს, რომ ქართული მწერლობა მკვდარი არ არის, ქართულ ენას ის არ დათმობს"* ***(ე. შევარდნაძე, „ფიქრი წარსულსა და მომავალზე", გვ. 88).***




რასაც **შევარდნაძე** „პოლიტიკურ მაქსიმალიზმს" უწოდებს, ის აშკარა ანტისაბჭოთა დემარში იყო, რადგან მთელი საბჭოთა კონსტიტუციის უარყოფა საბჭოთა წყობის პირდაპირ უარყოფას ნიშნავდა!

საბოლოოდ, მწერალთა კავშირში გამართულ შეხვედრაზე შეთანხმდნენ კომპრომისულ ვარიანტზე: საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტი მიეღოთ ქართულის რუსულით ჩანაცვლების მუხლის გარეშე!

მწერლები — მწერლებად, მაგრამ მშობლიური ენის დაცვის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სტუდენტიახალგაზრდობის გააქტიურებას:

***„მიმაჩნდა, რომ ადრე თუ გვიან ახალგაზრდობა აქტიურად ჩაერთვებოდა და, მართლაც, ჩაერთო კიდეც, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა თანადგომით. უნივერსიტეტში ბატონმა რისმაგ გორდეზიანმა ითამაშა ძალიან მნიშვნელოვანი როლი. მასზე მოდიოდა ინფორმაცია, ეს კაცი არ აკეთებს იმ საქმეს, რასაც პარტიის საქმე ჰქვიაო. საიდან — კარგად მოგეხსენებათ*** *(მემუარისტი სუკ-ს გულისხმობს — გ.გ.)*. ***რისმაგი მაშინ ახალგაზრდა კაცი იყო, ნიჭიერი მეცნიერი, ელინისტი, ყველა დიდ პატივს სცემდა. მან ძალიან ბევრი იმუშავა, რომ კონსტიტუციის ამ მუხლისადმი ახალგაზრდების ინტერესი გაღვივებულიყო. ასევე იყო პოლიტექნიკურსა და სხვა ინსტიტუტებშიც.***

***პრესაში უფრო გაბედულად გამოჩნდა წერილები ამ ფორმულირების მიუღებლობაზე"*** *(იქვე, გვ. 88)*.

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ქართული ენის გადარჩენას მაშინდელი ცეკა-ს მეორე მდივანი, „კრემლის თვალი და ყური" საქართველოში **კოლბინიც** კი გულშემატკივრობდა — ყოველ შემთხვევაში, მემუარისტი ასე იხსენებს:

***„მაშინ საქართველოს ცეკას მეორე მდივანი ბენადი კოლბინი გახლდათ. როგორც ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში, მეორე მდივანი რუსი უნდა ყოფილიყო. მაგრამ მართალი არ ვიქნები, თუ არ ვიტყვი, რომ კოლბინი ჩემს პოზიციას სრულად იზიარებდა. სესიის წინა დღეს სწორედ კოლბინმა მირჩია, კიდევ ერთხელ შევხმიანებოდი ბრეჟნევს, მაგრამ ბრეჟნევს არ დაველაპარაკე, რადგან დარწმუნებული ვიყავი, მისი ჩარევა ამ საქმეში ახლა უკვე არარეალური იქნებოდა"*** *(იქვე, გვ. 89)*.

ასე დადგა 14 აპრილიც: უმაღლესი საბჭოს გადამწყვეტი სესიის დღე:

***„14 აპრილს, დილით, მაშინ, როცა უკვე ვიცოდი, რომ იმართებოდა სტიქიური შეკრებები და რომ ამ დღესაც გამოვიდოდა ახალგაზრდობა და ისიც ვიცოდი, რომ იმ ღამეს თბილისის ქუჩებში უკვე ტანკები იდგა*** *(აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არავინ ეკითხებოდა რესპუბლიკის ცეკას პირველ მდივანს, გინდა, გამოვიყვანო ტანკი თუ არაო, ეს ავტომატურად წყდებოდა: მოსკოვიდან მოდიოდა მითითება და ამით ყველაფერი თავდებოდა)*. ***სასწრაფოდ დავუკავშირდი მოსკოვში სუსლოვს, ის მანქანაში იჯდა და კრემლში მიდიოდა. ვუთხარი, რომ მდგომარეობა კატასტროფულია, რომ მთელი ხალხი ფეხზე დადგა და ძალიან დიდ უსიამოვნებას გადავეყრებოდით. და თუ ძალის გამოყენებაზე მიდგება საქმე, ამაზე წამსვლელი არ ვარმეთქი.*** *„ამიტომ, სანამ გვიანი არ არის, გთხოვთ, გემუდარებით, გარწმუნებთ, გადავხედოთ ამ საკითხს. ამას გეუბნებით, როგორც ნამდვილი კომუნისტი", —* ***ვუთხარი"*** *(იქვე, გვ. 89)*.

თუმცა, შევარდნაძის **სუსლოვზე** შეგონებებმა არ გაჭრა, საბჭოთა კავშირის მთავარი იდეოლოგი აშკარად არ იყო მზად, რამე დაეთმო, რადგან ეს საბჭოეთის ხალხების რუსიფიკაციის მის მიერ შემუშავებულ საოცნებო გეგმაზე უარის თქმას ნიშნავდა:

***„რა თქმა უნდა, თავდაპირველად უარი მითხრა. განვუცხადე, რომ ვიმოქმედებდი ისე, როგორც სინდისი მიკარნახებდა. „საკმარისია, რაც საქართველოში 1956 წელს მოხდა. თუ ეს განმეორდება, ქართველთა მრავალი თაობა მორალურად განადგურდება".***

***სუსლოვმა არ იცოდა ბუზღუნი და გაჯავრება. მითხრა, რითიც შემეძლო, უკვე დაგეხმარეთ. მეტს ვერაფერს გეტყვით, იმოქმედეთ და აგეთ პასუხიო.***

***„აგეთ პასუხი" ნიშნავდა ჯერ პოლიტბიუროზე გამოძახებას, შემდეგ მოხსნას და ასე შემდეგ..."*** *იქვე, გვ. 89)*.

მოკლედ, **შევარდნაძე** მიხვდა, რომ გაწირეს — კრემლს გადაწყვეტილი ჰქონდა, ბოლომდე გაეტანა თავისი გეგმა და შევარდნაძეს საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიაზე თავისი პირით გამოეცხადებინა, საბჭოთა საქართველო მხარს ვუჭერთ ახალ კონსტიტუციასო — ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის დასამარების ჩათვლით!

მემუარისტი ასე იხსენებს მოვლენათა შემდგომ განვითარებას:

***„საქართველოს უზენაესი საბჭოს სხდომაზე, სანამ კონსტიტუციაში ქართული ენის სტატუსის საკითხს შევეხებოდი, საბჭოს სხდომა შევწყვიტე და შესვენება გამოვაცხადე: „რა დროს თათბირია, გარეთ გავიდეთ, შვილები გველოდებიან!"***

*შენობიდან გასვლისას ჩემი მეგობრები, მწერლები* ***ნოდარ დუმბაძე და ჯანსუღ ჩარკვიანი*** *მოვიხმე, ჩემი მოხსენების ბოლო აბზაცი ვუჩვენე ქართული ენის სახელმწიფოებრიობის სტატუსის დაცვის ტექსტით და ვთხოვე — წადით, სტუდენტები გამიჩერეთ, შემდეგ დარბაზში დასხედით და მისმინეთმეთქი. პირველი განდობილები ესენი იყვნენ.* ***მერე მითხრა ჯანსუღმა, შენი მოხსენების კითხვის დროს დარბაზი სამსხვერპლოდ განწირულებივით გვიცქერდა. ნოდარმა მიჩურჩულა — ჯანსუღ, ძამა, პაატას ერთი თავი გამიგია, მაგრამ პაატას ორი თავი არაო..."*** *(იქვე, გვ. 89)*.

შევარდნაძის მოხსენება საბჭოთა საქართველოს ახალ კონსტიტუციაზე ლამის ორსაათიანი იყო, ენის საკითხი კი ბოლოში ჰქონდა შემოტოვებული. ის კი არა, მოხსენებისას, წინასწარი შეთანხმებით, **შევარდნაძეს** თვით კოლბინი აწვდიდა ქუჩაში მიმდინარე მოვლენების ამსახველ მოკლე ბარათებს:

***„მივიღე პირველი ბარათი: „ახალგაზრდობა უნივერსიტეტიდან დაიძრა".***

***მეორე ბარათი: „ისინი ოპერის თეატრს მიუახლოვდნენ".***

***მესამე აღარ იყო საჭირო, რადგან უკვე ისმოდა ყვირილი: „დე-და-ე-ნა!", „სა-ქარ-თვე-ლო!"***

***ვხვდებოდი, რომ გარეთ ხალხის უზარმაზარი მასა იყო შეკრებილი. როგორც შემდეგ თქვეს, 50-60 ათასი კაცი. ამ დროს დარბაზი შოკირებული და გატრუნული იჯდა, არავინ იცოდა, რა მოხდებოდა...***

*ბოლოს ვთქვი, რომ „ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებმა ვითათბირეთ* ***(არავითარი თათბირი არ ყოფილა)*** *და მივიღეთ გადაწყვეტილება: ქართული ენა ინარჩუნებს სახელმწიფო სტატუსს.*

***სიმართლე გითხრათ, ამას რომ ვამბობდი, ჟრუანტელმა დამიარა; მთელი დარბაზი*** *(750 კაცი ეტეოდა)* ***ადგა და ტაშისცემა დაიწყო, არა მარტო ტაში, ტირილიც... არ მინახავს სახე, ცრემლებით არ ჰქონოდა თვალები სავსე"*** *(იქვე, გვ. 90)*.

შემდეგ შევარდნაძე უზენაესი საბჭოს შენობის აივანზე გავიდა და იქიდან მიმართა რუსთაველის გამზირზე შეკრებილ ხალხს — ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი შეუნარჩუნდაო! მაგრამ ხალხს არ სჯეროდა და არ იშლებოდა. შევარდნაძე ახლა უკვე პირდაპირ რუსთაველის გამზირზე ჩავიდა და ხალხს იქ უთხრა, რომ დედაენას ვერავინ შეეხებოდა...

***„სხდომათა დარბაზში დავბრუნდი. შენობის ეზო ტანკებით იყო სავსე. იმწუთასვე ვიკითხე — ვინ გასცა განკარგულება-მეთქი. მითხრეს, რომ ასეთი განკარგულება გაიცა მთავრობის დასაცავად*** *(რა თქმა უნდა, მოსკოვიდან)*...

***შეიძლება ითქვას, რომ მაშინ თბილისში იმპერიასთან მნიშვნელოვანი ბრძოლა მოვიგეთ..."*** *(იქვე, გვ. 91)*.

მოკლედ, ჩვენ, ალბათ, ვერასოდეს გავიგებთ, რა მოხდა სინამდვილეში: შევარდნაძემ მართლა საკუთარ თავზე აიღო ახალ საბჭოთა კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის შენარჩუნების საკითხი თუ ეს მაინც მოსკოვთან შეთანხმებით გააკეთა...

ვფიქრობ, ლოგიკურად რომ განვსაჯოთ, **ბოლო მომენტში, როცა კრემლში დაინახეს, რომ რუსთაველის გამზირზე ზღვა ხალხი გამოვიდა დედაენის დასაცავად, მიხვდნენ, რომ სჯობდა, დაეთმოთ, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ხალხისთვის სროლა მოუწევდათ და სისხლისღვრა გარდაუვალი იქნებოდა, შესაბამისი უმძიმესი შედეგებით.**



ის ტანკებიც (ალბათ, უფრო, ჯავშანტრანსპორტიორები) პარლამენტის ეზოში მოსკოვის ბრძანებით შეიყვანეს, რაც შევარდნაძემაც კარგად იცოდა და შემთხვევით არ აღმოუჩენია ისინი იქ გავლისას...

თუმცა, ობიექტურობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ შევარდნაძის ძალისხმევის გარეშე, ამ ზღვა ხალხის ორგანიზება-მობილიზებაც არ მოხდებოდა!

და ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა არა აქვს, შევარდნაძემ ეს თავისი თანამდებობის კარიერის გადასარჩენად გააკეთა თუ ქართული ენის გადასარჩენად, მიზანი მიღწეული იქნა — **ქართული ენა სახელმწიფო ენად დარჩა!**

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***

***ჯანმოს დირექტორმა ტედროს ადჰანომ გებრეიესუსმა ახლახან საინტერესო ინფორმაცია გააჟღერა: „...მინდა, მკაფიოდ განვიმარტოთ, რომ „კოვიდ-19“-ის პანდემიის დროს ჯანმოს არავისთვის არაფერი დაუძალებია — არც პირბადეების ტარება, არც ჩაკეტვები, არც ვაქცინაცია. ჩვენ არ გვაქვს ამის უფლებამოსილება, ჩვენ მხოლოდ რჩევებს ვიძლევით, მაგრამ გადაწყვეტილებას იღებენ ქვეყნის მმართველები. ყველა აკრძალვა თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად მათ თავად განახორციელეს. ჩვენი ვალია, მხარი დავუჭიროთ მთავრობებს და დავეხმაროთ თავიანთი ხალხის დაცვაში, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მითითებებით და საჭიროების შემთხვევაში — მომარაგებით“.***

*„ჯანმომ ხელები დაიბანა ყველა ზიანსა და დანაშაულზე, რაც ავადსახსენებელი 2 წლის განმავლობაში მიაყენა კაცობრიობას და შედეგებზე პასუხისმგებლობა ქვეყნების მთავრობებს დააკისრა! თურმე, არც საზღვრების ჩაკეტვა, არც მსოფლიოს ლოკდაუნით გაჩერება, არც მწვანე პასპორტები, არც არავაქცინირებულთა უპრეცედენტო დისკრიმინაცია ჯანმოსთან კავშირში არ ყოფილა! უფრო მეტიც, არც ის სცოდნია ჯანმოს დირექტორს, რომ მათ მიერ რეკომენდებული ჰაიდლაინების მაკრიტიკებელ ექიმებს სამსახურებიდან მასობრივად ითხოვდნენ! ჯანმოს დირექტორის მხრიდან ასეთი უტიფარი თავის მართლება ახალი უტიფარი ჩანაფიქრის მაუწყებელია!“* — ***ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი ადამიანის ეკოლოგიის ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარემ, მედიცინის დოქტორმა თინა თოფურიამ:***



# თინა თოფურია: არსებობს 2025-2028 წლების პანდემიის გეგმა და ვირუსსაც უკვე სახელი აქვს შერქმეული!

## „ეს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული ყველაზე საზარელი დანაშაულია!“

— თავის მართლება უამრავმა საჩივარმა განაპირობა, რითიც სამსახურებიდან უსამართლოდ გათავისუფლებულმა მედპერსონალის წარმომადგენლებმა სამართალდამცველ ორგანოებს მიმართეს. მომჩივანთა უზარმაზარ არმიას სხვადასხვა პროფესიის ადამიანებიც დაემატნენ, რომლებმაც სამსახური აცრაზე უარის გამო დაკარგეს! ამჟამად მთელი მსოფლიოს მასშტაბით, სამსახურებში მათი აღდგენის, მორალური რეაბილიტაციისა და მატერიალური კომპენსაციიციან — დღეს თუ ხვალ პასუხი მათაც მოეთხოვებათ.

**— ნუთუ გადაცდომები, რაც საქართველოში ხდებოდა, ხელისუფლების თვითშემოქმედება იყო?**

— ბევრი რამ უდავოდ ასე იყო! თუნდაც ის, რომ ცოლი მანქანაში ქმრის გვერდით ვერ ჯდებოდა; ის, რომ 3-სულიანი ოჯახი სკვერში სეირნობისას ჯარიმდებოდა, რადგან ორზე მეტი ადამიანის შეკრება იკრძალებოდა; ის, რომ 9 საათზე ყველა დაწესებულება იკეტებოდა, თითქოს კორონა ამ დროს გამოდიოდა სანადიროდ; ის, რომ ტრანსპორტი გაჩერდა; ის, რომ მწვანე პასპორტების გარეშე სადღაც არ გიშვებდნენ და ბევრი სხვა სისულელე... აღარაფერს ვამბობ აუცრელთა დისკრიმინაციაზე. ცოტაც და, კუდიანებზე ნამდვილი ნადირობა დაიწყებოდა! ჩვენ კიდევ იოლად გამოვედით. ზოგ ქვეყანაში აუცრელებს სურსათის მაღაზიებშიც კი არ უშვებდნენ.

თვალნათლივ გამოჩნდა, რომ ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერად მოსვლის შემდეგ სიტუაცია განიმუხტა. შეწყდა აცრების დაძალება და მწვანე პასპორტებიც თანდათან გაუქმდა. **არ გამოვრიცხავ, ამჯერად ღარიბაშვილის გადადგომის ერთ-ერთი მიზეზი ჯანმოდან ფარული ზეწოლაც იყოს, რადგან მისი აბსურდული დირექტივების უყოყმანო შემსრულებელი არ აღმოჩნდა.** დარწმუნდნენ, ახალი პანდემიის შემთხვევაში იგი საყრდენად არ გამოადგებათ.

**— მიგვანიშნებთ, რომ წინ ახალი პანდემია გველის?**

— ვერ გეტყვით, რამდენად გამოუვათ, მაგრამ ფაქტია, რომ აანონსებენ და დროსაც მიუთითებენ. დიახ, არსებობს 2025-2028 წლების პანდემიის გეგმა და ვირუსსაც უკვე სახელი აქვს შერქმეული! უფრო მეტიც, 2022 წლის ოქტომბერში შეიქმნა სპეციალური შტაბი, სადაც მომავალი პანდემიის მოდელირება ხდება. ძირითად მოთამაშეებად რჩებიან კოვიდის დროს წარმოჩენილი სახელები: **ბილ გეითსი, ჰოპკინსის ჯგუფი და ჯანმო.** ახლა მათ ღიად ამოუდგა მხარში **გაეროც,** რომელმაც მსოფლიოს სამომავლო გეგმებზე გამოქვეყნებულ პროგრამაში პანდემია გლობალური დათბობის შემდეგ მეორე პუნქტად დაასახელა. ამასთანავე, ის შეზღუდვები, რომლებიც კორონავირუსის პანდემიას ახლდა, არასაკმარისად მიიჩნიეს და ცენზურის გამკაცრება პრიორიტეტად დასახეს. ეს ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერი აზრი, რომელიც ხელს შეუშლის ჯანმოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას, უმკაცრესად დაიბლოკება.

## «მასშტაბური პანიკის გამოწვევას აპირებენ!»

## „უნდათ, შეაჩერონ ნიურნბერგის კოდექსის მოქმედება, რომელიც კრძალავს ადამიანზე სამედიცინო ექსპერიმენტების ჩატარებას წერილობითი თანხმობის გარეშე!“




ის პროცესი მიმდინარეობს. ამას გარდა, მსოფლიო მასშტაბით ერთიანდებიან იურისტები, ექიმები, ვაქცინაციით დაზარალებულთა და გარდაცვლილთა ოჯახების წევრები. შეგროვდა უამრავი მასალა იმ ზიანთან დაკავშირებით, რაც მოჰყვა პანდემიას. ყოველივე ამას მიეცა „კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი უპრეცედენტო დანაშაულის“ კვალიფიკაცია და ნიურნბერგის კოდექსის თანახმად, მის ორგანიზატორებს უმკაცრესი სასჯელი გამოუტანეს. ეს ჯანმოსთვის საშიში პრეცედენტია,

## კვირგვინოსნები

**ხათუნა თოდაძე**
*ექიმი-ნარკოლოგი*



იშვიათად, მაგრამ **მხოლოდ ექსტაზის გამოყენებასაც აქვს ლეტალური შედეგი,** ვინაიდან იწვევს მაღალ ტემპერატურას, **კლუბში ცეკვისა და აქტიური მოძრაობის ფონზე** იზრდება ოფლიანობა და ადამიანი სითხეს თუ არ მიიღებს, **ყოფილა ჰიპოვოლემიური შოკით გარდაცვალების შემთხვევებიც.** თუმცა, თანამედროვე კლუბებში იციან რისკები და მომხმარებელს მათ შესახებ აფრთხილებენ... არცთუ იშვიათად, **ფენტანილი, რომელიც ჰეროინზე 50-ჯერ ძლიერია ან სხვა მძიმედმოქმედი ნარკოტიკია შერეული იმავე ექსტაზში.**

„კვირის პალიტრა“

**შალვა კეკელია**
*დეკანოზი*



ისე შეფუთეს, თითქოს მე ახალგაზრდებს გართობას ვუკრძალავ. **აქ გართობაზე კი არ არის ლაპარაკი, ადამიანები გველუპებიან!** ახლა უნდათ **კლუბური ნარკოტიკი გამოყონ სხვა ნარკოტიკისგან და გაიძახიან, კლუბურ ნარკოტიკს ნარკოტიკი არ უნდა ეწოდებოდესო.** აქამდეც კი მიჰყავთ საქმე, ეს საშინელებაა!

„კვირის პალიტრა“

**ლელა ჯეჯელავა**
*ანალიტიკოსი*



თუკი **დეკანოზმა მამალაძემ** იბრძოლა ბოლომდე თავისი სიმართლის დასამტკიცებლად, მაშინ **გამოიკვეთება ძალიან ბევრი მღვდელმსახურისა და მთელი სახელმწიფო სისტემის უსამართლო ქმედება.** ვინ დაავალა **ვანო ჩხარტიშვილს** პატრიარქისთვის ერჩია, რომ გადამდგარიყო?

„ახალი თაობა“

**სოსო არჩვაძე**
*ეკონომიკის პროფესორი*



უნდა შევეჩვიოთ ერთ რამეს — **სიღარიბეში თანასწორობას სჯობს სიმდიდრეში უთანასწორობა.**

„კვირის პალიტრა“



# „ეს იქნება გლობალური მედია-პროექტი, გაცილებით მძაფრი, ვიდრე გახლდათ კოვიდისტერია!“

**— მაგრამ ჯანმოს დირექტორი ხომ გარკვევით ამბობს, რომ მხოლოდ კონსულტაციებით დაკმაყოფილდებიან?**

— ეს სიცრუეა. ჯანმომ 2022 წელს წარმოადგინა „ახალი პანდემიური ხელშეკრულება“, სადაც გაფართოებულ უფლებებს ითხოვს. პანდემიის გამოცხადების შემთხვევაში იგი, ფაქტობრივად, მსოფლიოს ერთპიროვნული მმართველი ხდება და ძალას კარგავს ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული ყველა საერთაშორისო შეთანხმება და ნებისმიერი ქვეყნის კონსტიტუციაც! დიახ, **ჯანმოს გადაწყვეტილება იქნება არა კონსულტატიური, არამედ იმპერატიული, ანუ აუცილებლად შესასრულებელი!** ბევრმა ქვეყანამ უარი თქვა ჯანმოსთვის ასეთი უფლებების მიცემაზე, რადგან ეს ემუქრება მათ სუვერენიტეტს, მაგრამ 2023 წელს ჯანმომ წარადგინა მორიგი პროექტი, რომლის რატიფიკაციაც მიმდინარე წლის მაისში უნდა მოხდეს. ხელისუფალი, რომელიც ხელს მოაწერს ამ დოკუმენტს, უკვე იძულებული იქნება, თავის ქვეყანაში შეასრულოს ჯანმოს მიერ დადგენილი ყველა მოთხოვნა. წერია, რომ „ქვეყნებს ეძლევათ 10 თვის განმავლობაში თავის შეკავების უფლება“, მაგრამ ამის შემდეგ მათი დუმილი ავტომატურად ჩაითვლება „თანხმობად“! რადგან ბევრი ქვეყანა ეწინააღმდეგება აღნიშნული დოკუმენტის რატიფიკაციას, ჯანმოს შეშფოთებული დირექტორი **ბებრეიესუსი** ვიდეომიმართვას ავრცელებს და არწმუნებს სტუდენტ-ახალგაზრდობას, რომ ეს „პანდემიური ხელშეკრულება“ სასიცოცხლოდ აუცილებელია მათი მომავლისათვის და საჭიროა ზეწოლა ამა თუ იმ ქვეყნის მთავრობაზე, რათა ხელი მოაწერონ ამ დოკუმენტს. ქართველი ახალგაზრდების უმრავლესობას ამ მიმართვის შესახებ არაფერი სმენია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჯანმოს გააჩნია ყველა რესურსი, რათა დააფინანსოს ახალგაზრდების მარგინალური ჯგუფები სიტუაციის აღსარევად და ჯანმოს დოკუმენტის რატიფიკაციისთვის.

**— ვარაუდობთ, რომ ახალი მომაკვდინებელი ვირუსის გაშვებას აპირებენ?**

— არა მგონია, გაბედონ, რადგან ისინიც ამ პლანეტაზე რჩებიან საცხოვრებლად. ჩემი აზრით, მხოლოდ მასშტაბური პანიკის გამოწვევას აპირებენ. **ეს იქნება გლობალური მედია-პროექტი, გაცილებით მძაფრი, ვიდრე გახლდათ კოვიდისტერია.** თუმცა, კაცობრიობას უკვე დაუგროვდა გამოცდილება და ამ მახეში მასობრივად აღარ გაებმება. როგორც ჩანს, ჯანმოს მთავარი მიზანია პლანეტის მოსახლეობის სრული ვაქცინაცია და კოვიდპანდემიის დროს დაშვებული შეცდომების გამოსწორება.

**— რა იგულისხმება შეცდომებში ან რის გამოსწორებას აპირებენ?**

— უნდათ, შეაჩერონ **ნიურნბერგის კოდექსის** მოქმედება, რომელიც კრძალავს ადამიანზე სამედიცინო ექსპერიმენტების ჩატარებას წერილობითი თანხმობის გარეშე. სხვათაშორის, ნიურნბერგის კოდექსის გაუქმების წარუმატებელი მცდელობა მათ უკვე ჰქონდათ. ამჯერად შეეცდებიან ამ კოდექსის თუნდაც დროებით შეჩერებას, რადგან ნებისმიერი ვაქცინა, რასაც მომავალში შემოგვთავაზებენ, იქნება ახალი ტექნოლოგიით ნაჩქარევად დამზადებული და, ცხადია, გამოუცდელი, ანუ ისევ ექსპერიმენტთან გვექნება საქმე!

**— რა არის ამ ყველაფრის საბოლოო მიზანი?**

— სამწუხაროდ, ვერაგული მიზანი შენიღბულია და მის კრიტიკას რახანია, „შეთქმულების თეორია“ უწოდეს! ისე კი, აღარც მალავენ, რომ ზრუნავენ პლანეტის გადასარჩენად, რომელიც ვეღარ უძლებს ეგზომ გამრავლებულ მოსახლეობას! გლობალური დათბობაც ამასთან კავშირშია. თურმე, ჩვენი და ჩვენი შვილების ამონასუნთქი აღნობს ყინულებს, რამაც შეიძლება წარღვნა გამოიწვიოს! ძროხებიც ამიტომ უნდა ამოწყვიტონ. „ფაიზერის“ დირექტორმა **ალბერტ ბურლამ** დაგვამშვიდა — ნუ გეშინიათ, ვაქცინები უკვე მზად გვაქვსო! მოკლედ, აბსურდის თეატრში მგონია თავი. არადა, ფაქტია, **ეს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული ყველაზე საზარელი დანაშაულია, რაც კი ცივილიზაციის არსებობის მანძილზე მომხდარა!**

**„ყველაზე სწორი ნაბიჯი იქნება, საქართველო საერთოდ გამოვიდეს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციიდან!“**




**— გამოსავალს რაში ხედავთ?**

— ყველაზე სწორი ნაბიჯი იქნება, საქართველო საერთოდ გამოვიდეს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციიდან! მაგრამ ამ ეტაპზე ამის პერსპექტივას ვერ ვხედავ. ისღა გვრჩება, მოვთხოვოთ ჩვენს მთავრობას, უარი განაცხადოს ახალი პანდემიური ხელშეკრულების ხელმოწერაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც კი ჯანმო გამოაცხადებს პანდემიას ან გლობალურ დათბობასთან დაკავშირებულ რაიმე საგანგებო სიტუაციას, ჩვენი ქვეყანა დაკარგავს სუვერენიტეტს და გახდება გლობალისტების ნებისმიერი ახირების შემსრულებელი! პირველ რიგში, ეს იქნება სავალდებულო, ანუ იძულებითი აცრა, განსაკუთრებული აქცენტით — ბავშვებზე!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

## კვირგვინოსნები

**ოთარ შამუგია**
*გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი*



შევიძინეთ **2 თანამედროვე რადარი,** რომელიც საშუალებას გვაძლევს, **მოსალოდნელი ამინდის შესახებ უფრო ზუსტი ინფორმაცია მივაწოდოთ მოსახლეობას და შესაბამის სამსახურებს.**

„TV იმედი“

**სანდრო თვალჭრელიძე**
*ექსპერტი*



საქართველო **გეოდინამიკურად აქტიური ქვეყანაა** და პლანეტაზე მიმდინარე პროცესების ფონზე **საფრთხეები იზრდება.** საქართველოში სასწრაფოდ **უნდა აღდგეს გეოლოგიური სამსახური.** სხვანაირად რამდენი სადგურიც არ უნდა დავამონტაჟოთ, საქმეს არ ეშველება.

„კვირის პალიტრა“

**ნინო ჩხობაძე**
*„აღმოსავლეთპარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის“ ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე*



დღეს **გეოლოგების** ნაწილი გარემოს დაცვის სამინისტროშია, ნაწილი — ეკონომიკის სამინისტროში, **სულ 20 კაცამდეა.** წარმოგიდგენიათ, რამხელა სტრუქტურა იყო და რა დონეზე ვართ დასული? **სიგნალების დამონტაჟება მოგვცემს გაფრთხილებას, მაგრამ ხალხი ვერ მოასწრებს გასვლას.** უკვე ტრაგედიიდან ტრაგედიამდე ვცხოვრობთ. სხვათაშორის, სადაც სისტემები დგას, იქაც პრობლემებია. **წყნეთთან დგას სისტემა, გავსებულია ბადეები ჩამონაშალით, მაგრამ არავინ წმენდს, არადა, ნაშალი დააწვება და მოწყვეტს ყველაფერს.** ერთია დააყენო სისტემები და მეორეა გაკონტროლება, გაწმენდა.

„კვირის პალიტრა“

**ანზორ ქითანავა**
*ენერგეტიკოსი*



ის შეცდომა, რაც დაუშვა ხელისუფლებამ და **გაანადგურა ჩვენი ენერგეტიკა,** მოშალა ყველა კვლევითი სამეცნიერო-საპროექტო დაწესებულება და სხვა, უნდა გამოასწოროს. **ენერგეტიკა თუ არ იქნა, არ იქნება ეკონომიკა.**

„რეზონანსი“



# „წყალი ორგანიზმიდან შაქარს დევნის და როცა გვწყურია, წყალზე უარი არ უნდა ვთქვათ!“

**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე გაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი-ფორტე“,** რომლებსაც ათასობით ადამიანი ღებულობს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.



**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**

## კახა საბახტარიშვილი:

# ყველაზე დიდი ზიანი შაქრიან დიაბეტს სისხლძარღვებისთვის მოაქვს!

**„სისხლში მაღალი შაქრის პირობებში ტვინის რუხი ნივთიერების ატროფია ხდება, ტვინი ზომაში მცირდება და ის ცენტრები, რომლებიც მეხსიერებაზე არიან პასუხისმგებელი, ქვეითდება!“**




***ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი იმ ორგანოებს ასახელებს, რომლებსაც შაქრიანი დიაბეტი განსაკუთრებით აგრესიულად უტევს:***

— არაერთხელ გვითქვამს, რომ ინსულინრეზისტენტობა, ანუ ფარული დიაბეტი საქართველოში მოსახლეობის 60-70 პროცენტს აღენიშნება! მთელი უბედურება ის გახლავთ, რომ ადამიანის აბსოლუტურ უმრავლესობას ამის შესახებ წარმოდგენაც კი არა აქვს. არადა, შაქრიანი დიაბეტი უცებ არ ვითარდება და მისი ფორმირება უმეტესწილად ხუთი-ათი წლის განმავლობაში გრძელდება. ადამიანების უმრავლესობა ექიმს მხოლოდ მაშინ აკითხავს, როცა სახეზეა დიაბეტის შვიდი აშკარა ნიშანი:

**1.** ხშირი შარდვა;

**2.** ძლიერი წყურვილის შეგრძნება;

**3.** დანაყრების მიუხედავად, გამუდმებული შიმშილის გრძნობა;

**4.** მხედველობის გაუარესება;

**5.** ნევროზულობა;

**6.** აუხსნელი სისუსტე;

**7.** სასქესო ორგანოების ქავილი.

ალბათ, დამეთანხმებით, რომ ადამიანის დიდ უმრავლესობას არცერთი ეს ნიშანი არ აწუხებს და ჰგონია, რომ დიაბეტი არ ემუქრება, მაგრამ ეს გახლავთ უკიდურესად ვერაგი ავადმყოფობა თუნდაც იმიტომ, რომ საწყის ეტაპზე თითქმის უსიმპტომოდ მიმდინარეობს. დიაბეტის ფარულ გამოვლინებებზე ჩვენ დაწვრილებით ვისაუბრეთ, მაგრამ არაფერი გვითქვამს დიაბეტის უმთავრესი სამიზნეების შესახებ, ანუ განსაკუთრებით რომელ ორგანოებს ემტერება ეს საშიში სენი!

**— მაინც რომელი ორგანოა დიაბეტის ნომერ პირველი სამიზნე?**

— შაქრიანი დიაბეტი აზიანებს:

**1.** სისხლძარღვებს;

**2.** თავის ტვინსა და ნერვულ უჯრედებს;

**3.** თვალს;

**4.** თირკმლებს.

ყველაზე დიდი ზიანი შაქრიან დიაბეტს მაინც სისხლძარღვებისთვის მოაქვს, რომელთა ძირითადი ფუნქცია ყველა ორგანოსა და უჯრედისთვის სისხლის მიწოდებაა. იმისათვის, რომ სისხლმა შეუფერხებლად იმოძრაოს, სისხლძარღვებში არანაირი დაბრკოლება არ უნდა იყოს. ამიტომაც არის სისხლძარღვების კედლები ელასტიკური და დრეკადი, ხოლო მისი შიდა კედლები — გლუვი. ასეთ გლუვ ზედაპირზე ვერანაირი ე.წ. ცუდი ქოლესტერინი, კალციუმი და სხვა დანალექები ვერ მაგრდება და ადამიანს არანაირი ინფარქტი და ინსულტი არ ემუქრება, მაგრამ, როცა სისხლში შაქრის დონე მატულობს, შაქარი სისხლძარღვების კედლებს ჟანგავს, იწვევს მათ დაზიანებას, რასაც სისხლძარღვების ანთება მოჰყვება. ასეთ ანთებით უბნებს ე.წ. ცუდი ქოლესტერინი პლასტირივით გადაეკვრება, დამატებით კალციუმი და სხვა ნაერთები დაილექება და სწორედ ასე წარმოიქმნება **ათეროსკლეროზული ფოლაქი.** ეს თითქოს ორგანიზმისთვის კარგია, რადგან ანთებით უბანს იცავს, მაგრამ სისხლის მიმოქცევისთვის პრობლემებს ქმნის.

გარდა ამისა, ე.წ. ათეროსკლეროზულმა ფოლაქმა შესაძლოა, საერთოდ გადაკეტოს სისხლძარღვი ან მოწყდეს და გაეჩხიროს გულისა თუ თავის ტვინის მკვებავ სისხლძარღვში. სწორედ ეს იწვევს ინფარქტს ან ინსულტს. ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ სისხლში ჭარბი შაქარი აზიანებს სისხლსაც, რომლის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი — სისხლის წითელი ბურთულაკები, ანუ ერითროციტებია. ერითროციტებში შედის ცილა ჰემოგლობინი, რომელიც იერთებს ჟანგბადს და თითოეულ უჯრედამდე მიაქვს. ერითროციტი დრეკადია, არ იღუნება, უწვრილეს კაპილარებშიც კი თავისუფლად გადის, მაგრამ როცა სისხლში შაქარი მაღალია, იგი რეაქციაში შედის და უკავშირდება ერითროციტებში არსებულ ჰემოგლობინს და იწვევს ერითროციტის გაუხეშებას. ასეთი ერითროციტი ელასტიკურობას კარგავს, წებოვანი ხდება, თავის ფუნქციას ვეღარ ასრულებს და უწვრილეს კაპილარებში იჭედება. ყოველივე ზემოთქმულის შედეგად, უჯრედი შიმშილობს და იმ ადგილებში, სადაც ჟანგბადი და საკვები ვერ მიდის, იწყება დაბუჟება და წვის შეგრძნება. ეს განსაკუთრებით საგრძნობი ხდება ადამიანის ორგანიზმის პერიფერიულ ნაწილებში — ფეხის ტერფებსა და ხელის მტევნებში. სწორედ ამას ეწოდება **დიაბეტური ანგიოპათია.** თუ ამ პათოლოგიას ყურადღებას არ მივაქცევთ, დაიწყება ქსოვილის კვდომა, ნეკროზი და შემდეგ — განგრენა.

**— მარცხენა ხელის ნეკა თითისა და, საერთოდ, მარცხენა ხელის დაბუჟება გულის ინფარქტის წინარე ნიშანიც შეიძლება იყოს! თუმცა, იგივე ნიშანი ახასიათებს ნევროზსაც. როგორ უნდა გავარჩიოთ რასთან გვაქვს საქმე — დიაბეტთან, ინფარქტთან თუ ნერვულ პრობლემებთან?**

— დიაბეტური და გულისმიერი სიმპტომები ერთმანეთისგან ადვილი გასარჩევია. **გულის პათოლოგიის დროს დაბუჟება შესაძლოა, მხოლოდ მარცხენა ხელში დაფიქსირდეს, მაგრამ დიაბეტის დროს ეს შესაძლოა, ყველგან მოხდეს — მარჯვენა ხელშიც და ფეხის ტერფებშიც.** რაც შეეხება ნევროზს, ნევროზულ დაბუჟებას დიაბეტური დაბუჟებისგან ადვილად გავარჩევთ, თუ ჩავიტარებთ დოპლეროგრაფიას, რომელიც სისხლძარღვთა გამტარუნარიანობას გვიჩვენებს.

**— თავის ტვინს შაქრიანი დიაბეტი როგორ აზიანებს?**

— თავის ტვინის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და მძიმე პათოლოგიის **ალცჰაიმერის დაავადების** მთავარი გამომწვევი მიზეზი სწორედ შაქრიანი დიაბეტია! სხვათაშორის, ბოლო პერიოდში ძალზე მოიმატა ალცჰაიმერითა და მოხუცებულობითი ჭკუასუსტობით დაავადებულთა რიცხვმა. ასევე საგრძნობლად გაახალგაზრდავდა ალცჰაიმერით დაავადებულთა ასაკიც... მისი ნიშნები ზოგიერთ შემთხვევაში 35-40 წლის ასაკშიც კი ვლინდება. ამ ხნის ადამიანებში უკვე არცთუ იშვიათია გულმავიწყობა, მეხსიერებისა და კონცენტრაციის დაქვეითება და ყველა ის სიმპტომი, რომელიც ალცჰაიმერის დაავადებას ახასიათებს. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ყველა ამ პათოლოგიის ძირითადი მიზეზი სწორედ შაქრითა და ნახშირწყლებით მდიდარი საკვების მიღებაა, რომელიც დიაბეტს იწვევს.

**— მაინც როგორ იწვევს შაქრიანი დიაბეტი ალცჰაიმერის დაავადებას?**

— ალცჰაიმერის დაავადების დროს თავის ტვინში პათოლოგიური ცილები გროვდება, რომლებიც ამილოიდურ ფოლაქებად ყალიბდება. ისინი ორგანიზმისთვის უცხოა, რის გამოც ებრძვის და იწყება აუტოიმუნური და ანთებითი პროცესები, რასაც თავის ტვინის ნერვული უჯრედების დაზიანება და გადაგვარება მოსდევს. სწორედ ეს არის ალცჰაიმერი. რაც გინდა, უცნაურად მოგეჩვენოთ, ინსულინი თავის ტვინის ნერვულ უჯრედებს დაზიანებისგან იცავს, ხოლო ინსულინის გამოყოფას ძალიან უწყობს ხელს ტკბილეულის მიღება. ერთი შეხედვით, თითქოსდა ტკბილეული ალცჰაიმერით დაავადებულთათვის სასარგებლო უნდა იყოს, რადგან, სადაც მეტი შაქარია, იქ მეტი ინსულინია;










## «ეს ვიტამინები ყველა დიაბეტიანისთვის სასიცოცხლოდ

# „ყველა დიაბეტიანმა ხშირად უნდა სვას მწვანე ჩაი!“



მეტი ინსულინი კი მეტი დაცვაა თავის ტვინის უჯრედებისთვის, მაგრამ საქმე ისაა, რომ, თუ ინსულინი ჭარბად გამოიყოფა, მყისვე ვითარდება ინსულინრეზისტენტობა.

სახეზე გვაქვს შედეგი, როცა ინსულინი სისხლში ჭარბადაა, მაგრამ ნერვულ უჯრედებში ვერ აღწევს. აქედან გამომდინარე, ისინი შიმშილობენ და ყალიბდება ალცჰაიმერის დაავადება.

**ის აზრი, რომ ტვინს კარგი აზროვნებისთვის ტკბილეული სჭირდება და შაქრიანი პროდუქტები განსაკუთრებით ასაკოვანმა ადამიანებმა უნდა მიიღონ, მითია! ამას ისიც ადასტურებს, რომ ადამიანმა შაქარზე საერთოდ რომ უარი თქვას, ორგანიზმში არსებული საქაროზა სამ დღეში დაიხარჯება, ხოლო მომდევნო სამ დღეში – ღვიძლში არსებული შაქარი, ანუ გლიკოგენი.**

რა გამოდის, შაქრის შემცველ პროდუქტებზე ერთი კვირის განმავლობაში საერთოდ რომ უარი ვთქვათ, ადამიანს ტვინი გაეთიშება? ცხადია, ეს აბსურდია... ასეთ სიტუაციაში ადამიანის ორგანიზმი შაქარს ალტერნატიული წყაროებიდან შექმნის. კერძოდ, საკვების შედეგად მიღებული ცხიმები და ცილები შაქრად გარდაიქმნება. ასეთი შაქარი ტვინისთვის გაცილებით უკეთესია და მისგან ბევრად მეტ ენერგიას ღებულობს, ვიდრე შოკოლადის, ნამცხვრისა და სხვა ტკბილეულის სახით შეეძლო, მიეღო!

**— მაშინ გამოდის, რომ ასაკოვანი ადამიანებისთვის ცხიმების აკრძალვაც აბსურდია?**

— ცხადია! ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, სწორედ ცხოველური ცხიმებია D ვიტამინის წყარო! ამიტომ, **ვისაც პარკინსონი ან ალცჰაიმერი ჭირს, შაქარსა და შაქრის შემცველ ნახშირწყლებზე საერთოდ უარი უნდა თქვას!** თუ პაციენტი ამ წესს დაიცავს, მაშინ ინსულინრეზისტენტობა უკან დაიხევს, ინსულინი სისხლში ნორმის ფარგლებში იქნება და თავისუფლად შეაღწევს უჯრედებში, რაც მისი პირდაპირი ფუნქციაა. დიაბეტიანებს მეხსიერებაც დაქვეითებული აქვთ. ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ სისხლში მაღალი შაქრის პირობებში ტვინის რუხი ნივთიერების ატროფია ხდება, ტვინი ზომაში მცირდება და ის ცენტრები, რომლებიც მეხსიერებაზე არიან პასუხისმგებელი, ქვეითდება!

**— შაქრიანი დიაბეტის დროს ხშირ შარდვასა და წყლის მოთხოვნას რა განაპირობებს?**

— როდესაც სისხლში შაქარი, ანუ გლუკოზა მაღალია, ორგანიზმი მას შხამად მიიჩნევს და ცდილობს, გარეთ გამოდევნოს.

**რაკი ყოველი ერთი მოლეკულა გლუკოზა ხუთ მოლეკულა წყალს იკავშირებს, ცხადია, ორგანიზმი ცდილობს, სწორედ ხშირი შარდვის გზით თავიდან მოიშოროს ზედმეტი შაქარი.**

**ასეთ დროს ორგანიზმი ბევრ სითხეს კარგავს, რაც პირის სიმშრალესა და ძლიერ წყურვილს იწვევს.**

ადამიანი ასეთ დროს წყლის დალევას ერიდება, რაც შეცდომაა. **წყალი ორგანიზმიდან შაქარს დევნის და როცა გვწყურია, წყალზე უარი არ უნდა ვთქვათ!**

**— მუდმივი შიმშილის შეგრძნება რით არის განპირობებული?**

— შაქრიანი დიაბეტის დროს, მართალია, სისხლში გლუკოზა ჭარბი რაოდენობითაა, მაგრამ ინსულინრეზისტენტობის გამო უჯრედში ძნელად შედის. ამიტომ უჯრედი მუდმივად განიცდის გლუკოზის ნაკლებობას, რაც ჩვენზე იმით აისახება, რომ დანაყრების მიუხედავად, სულ გვშია. სწორედ უჯრედში გლუკოზის დეფიციტით აიხსნება ის ფაქტი, რომ დიაბეტიანებს ტკბილეულისადმი მიდრეკილება აქვთ.

**— მაინც როგორ უტევს დიაბეტი მხედველობას?**

— ცნობილია, რომ თვალი და მისი სამყარო უწვრილესი სისხლძარღვებით მარაგდება. შაქარი ამ სისხლძარღვებს აზიანებს, რის გამოც თვალს საჭირო ოდენობით სისხლი ვერ მიეწოდება, შიმშილობს და ვითარდება **დიაბეტური რეტინოპათია.** ასეთ დროს მხედველობა ბუნდოვანი ხდება და, თუ შაქრის დონე არ დარეგულირდა, შესაძლოა, ადამიანმა მხედველობა საერთოდ დაკარგოს!

**— რატომ არის შაქრიანი დიაბეტით დაავადებული ადამიანი ნევროზული და აღენიშნება აუხსნელი სისუსტე?**

— ამის მიზეზი ის არის, რომ თავის ტვინი, რომელსაც საკვებად გლუკოზა სჭირდება, უზმოზე შიმშილს განიცდის. საკმარისია, ასეთმა ადამიანმა საკვები მიიღოს, რომ თავის ტვინში გლუკოზის შეუფერხებლად მიწოდება აღდგება და კარგ ხასიათზე დადგება,. მაგრამ ეს ძალიან ცოტა ხანს გაგრძელდება. რაც შეეხება აუხსნელ სისუსტეს, დიაბეტის დროს, როცა გლუკოზა კუნთებში შეფერხებით ხვდება, კუნთებს სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის ენერგიის წყარო არა აქვთ, რაც სწორედ აუხსნელ სისუსტეს განაპირობებს.

**— ყველაზე მეტად რომელი პროდუქტი ამცირებს დიაბეტის გართულების რისკს?**

— როგორც აღვნიშნეთ, დიაბეტი ორგანიზმს ჟანგავს. კერძოდ, შაქარი უკავშირდება სხვადასხვა ქსოვილს, იწვევს მათ გლიკირებას, ხოლო ასეთი გლიკირებული ქსოვილები ხდებიან უსარგებლო და მავნე. ორგანიზმის ჟანგვის, ანუ გლიკირების პროცესს ძალიან ამცირებს და დიაბეტის გართულებები მინიმუმამდე დაჰყავს ვიტამინ B1-ის სახეობა **ბენფატიამინს, C ვიტამინს, E ვიტამინს** ტოკოტრიენოლის სახით და **ვიტამინ B6-ს.** ეს ვიტამინები ყველა დიაბეტიანისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია! **ამასთან, ყველა დიაბეტიანმა ხშირად უნდა სვას მწვანე ჩაი, რომელიც გლიკირების პროცესს ამცირებს.** ასეთი ნივთიერებებით განსაკუთრებით მდიდარია: **ნიორი, კურკუმა და სალათის ფოთლები.** სხვათაშორის, ბოლო დროს მშობლები ხშირად ჩივიან, რომ მათ შვილებს ყურადღება გაფანტული აქვთ. ბავშვებში ყურადღების დეფიციტის სინდრომი შესაძლოა, სწორედ შაქრიან დიაბეტს უკავშირდებოდეს, რის შესახებაც მომავალში ვისაუბრებთ!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***




# აუცილებელია!»
















# მერაბ კოსტავას მეუღლის



*რუსუდან ბერიძე შარშან 83 წლის ასაკში მიაბარეს მიწას. ტრაგიკულად შეწყდა მისი ერთადერთი შვილის, 24 წლის პოეტ ირაკლი კოსტავას სიცოცხლე. მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტად. 1992-95 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი. ისტორიას შემორჩა მისი სევდიანი დღიური, რომელსაც „ასავალ-დასავალის“ მკითხველი დიდი ინტერესით გაეცნობა. საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას მეუღლემ მისი დაღუპვის შემდეგ 33 წელი იცოცხლა.*



მერაბ კოსტავა და რუსუდან ბერიძე. 1953 წელი

# რუსუდან ბერიძე:

## გათხოვებიდან ორი კვირის შემდეგ უკვე ვიცოდი, რომ ძალიან უბედური ვიყავი. მერაბის ეჭვიანობა, რომელიც გათხოვებამდე სიყვარულის დასტურად მიმაჩნდა და მომწონდა კიდეც, რეალობაში საშინელება აღმოჩნდა!

დედა — **ნინო გოგუაძე** დაიბადა 1898 წელს ოზურგეთის მაზრის სოფელ დვაბზუში. ჩემი ბაბუა დედის მხრიდან დურგალი ყოფილა, ბებია — ღარიბი აზნაურის ქალი. დედაჩემის უფროსი ძმები ღვინის ვაჭრები იყვნენ, დედაჩემის მომდევნო ძმა ნიკოლა, რომელიც ცხრამეტი წლისა ჭლექით გარდაიცვალა, მწერლობით ყოფილა გატაცებული. მისი ნაწერები დედაჩემს შემოუნახავს, მაგრამ ცხოვრების ორომტრიალში ისინი დაიკარგა.

1920 წელს დედაჩემი თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტია — მარქსისტული იდეებით გატაცებული, ქალთა ემანსიპაციის იდეებით შეპყრობილი, ოცი წლის ლამაზი გოგო... ჰყავს შეყვარებული — **მიშა ჩოგოვაძე,** რომელიც დახვრიტეს 1924 წელს.

1921 წელს დედაჩემი და მისი მეგობარი გოგონა მოხალისეებად მიჰყვებიან საქართველოს დამოუკიდებლობის დამცველთა რაზმს. ქართველები დამარცხდნენ. „საქართველოში წითელი დროშა ფრიალებს“...

ცოტა ხნის შემდეგ ახალგაზრდობის საპროტესტო გამოსვლებში მონაწილეობისთვის დედაჩემს სამი თვით მეტეხის ციხეში სვამენ. უნივერსიტეტიდან გარიცხული დედა სახლში, სოფელ დვაბზუში, ბრუნდება...

მამაჩემი — **ივანე ვლადიმერის ძე ბერიძე** აზნაურის ოჯახში დაიბადა 1902 წელს. ჩემი ბაბუა **ლადიკო ბერიძე** გამორჩეულად ლამაზი კაცი იყო. მახსოვს, უკვე მოხუცი, გრძელი თეთრი წვერით, არწივისებური ცხვირით და დიდი სევდიანი თაფლისფერი თვალებით ოზურგეთში ქუჩაში რომ გაივლიდა, ყველა აღფრთოვანებული უყურებდა. ბაბუამ მთელი ცხოვრება ქეიფში გაატარა, გურიაში ცნობილი თამადა იყო. ჩემს მეხსიერებაში სოფელში ყველა სადავო საქმეს მას არჩევინებდნენ ხოლმე.

**მამა არ მინახავს. ისე მიიბარა ციმბირის მიწამ, ჩემი არსებობაც არ გაუგია. ბავშვობიდან ყველაზე მეტად მამის ერთი სურათი მიყვარდა: სუზდალის ციხის წინ დგას, ჩექმები აცვია, თავზე მუზარადივით ქუდი ახურავს. საოცრად ვაჟკაცური, შეუპოვარი სახე აქვს. სურათი ჩემი ძმისთვის არის გამოგზავნილი.**

მძიმე ოთხი წელი ციმბირში... მამაჩემი ამ ხნის მანძილზე 38-ჯერ დააპატიმრეს და გამოუშვეს. გადასახლების დრო რომ დამთავრდებოდა, შეითხზვებოდა ახალი საქმე, ის კი ჯიუტად იდგა თავისაზე...

1937 წლის 5 დეკემბერს დედა და მამა უფაში ცხოვრობენ. **დილის ხუთ საათზე მოვიდნენ და მამა კვლავ დააპატიმრეს. ამის შემდეგ დედას და მამას ერთმანეთი აღარ უნახავთ. 1945 წელს, ომის დამთავრების შემდეგ, ბაბუამ წერილი მისწერა სტალინს, მამაჩემის ბედის შესახებ ეკითხებოდა. მოვიდა ოფიციალური პასუხი — ცოცხალია და მიწერ-მოწერა აკრძალული აქვსო.**

უფაში იმ დროისთვის ორმოცამდე ქართველი პოლიტიკური პატიმარი იყო. დეკემბრის იმ საშინელ ღამეს ყველა დააპატიმრეს. ფეხმძიმე დედაჩემმა1938 წელს დეკრეტული შვებულება აიღო და საქართველოში დაბრუნდა.

**1938 წლის 20 აგვისტოს მე დავიბადე.**

●

მთელი ბავშვობა ისე გავატარე, არცერთი სათამაშო არ მქონია, მაგრამ მქონდა ჩემი ყველაზე დიდი ოცნება: **მამაჩემს ათავისუფლებენ. მამა ჩამოდის. ხელში შავი პატარა ჩემოდანი უჭირავს. იმ ჩემოდანს მაგიდაზე დგამს, ჩემოდანს აღებს და იქიდან ულამაზეს თოჯინას იღებს. ეს თოჯინა თვალებს აღებს და ხუჭავს... ამ ჩემოდანს და თოჯინას ვხედავდი ყოველდღე, ყოველ საათს. ასეთი ჩემოდანი ჩვენ სახლში არ გვქონდა, არც სხვასთან მინახავს.**

გავიდა ათწლეულები და ეკრანზე გამოვიდა რუსული ფილმი **„1953 წლის ცივი ზაფხული“.** ეს ფილმი იმ კოშმარზე გვიყვება, რომელიც საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკებში ხდებოდა. ფილმი მთავრდება 1953 წელს იმ ადამიანების გათავისუფლებით, ვინც ბანაკის საშინელებას გადაურჩა. ყოფილი „ზეკები“ ერთმანეთს ხვდებიან და ცნობენ ერთნაირი შავი ჩემოდნებით, რომლებიც ხელში უჭირავთ. **ეს იყო ჩემი ბავშვობის შავი ჩემოდანი. ზუსტად ისეთი, როგორიც მამაჩემს ჩემს ოცნებაში ეჭირა ხელში და რომლიდანაც ჩემს საოცნებო თოჯინას ამოიღებდა ხოლმე...**

●

1953 წელს **იოსებ სტალინი** გარდაიცვალა. იმ დღეს ყველანი ცხარე ცრემლებით ვტიროდით. დედაჩემმაც კი იტირა. რომ ვკითხე, შენ რაღა გატირებდა-მეთქი? მიპასუხა — მომეჩვენა, რომ სამყარო დაინგრა და სიცოცხლე აღარ გაგრძელდებოდა. მე დამევალა, სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვით გამოსვლა. სტალინი ჯერ კიდევ მიყვარდა, ვფიქრობდი, რომ არ იცოდა, რა ხდებოდა მის ირგვლივ. ამიტომ მისი სიკვდილი ძალიან განვიცადე და სიტყვაც ისეთი დავწერე, ქვა ატირდებოდა. ჩემი სკოლის დირექტორი რაიკომში დაიბარეს. თან ჩემი სიტყვა წაიღო. ძალიან მოიწონეს, მაგრამ როცა გაიგეს, რომ მე დავწერე და მე უნდა წამეკითხა, საყვედური გამოთქვეს, რაღა მაინცდამაინც „ხალხის მტრის“ შვილმა უნდა წაიკითხოსო.

ამ ფაქტში უსამართლობა დავინახე და აღვშფოთდი. დედაჩემი წამსვე მიხვდა, რა ხდებოდა და მითხრა: **„ასეთი რამ კიდევ ბევრჯერ მოხდება შენს ცხოვრებაში და მოემზადე იმისათვის, რომ ბევრჯერ გაახსენდებათ, რომ მამაშენი ხალხის მტერი იყო“.** მე ვუთხარი: „დედა, სინამდვილეში ხომ არ იყო მამაჩემი ხალხის მტერი? ნუთუ სიმართლე არასოდეს გაირკვევა?“ „არ ვიცი, შვილო“, — მიპასუხა დედამ, — „ღმერთმა ინებოს, შენ მაინც მოესწრო ამას“.

●

**ორჯერ მიყვარდა ცხოვრებაში და ორჯერვე — გამორჩეულად ლამაზი მამაკაცი. მსუბუქი თუ ძლიერი გატაცებებიც მქონია, ყველა ჩემი „რჩეული“, შეიძლება, დიდი ჭკუის კოლოფი არ ყოფილა, მაგრამ გარეგნული სილამაზით ყოველთვის გამოირჩეოდა.**

სიცოცხლე ლამაზი და მშვენიერი იყო 1956 წლის 9 მარტამდე. 9 მარტს თბილისში ხელისუფლებამ სასაკლაო გამართა. თბილისიდან ვიღაცამ დარეკა. მშობლებმა სასწრაფოდ სახლებში წაგვიყვანეს.

1956 წელს სკოლა დავამთავრე ოქროს მედალზე. მაშინ ოქროსმედალოსნები მხოლოდ გასაუბრებას გადიოდნენ, ვერცხლისმედალოსნები ერთ გამოცდას აბარებდნენ სპეციალობის მიხედვით. გასაუბრება ივლისის პირველ რიცხვებში უნდა ყოფილიყო. მე და დედაჩემი თბილისში გავემგზავრეთ. ჩავაბარეთ საბუთები **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.** მამიდაჩემმა მორიდებულად უთხრა დედას, ნინა, იქნებ აქ ვინმესთვის გეჩვენებინა ბავშვი, მაინც მახარაძის სკოლა აქვს დამთავრებულიო. დედა ძალიან გაწყრა — ჩემ შვილს საუკეთესო მასწავლებლები ჰყავდა და იმათ არავითარი შემოწმება არ სჭირდებათო.

მათემატიკის ფაკულტეტზე გასაუბრებას პროფესორი **არჩილ ხარაძე** და **ანტონ კეკელია** ატარებდნენ. ყველა კითხვას ვუპასუხე. მერე ბატონმა არჩილმა გაზეთი „პრავდა“ მომაწოდა და მოწინავე სტატიის წაკითხვა მთხოვა. რაიონში ასე კარგად როგორ ისწავლე რუსული ენაო, გაიკვირვა. **მოკლედ, ბატონ არჩილს ძალიან მოვეწონე და რექტორისთვისაც კი უთქვამს — ძალიან კარგი გოგონა მივიღეთ მათემატიკის ფაკულტეტზეო.**

●

1956 წლის პირველ სექტემბერს დაიწყო სტუდენტობის მშვენიერი წლები. უნივერსიტეტი ძალიან მომეწონა. სამი ძირითადი საგანი გვეკითხებოდა: მათემატიკური ანალიზი **(პროფესორი არჩილ ხარაძე)**, უმაღლესი ალგებრა **(დოცენტი გიორგი ლომაძე)** და ანალიზური გეომეტრია **(პროფესორი ადამ ჩახტაური)**, რომელიც მაღალი რანგის პროფესიონალი, არაჩვეულებრივად კეთილი ადამიანი იყო (მას მიუძღვნა **მურმან ლებანიძემ** მშვენიერი ლექსი — **ნამდვილი კაცის მოძებნა თუ მოინდომე საქართველოში, ადამ ჩახტაური სწორედ ის კაცი არისო)**.

პირველი თვეები გარეგნობის კომპლექსი მაწუხებდა, საკუთარი თავი მოუხეშავი და ულამაზო მეჩვენებოდა. მერე ერთ ბიჭს მოვეწონე. ბაირონს ჰგავდა და „ბაირონას“ ეძახდნენ. უნივერსიტეტიდან სახლში მაცილებდა. ფეხით მივდიოდით დიდუბეში. დიდი ინტელექტით ვერ დაიკვეხნიდა. მი-

## კვირგვინოსნები

**ასმათ ტყაბლაძე**
მსახიობი



**ადამიანს ფულს რომ ასესხებ და არ დაგიბრუნებს, ეს იგივე მოპარული და წართმეული არ არის?!** ბებიაჩემი სულ იმას მეუბნებოდა, **არ დააგროვოთ ფული და ოქროულობა,** ამან იცის, როგორც მოსვლა, ისე წასვლა. ან ბანდიტი დაგხვდება, ან მიწისძვრა მოხდება და ყველაფერს უცებ დაკარგავთ. **ისწავლეთ და გაერთეთო.** მე ძალიან მომწონს ბებიაჩემის რჩევა.

„თბილისელები“

**ლიზი დარასელია**
მომღერალი



როცა დავიბადე, ჩემი ფოტო მაშინ ერთ-ერთ გაზეთში გამოაქვეყნეს, **ვიტალი დარასელიას** შვილიშვილი დაიბადაო. მოგვიანებით ჩვენს ოჯახში ბიჭიც გაჩნდა, ჩემი უმცროსი ძმა — **ვიტალი დარასელია.** მას სერიოზული პერსპექტივები აქვს ფეხბურთში. ვეუბნები, რომ **ჩვენი ბაბუა უნდა ასახელოს.**

„სარკე“

**ხვიჩა მაღლაკელიძე**
მუსიკოსი



**საკუთარი გარეგნობის გამო** დღემდე მაქვს პროტესტი, **სანაგვე „ვედროსავით“ ვარ.**

„„თბილისელები“

**ანა დოლიძე**
პარტია „ხალხისთვის“ დამფუძნებელი



საკუთარი თავი **40 წლის შემდეგ** ბევრად უფრო მომწონს.

„სარკე“

**დოდონა ნამორაძე**
მომღერალი



**ვიპოვე ადამიანი, რომელიც არ არის ეჭვიანი და გვერდით მიდგას.**

„სარკე“

# უცნობი დღიურები

სი სალაპარაკო თემა მხოლოდ ის იყო, როგორი ლამაზი ვარ და როგორ ყველა მე მიყურებს. მივიხედ-მოვიხედავდი, არავინ ყურადღებას არ მაქცევადა. ერთი-ორი კვირის შემდეგ მართლა დავიწყე დაჯერება, რომ ლამაზი ვარ, ჩემკენ მომართული მზერებიც დავიჭირე და ძალიან მალე კომპლექსებიდან გავთავისუფლდი. იმ ბიჭთან ჩემი ურთიერთობა მალე დამთავრდა, ძალიან მოსაწყენი მომეჩვენა მხოლოდ ქათინაურების მოსმენა.

ამ დროიდან მოყოლებული „თაყვანისმცემლების" მთელი არმია მყავს. სამყარო ჩემი მგონია. უნივერსიტეტში მეგობრების ახალი წრე გამიჩნდა: **ლილი პაატაშვილი** — ძალიან ნიჭიერი, განათლებული ებრაელი გოგონა, **დილვარდი ამაშუკელი** — ლამაზი, ცოტათი უცნაური გოგო. სიმპათიური და გონიერი **გიული ჭინჭველაშვილი.** ჩვენ ერთმანეთის ყველაფერი ვიცოდით, ჩვენს „სიმპათიებს" ერთად ვეძებდით, რუსთაველის პროსპექტს დღეში ორჯერ მაინც ჩავივლიდით და ამოვივლიდით, ფული თუ გვქონდა, ლაღიძის ხაჭაპურებს შევჭამდით, თუ არა — ფუნთუშებითაც ვკმაყოფილდებოდით. ფული ყველაზე მეტი მე მქონდა, დედა მიგზავნიდა ყოველ თვეში მკაცრი დანიშნულებით 400 მანეთს და სტიპენდიაც მქონდა 300 მანეთი.

•

ჯერ კიდევ ოზურგეთში ვიყავი, **9 მარტის სისხლიანი ტრაგედიის შემდეგ ქალაქში ჩურჩულით ალაპარაკდნენ, რომ თბილისში შექმნილია ქართველი ერის განთავისუფლების ორგანიზაცია, რომელსაც კონსტანტინე გამსახურდიას ვაჟი ზვიადი და მერაბ კოსტავა ხელმძღვანელობენ.** თბილისში რომ მოვდიოდი, ჩემი სკოლის დირექტორთან **ელენე თავართქილაძესთან** მივედი გამოსამშვიდობებლად. გადამკოცნა და მითხრა: **„თუნდაც ხომ იცი** (ელენეს საყვარელი გამოთქმა იყო), **იქ თბილისში გამსახურდია და კოსტავა რომ არიან, მაინცდამაინც იმათ ნუ დაუმეგობრდები, მამაშენის ამბავიც გეყოფაო"...**

უკვე სტუდენტი ვიყავი, როცა **გაზეთ „კომუნისტში"** გამოქვეყნდა სტატია სათაურით **„სარეველები",** რომელიც ზვიადის, მერაბის და მათი მეგობრების ხულიგნურ საქციელზე მოგვითხრობდა. მერაბი და ზვიადი დახასიათებულები იყვნენ, როგორც ოჯახის შემარცხვენლები. ახალგაზრდები აღვშფოთდით, ყველამ ვიცოდით, რომ ეს ბიჭები საქართველოს თავისუფლებაზე ოცნებოდნენ. მერე ქალაქში მათი დაპატიმრების ამბავი გავრცელდა. ცხრა ბიჭი დააპატიმრეს: **ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვლადიმერ (ვოვა) სიხარულიძე, გურამ დოჩანაშვილი, გურამ სხირტლაძე, თამაზ გუნჯუა, ანატოლი მიქაძე, აკაკი ვასაძე და ჯონდო მეტრეველი.** ხმები გავრცელდა, ბიჭები დასახვრეტთა კამერებში ჰყავთო (ყველანი 17 წლისანი იყვნენ). **კონსტანტინე გამსახურდია** ლოგინად ჩავარდა. ქართველი მწერლები ცეკას მდივანს **ვასილ მჟავანაძეს** ეახლნენ და დახმარება სთხოვეს. მჟავანაძემ ხრუშჩოვს მიმართა. **ხრუშჩოვს** უთქვამს — თქვენ რა, ბავშვების გეშინიათო? გაუშვით, ისწავლონო.

**ასე შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში ეს ორი სახელი: მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია.**

ეს ის პერიოდია, როცა „რკინის ფარდა", რომელიც სტალინმა ჩამოუშვა, ცოტათი გვერდზე გასწიეს და „საზიზღარი იმპერიალიზმის" სამყაროდან, რომელიც, როგორც გაზეთები წერდნენ, „ლპებოდა და ყარდა", ახალი სურნელება შემოიჭრა.

**ჩემს პირად ცხოვრებაში არაფერი სერიოზული არ ხდება. მაქვს მსუბუქი გატაცება, ხშირად მიხსნიან სიყვარულს, ვიღაც ბიჭები ჩემს გამო მუშტებს ურტყამენ ერთმანეთს. მე ეს ყველაფერი მომწონს, მაგრამ გულს არ ეკარება.**

1958 წლის დასაწყისში სიცოცხლით და საკუთარი თავით ტკბობის პერიოდი დამთავრდა. ყოველგვარი მიზეზების გარეშე, საოცრად სევდიანი გავხდი. არაფერი აღარ მიხაროდა. ბევრს ვფიქრობდი სიცოცხლის უაზრობაზე და თვითმკვლელობის მშვენიერებაზე. მათემატიკა მომბეზრდა. იმ პერიოდში დედამ პალტოს საყიდელი ფული გამომიგზავნა. გადავწყვიტე, უნივერსიტეტი დამეტოვებინა და ყამირზე სამუშაოდ წავსულიყავი, ჩემს მეგობრებს ჩემი გადაწყვეტილების შესახებ ვუთხარი, ავიღე ბილეთი და ორი დღის შემდეგ მოსკოვში ვიყავი. პირველი დღე მოსკოვში ტრეტიაკოვის გალერეაში და პუშკინის მუზეუმში გავატარე. მხატვრობაზე წაკითხული ბევრი მქონდა, მაგრამ ორიგინალები მხოლოდ ხელოვნების მუზეუმში რაც გვაქვს, ის მქონდა ნანახი. მუზეუმები მომეწონა, მაგრამ მოსკოვი სრულიად უცხო და მიუღებელი ქალაქი აღმოჩნდა ჩემთვის. საღამოს თბილისი და საქართველო მენატრებოდა. მეორე დღეს დედაჩემი და ნუნუ ჩამოფრინდნენ, დედას ყველაფერი ავუხსენი, რაც ჩემში მოხდა, ჭკვიანი ქალი იყო, ყველაფერი გამიგო, დამამშვიდა, რომ მასაც ჰქონდა ახალგაზრდობაში მცდელობები, გაქცეოდა ყველას და ყველაფერს.

ჩემი პატარა „აჯანყება" ამით დამთავრდა. თბილისში რომ ჩამოვედით, დედა ოზურგეთში დაბრუნდა, პენსიაზე გავიდა (უკვე 55 წლისა იყო და შეიძლებოდა პენსიაზე გასვლა), ოზურგეთში ჩვენი სახლი გააქირავა და თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. ის გაზაფხული დედის მეგობრის სახლში ვცხოვრობდით ჩემი გამოცდების დამთავრებამდე.

•

რამდენიმე სიტყვა **გოგი ბერიძეზე.** გოგი ოზურგეთელი ბიჭი იყო, ჩემზე ერთი წლით უმცროსი. ძალიან კარგად მღეროდა და პირველად ოზურგეთის თეატრში მოვუსმინე. უბრალო, წესიერი და ღარიბი ოჯახიდან იყო. ჩემი ნათესავები არ იყვნენ, მხოლოდ მოგვარე იყო. მალე დავმეგობრდით. მე როგორც „უფროსი" მფარველობას ვუწევდი, დედაჩემს შვილივით შეუყვარდა. გოგი ძალიან ნიჭიერი იყო. მე-8 კლასში სწავლობდა, როცა თბილისიდან ჩამოსულმა მუსიკოსმა მოუსმინა და თბილისში ნიჭიერ ბავშვთა მუსიკალურ ათწლედში სწავლა შესთავაზა. გოგი თბილისში წამოვიდა და ჰობოის კლასში ჩაირიცხა. დღეს კონსერვატორიის პროფესორია და ბევრი შესანიშნავი მუსიკოსი ჰყავს აღზრდილი.

სტუდენტი რომ გავხდი, იმ წელს გოგი მუსიკალურ ათწლედს ამთავრებდა. მამიდაჩემის სახლში ხშირად მოდიოდა და იქაც ყველას თავი შეაყვარა. ვამეცადინებდი მათემატიკაში, ვუწერდი ქართულის თემებს. ჩემი სიტყვა მისთვის ყოველთვის ჭეშმარიტება იყო, ძალიან ამაყობდა და ბევრს ტრაბახობდა თავის მეგობრებთან, რომ საოცრად ლამაზი და ჭკვიანი და ჰყავდა. დარწმუნებული იყო, რომ ყველა ჩემი ხიბლის ტყვე უნდა გამხდარიყო. **მერაბი და ზვიადი გოგის კლასელები იყვნენ და გოგი მათ შესახებ ბევრს მიყვებოდა. ზვიადს არ სწყალობდა, ქედმაღალი და ამპარტავანიაო.** მერაბი ძალიან უყვარდა, ბევრს ლაპარაკობდა მის გამორჩეულ ნიჭიერებაზე, მუსიკალურობაზე. **1957 წლის გაზაფხულზე მერაბი და მისი მეგობრები გაათავისუფლეს და საშუალო სკოლის ექსტერნად დამთავრების უფლება მისცეს.**

დედაჩემის მეგობარი ქალი, ვისთანაც იმ გაზაფხულს ვცხოვრობდით, სოლოლაკელი იყო. ერთ დღეს სახლში მიმავალს გოგი და მისი თანაკლასელი **ელდარ ასტემიროვი** წამომეწივნენ. ელდარის შესახებ გოგის ბევრი რამ ჰქონდა ნაამბობი. ვიცოდი, რომ ჩერქეზ მთავართა უკანასკნელი შთამომავალი იყო, მისი ოჯახი ბოლშევიკებმა მთლიანად ამოწყვიტეს. ნათესავებმა ელდარის მამა საქართველოში გამოაპარეს, თბილის-



**რუსუდან ბერიძე, მერაბ კოსტავა და მათი შვილი ირაკლი კოსტავა. 1962 წელი**

**ორჯერ მიყვარდა ცხოვრებაში და ორჯერვე — გამორჩეულად ლამაზი მამაკაცი. მსუბუქი თუ ძლიერი გატაცებებიც მქონია, ყველა ჩემი „რჩეული", შეიძლება, დიდი ჭკუის კოლოფი არ ყოფილა, მაგრამ გარეგნული სილამაზით ყოველთვის გამოირჩეოდა!**

გაგრძელება 26-ე გვერდზე

## კვირგვინოსნები

**მანანა ნიკოლაიშვილი**
*განათლების ექსპერტი*



სკოლებში **უფასო კვების** შეტანის საკითხის მომხრე არ ვარ. ამას ძირითადად ნაციონალები ითხოვენ და **თვითონ 9 წელი რომ იყვნენ ხელისუფლებაში, მაშინ რატომ არ შეიტანეს სკოლებში უფასო საკვები?** საარჩევნო წელია და ეს არის ოპოზიციის პოპულიზმი, რომ ქულები დაიწერონ. **ვინ იხოცება შიმშილით, გამაგებინეთ.** რა სიტუაციასაც ხატავენ, ასეთი მოსწავლეები სკოლებში, პრაქტიკულად, არ არიან. **არავის არ შია და არც უნდა შიოდეს.**

„რეზონანსი"

**ლევან კოღუაშვილი**
*რეჟისორი*



ფეხბურთს ხშირად არ ვუყურებ, მაგრამ ბოლო ერთი წელია „ნაპოლის" არცერთ თამაშს არ ვტოვებ. **კვარაცხელია გახდა ძალიან მნიშვნელოვანი პერსონა და ფეხბურთი კვლავ შემიყვარა.** ის ფეხბურთს ლამაზად და არტისტულად თამაშობს.

„საქართველოს რესპუბლიკა"

**ბონდო მძინარაშვილი**
*„საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრი, ჟურნალისტი*



ჟურნალისტიკა იყო **მეოთხე ხელისუფლება,** მაგრამ ახლა არის **ინსტრუმენტი პოლიტიკოსების ხელში.** ტელევიზიები **მეოთხე ხელისუფლება** კი არ არის, ტელევიზია **პოლიტიკური კლასის ხელში მახვილია** — ისინი ჟურნალისტებით ხმალაობენ, ეს კი კატასტროფაა.

„საერთო გაზეთი"

**მარიკა კვალიაშვილი**
*კომპოზიტორი*



ბევრჯერ შემშინებია, **ჭერი არ აიხადოს-მეთქი, ისე მღეროდნენ.** ახლაც გვაქვს ბებიის ნაქონი უძველესი დაირა, ბებია მას ხელში ათამაშებდა. მის დაკრულზე ბრიშაშვილსაც კი უცეკვია.

„სარკე"

# მერაბ კოსტავას მეუღლის

*დასაწყისი 24-ე გვერდზე*



*მერაბ კოსტავა. 1954 წელი*

ში შეიფარეს, გვარი გამოუცვალეს და გაზარდეს.

საოცარი გარეგნობა ჰქონდა: მაღალი, გამხდარი, დიდი მწვანე თვალები ამაყი გამოხედვით, კეხიანი ლამაზი ცხვირი, ძალიან ლამაზი ტუჩ-კბილი... რომ გაიცინებდა, მთელი სახე უბრწყინავდა. იყო რაღაც ევროპელის და აზიურის საოცარი ნაერთი მის გარეგნობაში. სინატიფის და ვაჟკაცურობის სინთეზი, ინტელექტი და სულიერი სიმდიდრე იგრძნობოდა მის გამოხედვაში. არ ვიცი, გრძნობდა თუ არა თავისი გარეგნობის გამორჩეულობას. ყოველ შემთხვევაში, ამ ფაქტით იაფფასიანი ტკბობა არასოდეს დასტყობია.

მე სილამაზეს ვეთაყვანებოდი. ბუნების მიერ მონიჭებულ ზეგარდმო ნიჭად ვთვლიდი. ელდარიც ბუნების ლამაზი ქმნილება იყო და, ცხადია, მომეწონა. რადგან გოგის ყოველთვის ჩემზე უმცროსად აღვიქვამდი, ელდარსაც ასე შევხედე. თავშიც არ მომსვლია, დავინტერესებულიყავი, მე თვითონ რა შთაბეჭდილება მოვახდინე მასზე. ელდარისთვის კი იმ დღიდან დაიწყო „კოშმარი, რომელსაც პირველი სიყვარული ერქვა" — როგორც მითხრა ამ ამბებიდან ათი წლის შემდეგ

გოგი და ელდარი ხშირად მოდიოდნენ ჩვენთან. ელდარი საოცრად განათლებული და ნაკითხი ბიჭი აღმოჩნდა, ბევრი საერთო აღმოგვაჩნდა, საათობით ვლაპარაკობდით, ბევრს დავდიოდით ქუჩებში. **მივხვდი, რომ ელდარს ვუყვარდი, ეს იყო სრულიად განსხვავებული, რაც ოდესმე სხვისგან მიგრძნია. იყო ჩემდამი უწმინდესი და უსუფთავესი დამოკიდებულება შეზავებული მთიელის მგზნებარებასა და თავდავიწყებასთან, მეც თითქოს ვუპასუხე. მერე მივხვდი, რომ ელდარი კი არ მიყვარდა, მისი სიყვარული მიყვარდა ჩემდამი.**

ელდარის ოჯახი ვარკეთილში ცხოვრობდა, ამიტომ ელდარი ღამე **მერაბთან** რჩებოდა, რომელთანაც მეგობრობდა. როგორც მერე გავიგე, საათობით ელაპარაკებოდა **მერაბს** თავის სიყვარულზე, ჩემზე. თითქოს გრძნობდა, რომ მისთვის ეს ყველაფერი „კოშმარით" დამთავრდებოდა, საოცრად ტკივილიანი იყო მისი სიყვარული. **ასე რომ, მერაბმა ჩემი არსებობა ელდარისგან გაიგო...**

## მერაბ კოსტავა

1958 წელს საგაზაფხულო სესია დამთავრდა და დედა და მე ოზურგეთში ჩავედით. მთელი ზაფხული იქ გავატარეთ. **გოგი ბერიძეც** ოზურგეთში იყო და თითქმის ყოველდღე მოდიოდა ჩვენთან.

ერთ დღეს სახლში ვიჯექი და ვკითხულობდი. კარზე დააკაკუნეს და გოგი შემოვიდა. შემოჰყვა მაღალი, უცნობი ბიჭი. გრუზა შავი თმები ჰქონდა. ადრეული ჭაღარა სიმებად აჩნდა თმებში. დიდი, სევდიანი შავი თვალები ჰქონდა და კუშტად გამოიყურებოდა. მე შევხედე და გავიფიქრე: **„ეს ბედისწერაა",** მერე გავიგე, რომ **მერაბმაც** ზუსტად იგივე გაიფიქრა. **„გაიცანი, რუსიკო, ეს ჩემი მეგობარი მერაბ კოსტავა არის",** — მითხრა **გოგიმ.** ხელი გავუწოდეთ ერთმანეთს და გავუღიმეთ. როცა გაიღიმა, **მერაბს** რბილი, ბავშვური და მიამიტი სახე გაუხდა. უცებ პატარა ბიჭს დაემსგავსა. დავიწყეთ საუბარი. **მერაბს** კონსერვატორიაში მისაღები გამოცდები იმ ზაფხულს ჰქონდა ჩაბარებული ფორტეპიანოს განხრით. ქუთაისში თავის ბიძასთან **გრიგოლ კოსტავასთან** იყო სტუმრად, იქიდან **გოგისთან** გამოიარა და საღამოს ბათუმში უნდა წასულიყო.

რამდენიმე საათი ვლაპარაკობდით. გოგი, მისდა სამწუხაროდ (ძალიან უყვარდა ლაპარაკი), გავაჩუმეთ და მხოლოდ მე და მერაბი ვლაპარაკობდით. დიდი საერთო, რაც აღმოგვაჩნდა, ის იყო, რომ ორივენი ვაღმერთებდით გალაკტიონს, თან ერთი და იგივე ლექსები გვიყვარდა. დავიწყეთ გალაკტიონის ლექსების დეკლამირება. **მერაბი** ჩემზე კარგად კითხულობდა, მე მეტი ლექსი ვიცოდი ზეპირად; მერე მერაბი ფორტეპიანოსთან მივიდა და დაკვრა დაიწყო. კონსერვატორიაში მისაღები გამოცდის პროგრამა დაუკრა. დაკვრა რომ დაიწყო, სახე ერთხელ კიდევ შეეცვალა. ახლა მთლიანად მუსიკის სამყაროში იყო, დედამიწას თითქოს მოსწყდა. ეს მარტო ჩემი შთაბეჭდილება არ არის. მერაბი მისაღებ გამოცდაზე რომ უკრავდა, ისეთი შთაგონებული სახე ჰქონდა, რომ კონსერვატორიის მაშინდელმა რექტორმა **იონა ტუსკიამ** გამოცდაზე მისი პორტრეტი დახატა.

საათები ელვის სისწრაფით გავიდა. მერაბის წასვლის დრო იყო. ეტყობოდა, რომ წასვლა ძალიან უჭირდა. მეც გული დამწყდა, როცა ავტობუსში დაჯდა და ხელი დაგვიქნია.

გოგი მიხვდა, რომ მერაბთან შეხვედრამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ცუდ დღეში ჩავარდა. ელდარიც ხომ გოგის მეგობარი იყო და მერაბზე მეტად ელდარი უყვარდა. **„მერაბი თავის თავში ჩაკეტილი ბიჭია,** — მითხრა გოგიმ, — **გოგოებს საერთოდ არავითარ ყურადღებას არ აქცევს. მე ძალიან გამიკვირდა, შენთან სახლში ამდენი ხანი რომ დარჩაო. მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, ბათუმში რომ ჩავა, შენი არსებობა საერთოდ არ გაახსენდება".** მე ვუპასუხე: **„თბილისში რომ ჩავალთ, მერაბი აუცილებლად მომძებნის". „ნუ ხარ ასეთი თვითდაჯერებული,** — მითხრა გოგიმ, — **აი, სექტემბერიც მოვა და დაინახავ, რომ მე მართალი ვიყავი".**

აგვისტოს ბოლოს მე და დედა თბილისში ჩამოვედით, უნივერსიტეტის პირდაპირ, ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩაზე, ოთახი ვიქირავეთ და იქ დავსახლდით. პირველ სექტემბერს ლექციებიდან რომ გამოვედი, **მერაბი** შემხდა. შემთხვევით გამოვიარე აქეთო — ხაზგასმით მითხრა. სახლამდე მიმაცილა. სახლში შემოვიპატიჟე. დედაჩემი გავაცანი (მერაბი რომ მესტუმრა ოზურგეთში, დედა სახლში არ იყო). დედა ძალიან დიდ პატივს სცემდა მერაბის გამზრდელ ბაბუას **ვლადიმერ დემურიას,** რომელიც წლების განმავლობაში განათლების სამინისტროში მუშაობდა. იყო რუსული ენის სასკოლო სახელმძღვანელოებისა და მრავალი მეთოდური ხასიათის შრომის ავტორი, ოზურგეთშიც იყო ნამყოფი სკოლების შესამოწმებლად, დედაჩემს გაკვეთილებზე დასწრებია, შეუქია და სერიოზული რჩევებიც მიუცია. ამ ფაქტორმა დიდი როლი ითამაშა დედაჩემის მერაბის მიმართ კეთილგანწყობაში.

**მერაბი რამდენჯერმე მოვიდა ჩვენთან. ჯერ ჩვენს შორის არავითარ გრძნობებზე არაფერი თქმულა, მაგრამ მე უკვე ვგრძნობ, რომ ჩემი გრძნობა მერაბის მიმართ არ ჰგავს არაფერს, რაც აქამდე მქონია.**

**ელდარს** მე თვითონ ვუთხარი ჩემი დამოკიდებულების შესახებ მერაბის მიმართ. არ ვიცი, რა მოხდა მათ შორის, მაგრამ მერაბი გაქრა. აღარც უნივერსიტეტში მოდიოდა, აღარც სახლში ჩემთან. **გავიდა ცოტა ხანი და ზვიადი და მერაბი დააპატიმრეს. ნასვამები იყვნენ, არ ვიცი, მართლა დააშავეს რამე თუ პროვოკაცია იყო, მაგრამ ახალგაზრდობა მათ მხარეზე იყო და იცოდა, რომ მათ დაპატიმრებაში სუკის ხელი ერია.**

ამ დროს მე უნივერსიტეტში დიდი უსიამოვნება შემემთხვა. ყველაფერი ძალიან მარტივად დაიწყო. იმ დღეს სტიპენდია ავიღეთ. **ლილი პაატაშვილმა** და ლილის ძმის **ვახტანგის** მეგობარმა **გაიოზ აბესაძემ** ნაძლევი დადეს, ჭადრაკი ეთამაშათ და ვინც წააგებდა, რესტორან „საქართველოში" წაიყვანდა ჩვენს ოთხეულს **(ლილი, ვახტანგი, გაიოზი და მე).**

რესტორანი „საქართველო" ახალი გახსნილი იყო და გვაინტერესებდა, როგორ გამოიყურებოდა. ლილიმ წააგო და წავედით რესტორანში. დღის სამი საათი იქნებოდა, რესტორანში რომ შევედით. ჩვენი სტიპენდია 290 (ფულის გამოცვლამდე) მანეთი რას გასწვდებოდა, ადვილად წარმოსადგენია. რესტორანში მხოლოდ ღორის მწვადები ჰქონდათ. ლილის და ვახტანგს არაფერი უთქვამთ, მე და გაიოზს თავშიც არ მოგვსვლია, რომ ისინი ებრაელები არიან და ღორის ხორცი ეზარებათ. მოგვიტანეს ოთხი მწვადი და ერთი ბოთლი შამპანური. მე ამ პერიოდში უკვე ვეწეოდი და სიგარეტი გავაბოლე. გვერდით მაგიდასთან აღმოჩნდნენ უნივერსიტეტის, სამედიცინო ინსტიტუტის და, მგონი, პუშკინის სახელობის ინსტიტუტის კომკავშირის მდივნები. ლილიმ ღორის ხორცი კი შეჭამა, მაგრამ ცუდად გახდა და ტუალეტში გავედით. უკან რომ დავბრუნდით, აქეთ-იქით მილიციელები ამოგვიდგნენ და მეორე სართულზე ასვლა გვიბრძანეს. ვახტანგი და გაიოზი უკვე იქ იყვნენ, კომკავშირის მდივნებიც იქ ბრძანდებოდნენ. **მოგვახსენეს, რომ ჩვენ საბჭოთა სტუდენტისთვის შეუფერებელი საქციელი ჩავიდინეთ, რომ რესტორანში შესვლა** (მე და ლილი იმ დღეს პირველად ვიყავით რესტორანში) **და შამპანურის დალევა საბჭოთა სტუდენტის მორალური სახის შებღალვაა, ქართველი ქალის რესტორანში შესვლა მისი კდემამოსილების უარყოფაა და ა.შ.** მე გაოგნებულმა ვუთხარი, რომ ჩვენ არაფერი დაგვიშავებია და არ მესმის, რა უფლებით ამოგვიყვანეს აქ. მაგას ხვალ ნახავთო, დაგვემუქრნენ და გამოგვიშვეს.

მეორე დღეს მთელი ქალაქი ჩვენს „ამორალურ" საქციელზე ლაპარაკობდა. უნივერსიტეტის გაზეთში დაიბეჭდა **არმაზ სანებლიძის** ვრცელი სტატია, რომელშიც ასეთი ფრაზები იყო: **„თქვენზე, რუსუდან ბერიძე, ამბობენ, რომ ნიჭიერი სტუდენტი ბრძანდებით. ალბათ, მშვენიერ მოხსენებასაც წაიკითხავდით საბჭოთა ახალგაზრდის მორალურ სახეზე, მაგრამ სად არის თქვენი მორალური სახე?"** სტატიაში ვრცლად იყო მიმოხილული ჩემი ჩაცმულობა (პირველ კურსზე დედამ პალტო რომ შეაკერინა ჩემთვის, მესამე კურსზე ის პალტო მკერავმა გადამიბრუნა და ციგეიკის ყავისფერი საყელო გამიკეთა, თავზე იაფფასიანი ქუდი მეხურა, პალტოები არ გაგვიხდია, რადგან რესტორანში ციოდა), როგორ ვგავდი რატომღაც შანსონეს (მაშინ ეს სალანძღავი სიტყვა იყო), როგორ გავაბოლე სიგარეტი და ა.შ. მოკლედ, „ბოროტმოქმედი" ვიყავი.

დადგა ჩვენი კომკავშირიდან გარიცხვის საკითხი, რაც უნივერსიტეტიდან გარიცხვასაც ნიშნავდა. უნივერსიტეტი ორ ბანაკად გაიყო. „პროგრესულები" მოდიოდნენ, ხელს გვართმევდნენ, გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენთან არიან (ვითომ რაიმე გმირობა გვქონდა ჩადენილი), დანარჩენები (მათი რაოდენობა გაცილებით მეტი იყო) ისე გვექცეოდნენ, მინიმუმ, კოცონზე დაწვის ღირსნი ვიყავით. მახსოვს, სტუდენტების ერთი ჯგუფის წინ გამოვიარე და ვიღაცამ ზურგში მომაყოლა: **„შეხედეთ, კიდევ ამაყად მობრძანდება, არც კი რცხვენია". არმაზ სანებლიძის** სტატია ჩემს ჯგუფში მე თვითონ ხმამაღლა და „გამოთქმით" წავიკითხე. 15 წუთში ფაკულტეტის პარტიულ ბიუროში დამიბარეს, თქვენ კიდევ რაებს ბედავთო. ესე იგი, ერთ-ერთი ჩემი ჯგუფელი წავიდა და დამაბეზღა.

ჩვენი საკითხი უნივერსიტეტის კომკავშირის ბიუროს სხდომაზე განიხილეს. განხილვას ჩვენი ფაკულტეტის დეკანი **პოლიკარპე (კუკუშა) ზერაგია** ესწრებოდა. უხეში და კუშტი კაცი ჩანდა, მაგრამ ძალიან კეთილი გული ჰქონდა და ვაჟკაცური ბუნება. ბიუროს წევრებმა ჩვენი ლანძღვით გული რომ იჯერეს, ერთი უსიამოვნო გარეგნობის გოგო უცებ წამოვარდა და დაიყვირა: **„რუსუდან ბერიძე ისეთი თავხედია, ასეთი საქციელის შემდეგ ჩემთვის თვალებში შეხედვას ბედავსო".** აქამდე **კუკუშა ზერაგია** წყნარად იჯდა. აქ, ეტყობა, მოთმინების ძაფი გაუწყდა და ითხოვა, „დამნაშავეები" გარეთ გავუშვით. როგორც მერე გავიგეთ, ჩვენი გასვლის შემდეგ ყვირილი დაუწყია, ყველაფერს ხომ ზომა აქვს ბოლოს და ბოლოს, თქვენ ხომ იცით, ოთხივე ხუთოსანია, ოთხივე ბრწყინვალე სტუდენტია. ასეთი სტუდენტი იყოს თითოეული და რესტორნის ფულს მე თვითონ მივცემო.

ექვსი თვით სტიპენდია მოგვიხსნეს, მკაცრი საყვედური გამოგვიცხადეს, თან მოგვამადლეს, კეთილად მოგექეცითო. როგორც **არმაზ სანებლიძე** წერდა: **„თქვენივე ამხანაგები დაგეხმარებიან. ხელს არ გკრავთ! მაგრამ ვერ გაპატიებთ."**

არ მინდა დავუკარგო, კომკავშირის ბიუროს სხდომაზე **ლევან (ალიკა) ალექსიძე** და **როინ მეტრეველი** ნორმალურად მოიქცნენ და მაქსიმალურად მხარი დაგვიჭირეს.

რატომ დაწერა ნიჭიერმა და განათლებულმა ადამიანმა **არმაზ სანებლიძემ** თავისი სტატია **„5 საათზე: რესტორან საქართველოში"?** დაავალეს? მთელ სტატიაში მართალი მხოლოდ ის იყო, რომ რესტორანში ვიყავით. საიდან ასეთი შხამი და ბალღამი? „არ ვიცოდით, რომ ძმა საკუთარ დას შეიყვანდა რესტორანში მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ ბოლოს გულარეული და ნახევრად გონდაკარგული ორივენი ოფიციანტს გამოეთრია იქიდან". „თქვენ შეურაცხყავით ჩვენი უნივერსიტეტი, ტალახში გასვარეთ მისი თეთრი კედლები", „ჩვენ შეგვიძლია, ირონიულად გავიღიმოთ და ხელი გკრათ და გითხრათ: წაეთრიეთ, სადაც გნებავთ."

**ამ ამბებიდან 40 წლის შემდეგ არმაზ სანებლიძემ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" საჯაროდ მომიხადა დაგვიანებული ბოდიში თავისი სტატიისათვის.**

●

ჩვენი „გმირობა" ისე გახმაურდა, რომ **მერაბს და ზვიადს** ამბავი მიუტანეს ციხეში, გაზეთიც მიუტანა ვიღაც მნახველმა. ორივეს გამოცდილი ჰქონდა ასეთი პუბლიკაციის სიმწარე **(„სარეველები")** და, ცხადია, ჩვენი მხარე დაიჭირეს.

**მერაბი და ზვიადი** ციხიდან 1959 წლის იანვრის ბოლოს გაათავისუფლეს. მერაბი არ გამოჩენილა. როგორც მერე გავიგე, **ელდარი** მივიდა მასთან და სთხოვა, ჩემთან ყველანაირი ურთიერთობა გაეწყვიტა. **მერაბი** დაჰპირდა, შემთხვევითაც რომ შევხვდე, არ მივესალმებიო.

●

1959 წლის მარტში მეხივით გავარდა **გალაკტიონ ტაბიძის თვითმკვლელობის ამბავი.** ჩემს ახალგაზრდობაში გალაკტიონი ელიტარული პოეტი იყო და მისი სიდიადე საზოგადოების ინტელექტუალური ნაწილის მიერ იყო აღიარებული, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ თითქოს მთელი საქართველო ერთბაშად მიხვდა, ვინ დავკარგეთ.

გალაკტიონის დაკრძალვას უამრავი ხალხი დაესწრო. გაზაფხულის მზიანი დღე იყო. მე და **დილვარდი ამაშუკელი** ოპერის თეატრის შენობასთან მოვწყდით ხალხის ნაკადს, ვიდექით და ვფიქრობდით, როგორ ავსულიყავით მთაწმინდაზე. ამ დროს **მერაბი** გამოჩნდა. ჯერ შემომხედა, თავი დამიქნია და წავიდა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მობრუნდა, მკლავზე ხელი მომკიდა და მითხრა: **„წავიდეთ!"** ძლივს გავიკვლიეთ გზა ხალხის ნაკადში, უკანასკნელი პატივი მივაგეთ გალაკტიონს და უკან დავბრუნდით. „წამოდი, ვიხეტიალოთ", — მითხრა მერაბმა. დიდხანს ვიხეტიალეთ. მხოლოდ გალაკტიონზე ვლაპარაკობდით. ხან ის, ხან მე გალაკტიონის ლექსებს ვკითხულობდით. გადავწყვიტეთ, ყოველ წელს, ატამი რომ აყვავდებოდა, გალაკტიონის საფლავზე ავსულიყავით და ატმის ყვავილები დაგვეწყო (რამდენიმე წელი ასე ვაკეთებდით).

გალაკტიონის დაკრძალვის შემდეგ სულ ერთად ვიყავით. **მერაბმა** ჯერ ჯავახიშვილის ქუჩაზე მიმიყვანა და თავისი გამზრდელი ბებია **ლუბა დემურია** გამაცნო. **ვლადიმერ დემურია** ერთი წლის გარდაცვლილი იყო და **ლუბა ბებიას** შავები ეცვა. საოცრად ლამაზი ქალბატონი იყო. თეთრი, ქათქათა თმა გვირგვინივით ედგა თავზე, დახვეწილი, ინტელიგენტური სახე ჰქონდა. **ლუბა ბებიას** მერაბი ყველაზე მეტად უყვარდა და ძალიან ანებივრებდა. **მერაბი** რომ დაიბადა, მერაბის დედას ტუბერკულოზის მძიმე ფორმა ჰქონდა, ექიმები უკრძალავდნენ შვილის გაჩენას, მაგრამ მაინც გააჩინა. **ლუბა ბებიას** უფროსი ქალიშვილი ტუბერკულოზით გარდაიცვალა 24 წლის ასაკში, მერე მერაბის დედაც დაავადდა.

მერაბი როგორც კი დაიბადა, ავადმყოფ დედას მოაცილეს და ბებია ზრდიდა. ვერც უმცროსი ქალიშვილი **ბაჩანა** ეხმარებოდა დედას. როცა ტუბერკულოზის ოპერაციით მკურნალობის მეთოდი გაჩნდა **(ნეკნების ამოღება და ფილტვის დაავადებული ნაწილის ამოჭრა),** მერაბის დედამ და კიდევ 11-მა ქალმა გარისკეს ოპერაციის გაკე-

**1959 წლის 12 აპრილს მე და მერაბმა ხელი მოვაწერეთ. რუსთაველის მოედნის ახლოს, ლენინის ქუჩაზე (ახლა მერაბ კოსტავას ქუჩა) ზაგსი იყო, ორი ჭუჭყიანი, ულამაზო პატარა ოთახი. მერაბის ხელისმომკიდე ჯონდო მეტრეველი იყო, ჩემი — ნუნუ ჯაბუა!**

# უცნობი დღიურები

თება. მხოლოდ სამი ქალი გადარჩა, მათ შორის — მერაბის დედა. ტუბერკულოზისგან განიკურნა, მაგრამ ცხადია, ინვალიდი დარჩა და მუდამ ჯანმრთელობას უჩიოდა. **მერაბი ბებიამ და ბაბუამ შვილად გაიფორმეს და მათთან იზრდებოდა.** მერაბის დედა იქ დადიოდა და მერაბის განათლების საქმეს თვითონ ხელმძღვანელობდა.

რამდენიმე დღის შემდეგ მერაბის დედამ დაგვპატიჟა თავის სახლში, ჯაფარიძის ქუჩაზე, სოლოლაკში. პირველი მერაბის მეორე ბებია **ეკატერინე ნუცუბიძე** შემოგვეგება. გადამკოცნა. ტკბილმოუბარი, კეთილი და შრომისმოყვარე ქალი იყო. ათი წელი ორი შვილი დაპატიმრებული ჰყავდა. საბნებს კერავდა და იმით ინახავდა პატიმარ შვილებს. უფროსი ვაჟი — **გრიგოლ კოსტავა** — ცნობილი ქართველი მსახიობი — ღრმად ერუდირებული და განსწავლული კაცი, 1945 წელს დააპატიმრეს. **რამდენიმე ადამიანს ანტისაბჭოთა შეთქმულება და საქართველოში ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენის მცდელობაში დასდეს ბრალი და დახვრეტა მიუსაჯეს.**

**გრიშა კოსტავას მეუღლე მედეა ჯაფარიძე** ცნობილი კომისრის ჯაფარიძის ძმისშვილი იყო. მედეა მოსკოვში გადაფრინდა. მამიდამისმა, რომელიც მოსკოვში ცხოვრობდა, მოუხერხა გენერალურ პროკურორ **მეხლისთან** შეხვედრა. მედეას ისეთი ღვთაებრივი სილამაზე ჰქონდა, ჩემი დედამთილი მიყვებოდა, სუფრასთან რომ ვისხედით და გრიშა და მედეა შემოვიდოდნენ, ხალხი შეშდებოდა და ყველა მედეას უყურებდა მისი სილამაზით გაოგნებულიო. **მეხლისიც** ვერ დარჩენილა გულგრილი მედეას მშვენიერების წინაშე და უთქვამს — მითხრეს, რომ ქალს უნდა შევხვედროდი, თქვენ კი ღვთაება ბრძანდებითო. **მედეა ჯაფარიძის მცდელობით, დახვრეტა ათი წლის პატიმრობით შეიცვალა ჯგუფის თითოეული წევრის მიმართ.** მაშინ ათი წლით პატიმრობა სამუდამო პატიმრობას ნიშნავდა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ცოცხლები დარჩნენ და ცოცხალ ადამიანს საშველი ყოველთვის გამოუჩნდება ხოლმე.

მართლაც ასე მოხდა. **გრიშა კოსტავა** 1953 წელს გაათავისუფლეს. ჯერ თბილისში ცხოვრება აუკრძალეს და ქუთაისში დასახლდა. მაშინ ქუთაისის თეატრის მთავარი რეჟისორი **გიგა ლორთქიფანიძე** იყო. გრიშამ ჯერ ქუთაისის კულტურის სახლში დაიწყო მუშაობა, დრამატულ წრეს ხელმძღვანელობდა. მერე გიგა ლორთქიფანიძემ გაბედა **(მაშინ ამას მართლა გამბედაობა სჭირდებოდა)** და თეატრში აიყვანა სამუშაოდ.

გრიშას დაბრუნებას არავინ ელოდა და მედეა მისი პატიმრობის დროს შესანიშნავ ქართველ მამულიშვილს **რეზო თაბუკაშვილს** გაჰყვა ცოლად. გრიშა რომ დაბრუნდა, მედეას უკვე შვილი ჰყავდა. მათი შეხვედრა გრიშას დაბრუნების შემდეგ ძალიან დრამატული იყო. რომელიღაც მსახიობის იუბილე ტარდებოდა მარჯანიშვილის თეატრში. **მედეა** პრეზიდიუმში იჯდა, **რეზო თაბუკაშვილი** — პარტერში. გამოცხადდა, რომ ქუთაისის თეატრის სახელით მისალმებით გამოვა **გრიგოლ კოსტავაო** და სცენაზე გრიშა შემოვიდა.

თბილისელ მაყურებელს გრიშა ძალიან უყვარდა **(შესანიშნავი რაბინი იყო „ურიელ აკოსტაში“),** მისი ტრაგიკული ისტორია ყველამ იცოდა. დარბაზმა იხუვლა, ფეხზე წამოდგა და ოვაციები გაუმართა. მედეა ცუდად გახდა და სცენიდან გაიყვანეს. მერე გრიშას თბილისში დაბრუნების უფლება მისცეს და სიცოცხლის ბოლომდე მარჯანიშვილის თეატრში მუშაობდა. ცოლი შეირთო, ბიჭი შეეძინა — **დათო კოსტავა,** მშვენიერი ოჯახი ჰქონდა. მედეა და გრიშა ერთ თეატრში მუშაობდნენ, მაგრამ ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ. მე და გრიშა ახლო მეგობრები ვიყავით, მაგრამ მედეაზე არასოდეს არცერთი სიტყვა არ უთქვამს. უსიტყვოდ ატარებდა გულში ტკივილს. მე და მედეაც ვმეგობრობდით, ხშირად ვლაპარაკობდით გრიშაზე. მედეას, ეტყობა, დანაშაულის გრძნობა აწუხებდა, ხშირად უთქვამს — არავის ეგონა, გრიშა თუ დაბრუნდებოდა ოდესმეო. აინტერესებდა გრიშას ოჯახის ამბავი, ხშირად მეკითხებოდა დათოს შესახებ. გრიშა რომ გარდაიცვალა, მერეც ყოველთვის კითხულობდა დათოს ამბავს.

მერაბისთვის **გრიშა** მარტო ბიძა არ იყო. იგი გახლდათ ვაჟკაცობის, სიძლიერის, გამძლეობის ეტალონი (გრიშა მართლაც ძლიერი პიროვნება იყო. ერთი შტრიხი: დასახვრეტ კამერაში რომ იჯდა, გერმანული ენის სახელმძღვანელოები მოითხოვა, გერმანული ენის სწავლა დაიწყო და ციხეში სრულყოფილად შეისწავლა გერმანული ენა). გრიშასაც გამორჩეულად უყვარდა მერაბი.

მერაბის მამა **ივანე (ვანო) კოსტავა** თავის ძმას არ ჰგავდა. საშუალო ტანის კაცი იყო, მრგვალი კეთილი სახე ჰქონდა, შუქიანი თაფლისფერი თვალები და რბილი, ალერსიანი ღიმილი. თვითონაც რბილი კაცი იყო. ძალიან ღრმად იცოდა ქართული ლიტერატურა და პოეზია, შესანიშნავი მთხრობელი იყო. გრიშას დაპატიმრების შემდეგ ვანოც დააპატიმრეს, ბუღალტერი იყო და გაფლანგვის მუხლი წაუყენეს. ბრალდება სრულიად უსაფუძვლო იყო, მაგრამ მაშინ ეს არაფერს ნიშნავდა. **„კაცი იყოს და ბრალდება გამოჩნდება“** — ეს იმ დროის ფრთიანი ფრაზაა. ვანოს ათი წელი მიუსაჯეს და კრასნოიარსკის ბანაკში მოიხადა სასჯელი. 1956 წელს დაბრუნდა, უკვე გაზრდილი შვილი დახვდა. მერაბს მამა ძალიან უყვარდა, მაგრამ მეგობრები ვერ გახდნენ. მე და ვანო კი ძალიან ვმეგობრობდით, საათობით მელაპარაკებოდა, მიყვებოდა წარსულის ამბებს, ოჯახის ისტორიას, ვსაუბრობდით ლიტერატურაზე. უთქმელი კაცი იყო, თავის დარდსა და ვარამს გულში ატარებდა და 1964 წელს ინსულტით გარდაიცვალა.

მერაბმა ძალიან მთხოვა, ქართული ტრადიციის მიხედვით, მისი მშობლებისთვის დედა და მამა დამეძახა. **ვანო** მართლა მამასავით მიყვარდა, მაგრამ სიტყვა **„მამა“** ვერ ვუთხარი. ბევრჯერ ვცადე და არ გამომივიდა. საერთოდ მიმართვის გარეშე ვესაუბრებოდი. **ოლიკოს** ცოტა ხანი კი ვეძახდი **„დედას“,** მაგრამ შემდეგ ეს ფარისევლობად ჩავთვალე და **„ქალბატონ ოლიკოზე“** გადავედი.

მერაბის დედა **ოლიკო დემურია** მაშინ 44 წლისა იყო. მერაბი გარეგნულად ძალიან ჰგავდა დედას. **ოლიკოს** დიდი შავი თვალები, ოვალური ფორმის სახე, ლამაზი ცხვირი, მშვენიერი ღიმილი, საერთოდ დიდებული იერი ჰქონდა. ნიჭიერი ქალი იყო, კარგი ინჟინერი, ბუნებრივი ჭკუა ჰქონდა მომადლებული, თუმცა, კითხვა არ უყვარდა და დიდი განათლებით ვერ დაიკვეხნიდა.

**ოლიკო** კარგად შემხვდა. სუფრასთან რომ ვისხედით, მაშინ მითხრა: **„შვილო, მერე რომ არ მისაყვედურო, უნდა გაგაფრთხილო, მერაბს ძალიან მძიმე ხასიათი აქვს“.** მისმა ნათქვამმა გამაკვირვა. მერაბი, რომლისგანაც ამაღლებული სიტყვების მეტი არაფერი გამიგონია, რომელიც ყოველ წუთს და ყოველ საათს თავის უდიდეს სიყვარულზე მელაპარაკებოდა, თვალებში შემომცქეროდა, რომ რაიმე არ მწყენოდა — **მერაბს მძიმე ხასიათი აქვს? ეჭვიანი რომ იყო, ვხედავდი, მაგრამ ეს მისი სიყვარულის დადასტურება იყო. რა იყო ამაში ცუდი?**

1959 წლის 12 აპრილს მე და მერაბმა ხელი მოვაწერეთ. რუსთაველის მოედნის ახლოს, ლენინის ქუჩაზე **(ახლა მერაბ კოსტავას ქუჩა)** ზაგსი იყო, ორი ჭუჭყიანი, ულამაზო პატარა ოთახი. მერაბის ხელისმომკიდე **ჯონდო მეტრეველი** იყო, ჩემი — **ნუნუ ჯაბუა.** უგულო, უსიამოვნო ცერემონიალი იყო. მერე მეგობრებში 300 მანეთი ვისესხეთ და ქუთაისში მატარებლით წავედით. ქუთაისში მერაბს ბევრი ნათესავი ჰყავდა — ნუცუბიძეები და კოსტავები. მერაბმა თავისი ბიძის ოჯახში მიმიყვანა. მისი იმერელი ბიცოლა შემოგვეგება. **„მერაბ, ეს შოლტივით გოგო სად მოგიპარავს?“** — ჰკითხა და გადამკოცნა. თბილისში დავრეკეთ და ჩვენი ადგილსამყოფელი შევატყობინეთ. საერთოდ, რატომ „გავიპარეთ“, ვერაფერს გეტყვით. დედაჩემს მერაბი მოსწონდა, მერაბის მშობლებს მე მოვწონდი, ჩვენი ქორწინების წინააღმდეგი არავინ იყო. ეტყობა,. გაპარვა უფრო რომანტიკული მოგვეჩვენა.

**ელდარ ასტემიროვის** თემას დავამთავრებ აქვე. **ელდარმა ჩემი გათხოვება რომ გაიგო, დედაჩემთან მივიდა. რამდენიმე საათი ცხარე ცრემლებით ტიროდა. დედა ამშვიდებდა და ეფერებოდა.** მერე, როგორც დედაჩემი იუმორით ყვებოდა, ორივეს მოგვშივდა, ომლეტი გავაკეთეთ, ვისადილეთ და ცოტათი დაწყნარებული სახლში გავუშვიო. ვუთხარი, რადგან **რუსუდანმა** შენი სიყვარული არ დააფასა, ასეთი განცდის ღირსი არ არისო.

მერე მერაბმა ჯავახიშვილის ქუჩის დასაწყისში ნახა **ელდარი** და მისი მეგობარი. **„აქ რა გინდა?** — ჰკითხა **მერაბმა.** ელდარმა უპასუხა: **„შენ მთლიანად გეკუთვნის, მე რომ დავინახო, ამის უფლებაც არა მაქვს?“** მერაბი გაცეცხლდა, მთაწმინდაზე ავიდნენ და ერთმანეთს მუშტები ურტყეს.

ცოტა ხანში **ელდარმა** კონსერვატორია მიატოვა, ყველაფერი გააყიდინა მამამისს და ჩრდილოეთ კავკასიაში გადასახლდა. მე და მერაბის გაშორების პერიოდში ორ-სამჯერ ჩამოვიდა თბილისში, მაგრამ ჩვენი ურთიერთობა უკვე წარსულს იყო ჩაბარებული და მისი მკვდრეთით აღდგენის სურვილი არ არსებობდა. 25 წელი ელდარზე არაფერი გამიგია, მერე ჩეჩნეთის ომი რომ დაიწყო, ელდარის ბედზე წუხილი დავიწყე. **გოგი ბერიძეს** ვკითხე, არაფერი იცოდა. მაშინ საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი ვიყავი. პარლამენტში ხშირად მოდიოდა სოხუმელი **ეთერ ასტემიროვა,** ქალთა ორგანიზაციის აქტიური წევრი. ძალიან სიმპათიური ქალბატონი. ვიფიქრე, **ასტემიროვი** იშვიათი გვარია, იქნებ რამე იცის **ელდარის** შესახებ-მეთქი, ვკითხე. ჩემი ძმა არისო, მიპასუხა. მე კი ვიცოდი, თქვენ ვინ იყავით ჩემი ძმისთვის და ბევრჯერ მინდოდა თქვენთან მოსვლა, მაგრამ მომერიდაო.

ეთერისგან გავიგე, რომ ელდარი ყაბარდოშია, მეუღლე და სამი ვაჟი ჰყავს. ძალიან გამიხარდა. მისი ნახვა ახლა ნამდვილად არ მინდა. ის შუა ხანს გადაცილებული სიმპათიური მამაკაცია, ალბათ, მეც — შუა ხანს გადაცილებული ქალბატონი ძველი სილამაზის ნაშთით. მეც და მასაც, ალბათ, გვირჩევნია, ჩვენი სიჭაბუკის ხატებები დავიტოვოთ.

**მერაბმა** უკვე პატიმარმა მითხრა ერთხელ: **„იცი, რატომ ვერ ავაწყეთ მე და შენ ურთიერთობა? ორივენი, განსაკუთრებით მე, ელდარის წინაშე დამნაშავეები ვიყავით. მე მეგობარს ვუღალატე, მის უბედურებაზე ვცადე ჩემი ბედნიერების აგება. ღმერთმა ეს ცოდვა არ მაპატია“.** იქნებ სიმართლის ნაწილი მერაბის ამ ნათქვამში მართლაც იყო.

ქუთაისში სამი დღე დავრჩით... ყოველ საღამოს ნათესავები გვეპატიჟებოდნენ. **დალევდა თუ არა მერაბი, აგრესიული და კონფლიქტური ხდებოდა,** ამუშავდა ის ფაქტორი, რომ მე უმამოდ გავიზარდე და მთვრალი კაცის ფსიქოლოგია ჩემთვის სრულიად უცნობი იყო (ბიძაჩემს **ლადო მახარაძეს** უყვარდა ქეიფი, მაგრამ მთვრალი ალერსიანი იყო, ოჯახში ყველას გვასაჩუქრებდა, ყველას ტკბილ სიტყვებს გვეუბნებოდა, ასე რომ, ვერც მამიდაჩემის სახლში ვიგრძენი, რა არის ცუდი სიმთვრალე). როცა გამოფხიზლდებოდა, ისევ **ჩემი მერაბი** იყო, ამიტომ ჯერ კიდევ ძალიან ბედნიერები დავბრუნდით თბილისში. მე ჯავახიშვილის ქუჩაზე გადავედი საცხოვრებლად, დედაჩემი ოზურგეთში დაბრუნდა.

•

**ლუბა ბებიას** მალე შევეგუე. გარეგნულად მკაცრი ქალი იყო, მაგრამ შიგნით საოცარი სითბო და სიკეთე ჰქონდა. როგორც შვილი, ისე მიმიღო და ერთი წუთითაც არ მიგრძნია, რომ უცხო ოჯახში ვიყავი. **ჩემი დედამთილი** ყოველდღე მოდიოდა ჩვენთან სამსახურის შემდეგ. პირველ ხანებში სიყვარულით მექცეოდა, მეფერებოდა, მანებივრებდა. საერთოდ მძიმე ხასიათის ქალი იყო. საკმაოდ ხშირად უსამართლოდ ეჩხუბებოდა **ლუბა ბებიას,** ეჭვიანობდა, რომ მას მეორე ქალიშვილი ბაჩანა უფრო უყვარდა **(ბაჩანა და მისი მეუღლე სევერიან (ქვაჩი) ციკოლია და მათი ვაჟი ომარი მაშინ სოხუმში ცხოვრობდნენ).** ოლიკოს მბრძანებლური ხასიათი ჰქონდა და ირგვლივ მყოფების დამორჩილებას ცდილობდა და ახერხებდა კიდეც. ცოტა ხანში აღმოჩნდა, რომ მე არც ისეთი მორჩილი ხასიათი მაქვს. **ოლიკომ პირველად რაღაცაზე რომ დამიყვირა, გაოგნებულმა ვუთხარი: „რატომ მიყვირეთ? მე განა როდისმე ხმა ამიმაღლებია?“ ის დღე იყო და ის დღე, ოლიკოს არასოდეს ჩემთვის ხმამაღალი სიტყვა აღარ უთქვამს, მაგრამ თბილი ურთიერთობაც ამით დამთავრდა.** ამის შემდეგ ყოველთვის კორექტულები ვიყავით ერთმანეთთან, ყოველთვის თავშეკავებულები, ავადმყოფი **ოლიკოსთვის** ბევრჯერ მომივლია, ექიმებთანაც დამყავდა, დასასვენებლადაც. მერაბი პატიმარი რომ იყო, ისე ვპატრონობდი, საკუთარი ქალიშვილი რომ ჰყოლოდა, ის ვერ უპატრონებდა, მაგრამ არასოდეს მეგობრები არ ვყოფილვართ, რაღაც დისტანცია იყო ჩვენ შორის და ამ მანძილის გადალახვა მხოლოდ ორჯერ მოხდა: **როცა ირაკლი დაიღუპა და როცა მერაბი დაიღუპა.** მაშინ ორივემ ვიგრძენით, რომ ძალიან ახლობელი ადამიანები ვიყავით, მაგრამ ორივეჯერ ეს სიახლოვე დაირღვა და კვლავ უცხოობის კედელი აღიმართა ჩვენ შორის.

გათხოვებიდან ორი კვირის შემდეგ უკვე ვიცოდი, რომ ძალიან უბედური ვიყავი. მერაბის ეჭვიანობა, რომელიც გათხოვებამდე სიყვარულის დასტურად მიმაჩნდა და მომწონდა კიდეც, რეალობაში საშინელება აღმოჩნდა. **მერაბი ეჭვიანობდა ყველაფერზე, დამყვებოდა უნივერსიტეტში ლექციებზე, ქუჩაში ამოიჩემებდა ვინმეს, ვინც ორჯერ ზედიზედ შეგვხვდებოდა და მთელი სერიოზულობით მიმტკიცებდა, რომ ის ჩემი საყვარელია.** დავყავდი კონსერვატორიაში სპეციალობის გაკვეთილებზე, რომ სახლში არ დავეტოვებინე. მერაბის პედაგოგი, პროფესორი **ბაიანე მაჭუტაძე** ძალიან დახვეწილი ქალბატონი ბრძანდებოდა და თავის გაოცებას არ გამოხატავდა, მაგრამ მე ხომ მესმოდა, რა საოცრებად ეჩვენებოდა, რომ სტუდენტს თავისი მეუღლე მოჰყავდა გაკვეთილზე.

**ეჭვიანობის ყოველი სცენა, განსაკუთრებით თუ მერაბი ნასვამი იყო, უხეში ფიზიკური შეურაცხყოფით და ჩემი ცრემლებით მთავრდებოდა.** მერე მერაბი ჩემს არარსებულ ცოდვებს „მპატიობდა“, თავისი ჭკუით, ბოდიშებს მიხდიდა, როიალთან დაჯდებოდა, ჩემს საყვარელ ნაწარმოებებს შეასრულებდა, მიკითხავდა ლექსებს, მონოლოგებს შექსპირის ტრაგედიებიდან. მეც ვიჯერებდი, რომ ასეთი რამ მეტი არ განმეორდებოდა. **საუბედუროდ, მეორე ან მესამე დღეს იგივე მეორდებოდა. საოცრება ის იყო, რომ ჩხუბიდან ჩხუბამდე მერაბი თბილი და ალერსიანი იყო, ყველა ჩემს თხოვნას უსიტყვოდ ასრულებდა. თუ სახლში მარტონი ვიყავით, იატაკის გარეცხვაში და ფანჯრების გაწმენდაშიც კი მეხმარებოდა.** ეჭვიანობის მორიგი სცენის დროს იცვლებოდა, კუშტი, ბოროტი სახე უხდებოდა და მაშინ ჩემთვის სრულიად უცხო ადამიანი იყო და მისი დანახვაც არ მინდოდა. მე ჩემს უბედურებაზე ვდუმდი. ჩამოვშორდი მეგობარ გოგონებს. ჩავიკეტე საკუთარ თავში. არაფერი აღარ მინდოდა. სიცოცხლე შემძულდა.

მაქსიმალურად ვცდილობდი, მორჩილი და უსიტყვო ვყოფილიყავი, ვაკეთებდი საოჯახო საქმეებს, რომლებიც არასოდეს მიკეთებია, **ლუბა ბებიამ** მასწავლა კერძების მომზადება (თვითონ შესანიშნავი მზარეული იყო), მერაბის გარეშე ფეხს არსად ვდგამდი. მერაბის მეგობრები რომ მოვიდოდნენ, საუბარში არ ვერეოდი და მაქსიმალურად ვცდილობდი, თვალებში არავისთვის შემეხედა. ყველა ჩემი მცდელობა ფუჭი აღმოჩნდა. **მერაბი ყველგან პოულობდა ეჭვიანობის საბაბს, ისევ მეჩხუბებოდა, ისევ მცემდა, ისევ ვტიროდი. გულს რომ მოიჯერებდა ჩემი ცრემლებით, პატიებას მთხოვდა და შემორიგებას ცდილობდა.**

როცა ბევრი წელი გავიდა და მერაბი სულ სხვანაირი გახდა, ვკითხე: „**მერაბ რატომ მაწვალებდი ასე მხეცურად, მე ხომ არაფერს ვაშავებდი?“** მან მიპასუხა: **„იცი, ამაზე მეც ძალიან ბევრი მიფიქრია. ბევრი ფიქრის შემდეგ ასე ავხსენი: ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და მეგონა, ცოლი უნდა დამემორჩილებინა, ჩემი ნების უსიტყვო აღმსრულებელი გამეხადა. შენი დამორჩილება ვერ შევძელი. ერთადერთი უპირატესობა მქონდა — ფიზიკური უპირატესობა. მაგრამ, როცა გცემდი და ტიროდი, მაშინაც ვგრძნობდი, რომ არ მემორჩილები“.**

მე ჩემს თავს მაშინ დამორჩილებულს და დათრგუნულს ვხედავდი, მერაბი დაუმორჩილებელს და ამბოხებულს მხედავდა. ალბათ, ორივე ხედვას აქვს

გაგრძელება 28-ე გვერდზე



რუსუდან ბერიძე. 1957 წელი

**მერაბი ეჭვიანობდა ყველაფერზე, დამყვებოდა უნივერსიტეტში ლექციებზე, ქუჩაში ამოიჩემებდა ვინმეს, ვინც ორჯერ ზედიზედ შეგვხვდებოდა და მთელი სერიოზულობით მიმტკიცებდა, რომ ის ჩემი საყვარელია!**

# მერაბ კოსტავას მეუღლის უცნობი დღიურები



მერაბ კოსტავა და რუსუდან ბერიძე. 1960 წელი

დასაწყისი 24-ე გვერდზე

თავისი სიმართლე. გათამამებული, ჯიუტი, თავნება და თავდაჯერებული გოგო და განებივრებული, ასევე ჯიუტი და თავდაჯერებული ბიჭი. ცნობიერად თუ არაცნობიერად თითოეული ჩვენგანი, ალბათ, ახალგაზრდობის და უჭკუობის გამო, მეორეზე სრული გავლენის მოსაპოვებლად იბრძოდა. ამასობაში კი ჩვენი სიყვარული ფერს კარგავდა, ურთიერთობა — ხიბლს. **თითქოს ერთმანეთისთვის ვიყავით გაჩენილი: გარეგნულად ლამაზი წყვილი, ინტელექტით და გონებით შესაფერისი, უამრავი რამ საერთო გვქონდა, ორივენი კეთილები ვიყავით, გულუხვები, ადამიანები გვიყვარდა და მათ მიმართ შემწყნარებლები ვიყავით, ურთიერთობა კი ვერ ავაწყეთ.**

●

გამოცდების დამთავრების შემდეგ გადავწყვიტეთ, მთელი საქართველო მოგვევლო. სულ 800 მანეთი გვქონდა. სატვირთო მანქანები ყველაზე იაფი ტრანსპორტი იყო. მაგალითად, 1 მანეთად **(1959 წელს ფული ჯერ არ არის გამოცვლილი)** თბილისიდან ბორჯომამდე ჩახვიდოდი. ხან უფასოდაც წაგვიყვანდნენ ხოლმე. თუ სადმე ნათესავი გვყავდა, ღამეს იქ ვათევდით, თუ არა, სასტუმროში ვჩერდებოდით. ესეც იაფი სიამოვნება იყო. ფული რომ გამოგველია, ოზურგეთში ჩავედით. მოგზაურობის დროს თითქოს დაკარგული ბედნიერება დავიბრუნეთ. არ ვჩხუბობდით. ოზურგეთშიც შედარებით მშვიდობა გვქონდა. **დედაჩემს მერაბი სიცოცხლის ბოლომდე დიდ პატივს სცემდა და საშინლად არ უნდოდა, გაეგო, რა ხდებოდა ჩვენ შორის.**

ოზურგეთიდან სოხუმში წავედით **ბაჩანასთან.** ციკოლიებს სოხუმში, ჭანბას ქუჩაზე, მშვენიერი სახლი და ეზო ჰქონდათ. ბაჩანას მეუღლე **სევერიან (ქვაჩი) ციკოლია** სოხუმის მთავარი ექიმი იყო. სიცოცხლით და იუმორით სავსე კაცი, ძალიან კარგად მღეროდა. მათი ოჯახიდან იმდენი სითბო და სიყვარული მახსოვს! ბაჩანასთან და ქვაჩისთან მათ გარდაცვალებამდე ვმეგობრობდი. მათ ვაჟს **ომარს** ახლაც ჩემს უახლოეს ნათესავად ვთვლი.

**სოხუმში ჩვენი ურთიერთობა ისევ დაიძაბა. თბილისში რომ ჩამოვედით, უკვე ვგრძნობდი, რომ მეტის ატანა აღარ შემიძლია. სექტემბრის ბოლოს დედაჩემი ჩამოვიდა. ძალიან ცუდად გამოვიყურებოდი, გავხდი, დავუშნოვდი, საღამოობით სიცხე მიწევდა.** დედაჩემს ყველაფერი ვუთხარი. ჩვენი ძველი ბინა დაიქირავა ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩაზე და **მერაბის** სახლიდან წამოვედი. სერიოზულად დავიწყე მეცადინეობა, ფორმაში მოვედი, იანვარში გამოცდები ძალიან კარგად ჩავაბარე.

**მერაბი სამი თვე არ გამოჩენილა. თებერვალში გამოჩნდა, შერიგება მთხოვა. დამპირდა, რომ ჩვენს ურთიერთობაში ყველაფერი შეიცვლებოდა. დავიჯერე. შევრიგდით.** კვლავ ჩავერთე ოჯახურ ცხოვრებაში. დედაჩემი თბილისში დარჩა და ჩვენთან ცხოვრობდა ჯავახიშვილის ქუჩაზე. **მერაბი კვლავ ეჭვიანობდა. ლექციებზე მარტო არ მიშვებდა. ძირითადად, დედაჩემი დამყვებოდა ლექციებზე** (მერაბი დედაჩემს ჩემს „დასაცავად“ უშვებდა, დედას კიდევ არ უნდოდა, ლექციები გამეცდინა და მოთმინებით მელოდა დერეფანში). **ეს ძალიან შეურაცხმყოფელი იყო. უნივერსიტეტის დარაჯებმაც კი იცოდნენ, რომ „დაცვა“ დამყვებოდა.** ერთხელ გავიგონე, ერთი დამლაგებელი მეორეს ეუბნებოდა: **„ამ გოგოს ქმარი მარტო არ უშვებს, ამისთანა რა არის, ვინ მოსტაცებს, ნეტავ ვიცოდეო“.** ძალიან მძიმედ ვეგუებოდი „დაცვას“, მაგრამ, სამაგიეროდ, სახლში შედარებით სიმშვიდე იყო და ეს სიმშვიდე ღირდა იმად, რომ „მხლებლები“ ამეტანა.

**მერაბმა** ფორტეპიანოს ფაკულტეტი მიატოვა და მუსიკათმცოდნეობის ფაკულტეტზე გადავიდა. ძალიან კარგად უკრავდა, შესანიშნავი ბგერა ჰქონდა, მუსიკალური ნაწარმოებების ღრმა და სერიოზული ინტერპრეტაცია შეეძლო, მაგრამ ხელები პიანისტისთვის პატარა ჰქონდა და ძალიან ბევრი მუშაობა სჭირდებოდა ტექნიკის დასახვეწად. ყოველდღე 8-10 საათი როიალთან ჯდომა ეზარებოდა და ამიტომ პიანისტობაზე უარი თქვა.

**მერაბი** ახლა ბევრს კითხულობდა. მუსიკაში მეცადინეობას ძალიან დიდი დრო სჭირდებოდა და მერაბის განათლებაში ბევრი ხარვეზი იყო. ახლა სერიოზულად ჩაუჯდა ფილოსოფიურ და რელიგიურ ლიტერატურას.

ხშირად მოდიოდნენ მერაბის მეგობრები: **ზვიად გამსახურდია, გურამ დოჩანაშვილი, ვოვა სიხარულიძე, აკაკი ბასაძე, ჯონდო მეტრეველი, დოდო (ვიქტორ) რცხილაძე...** საათობით საუბრობდნენ. ზვიადს **ბატონი კონსტანტინეს** ბიბლიოთეკიდან მოჰქონდა ისეთი წიგნები, რომელთა შოვნა მაშინ შეუძლებელი იყო. გრიგოლ რობაქიძე, პარიზში გამოსული ჟურნალები, „ქართლის ცხოვრება“, მიხეილ ჯავახიშვილი. ხელნაწერების სახით გვქონდა ნიკო სამადაშვილის და შოთა ჩანტლაძის ლექსები. მოკლედ, ოჯახში ინტელექტუალური ცხოვრება დუღდა.

●

ძალიან გვიჭირდა ეკონომიურად. ამ დროისათვის ოჯახის მთავარი დიასახლისი მე ვიყავი. **ლუბა ბებია** სადილებს კი აკეთებდა, მაგრამ ბაზარში წასვლა უკვე აღარ შეეძლო. როგორც დედაჩემი ხუმრობდა ხოლმე, მე არითმეტიკული მოქმედებები — შეკრება, გამოკლება და გამრავლება კარგად ვიცოდი, მაგრამ გაყოფის საქმე ძალიან ცუდად მქონდა. ჩვენს მწირ შემოსავალს ვერასოდეს ვანაწილებდი, ფული თუ გამოჩნდებოდა, უცბად ვხარჯავდი და ქრონიკულად უფულოდ ვიყავით. ტანსაცმლის ყიდვაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო (ერთხელ, ერთ კვირაში გამსახურდიების ოჯახში სამჯერ დაგვპატიჟეს წვეულებაზე. ორჯერ წავედი. ერთი და იგივე კაბა მეცვა ორჯერვე, ძველი და მოდიდან გამოსული. გამსახურდიებთან სტუმარი ახალგაზრდა გოგონები — **თამრიკო გამსახურდიას** და ზვიადის პირველი მეუღლის **დალი ლოლუას** მეგობრები — ძალიან კარგად ჩაცმულები იყვნენ, იყო ბრილიანტის საყურეების და ბეჭდების ციმციმი. ასეთ რამეებს საერთოდ ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ იმ სიტუაციაში ძალიან დამცირებულად ვიგრძენი თავი და მესამედ რომ დაგვპატიჟეს, მერაბს კატეგორიული უარი ვუთხარი წასვლაზე. მერაბმა მიზეზი მკითხა. მე ვუთხარი — ამ კაბის მეტი არა მაქვს, მესამედ კიდევ ამ კაბით ვერ წამოვალ-მეთქი. მერაბმა ვერაფრით გაიგო, რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას. მარწმუნა, რომ მე ყველგან და ყველა სიტუაციაში ყველაზე ლამაზი ვარ, როგორც არ უნდა მეცვას და რაც არ უნდა მეცვას. მერე, როცა მიხვდა, რომ წასვლაზე ვერ დამითანხმებდა, თვითონაც სახლში დარჩა).

1960 წელს ოლიკომ მე და მერაბი კისლოვოდსკში წაგვიყვანა დასასვენებლად. ამ დროს ფეხმძიმედ ვიყავი, ვჭირვეულობდი, უფრო ხშირად ახლა მე ვეჩხუბებოდი მერაბს.

უკვე მეხუთე კურსზე ვიყავი. იანვარში გამოცდები ჩავაბარე და დავიწყე დიპლომზე მუშაობა. დიპლომის ხელმძღვანელი **გიორგი ლომაძე** იყო. დიპლომი შემოქმედებითი ხასიათის იყო, სამი კვადრატული ფორმა უნდა შემესწავლა და ახალი ფორმულები მიმეღო. პროცესი ძალიან საინტერესო აღმოჩნდა. ორი კვირა თავაუღებლად ვმუშაობდი და შედეგები მივიღე.

დიპლომი გავაფორმე და გავამზადე. მარტში უნდა მემშობიარა და მინდოდა, ყველაფერი მზად მქონოდა, რომ უნივერსიტეტის დამთავრებაში ხელი არ შემშლოდა.

**1961 წლის 9 მარტს ჩემი ირაკლი დაიბადა. მე და მერაბს ორივეს ბიჭი გვინდოდა, სახელიც წინასწარ გვქონდა შერჩეული.** ირაკლის დაბადების დღე ყველაზე ბედნიერი იყო ჩემს ცხოვრებაში. **მერაბიც** ძალიან ბედნიერი იყო. გვიან ღამემდე ქუჩაში დადიოდა, ყველა ნაცნობს აჩერებდა და უყვებოდა, რომ ბიჭი შეეძინა.

ირაკლის გაზრდაში დედაჩემიც მეხმარებოდა და **ლუბა ბებიაც.** მაგრამ მაინც ძალიან მძიმე შრომა დამაწვა. ჯავახიშვილის ქუჩაზე ჩვენი ბინა ძალიან მოუწყობელი იყო, არც გათბობა გვქონდა, არც ცხელი წყალი. ოლიკო ხშირად მოდიოდა, მაგრამ დახმარებით თავს არ იწუხებდა **(ეკონომიურად გვეხმარებოდა — 40 მანეთს გვაძლევდა თვეში, ეს ძალიან ცოტა იყო, მაგრამ ბევრი არც თვითონ ოლიკოს და ვანოს ჰქონდათ, მათი ხელფასი ერთად 250 მანეთამდე იყო).**

სახელმწიფო გამოცდებიც ჩავაბარე და დიპლომი „წარჩინებით“ მივიღე. ასპირანტურაში ჩაბარებისთვის რეკომენდაცია მომცეს. ხელმძღვანელობა **გიორგი ლომაძემ** შემომთავაზა.

**გიორგი ლომაძე** რიცხვთა თეორიის სპეციალისტი იყო. უნივერსიტეტში მან წაგვიკითხა რიცხვთა თეორია და სპეცკურსსაც გვიტარებდა. საქართველოში რიცხვთა თეორიის სკოლას ფაშიზმის დროს გერმანიიდან გადმოხვეწილმა ებრაელმა პროფესორმა **ვალფიშმა** ჩაუყარა საფუძველი. **გიორგი ლომაძე, პლატონ კოღონია და ალექსანდრე ლურსმანაშვილი** მისი პირველი ასპირანტები იყვნენ. **გიორგი ლომაძეს** ერთი ასპირანტი უკვე ჰყავდა. მე მეორე ვიყავი. შემდეგ კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა **თემურ ვეფხვაძე, გურამ გოგიშვილი, ქეთევან შავგულიძე** გახდნენ ბატონი გოგის ასპირანტები და საქართველოში რიცხვთა თეორიის საკმაოდ სერიოზული სკოლა ჩამოყალიბდა.

●

ზაფხულში დედაჩემი ოზურგეთში წავიდა. ოლიკოს სამსახურიდან წყნეთში ბინა მისცეს და მერაბი, ირაკლი და მე იქ წავედით. **მე და მერაბს ურთიერთობა ისევ გაგვიფუჭდა. მერაბი ისევ სვამდა, ისევ მეჩხუბებოდა. მძიმე ჯაფისგან და განუწყვეტელი ეკონომიური გაჭირვებისგან მეც გაღიზიანებული ვიყავი.** ირაკლი ავად გახდა, მე ასპირანტურაში გამოცდები მქონდა ჩასაბარებელი და სამეცადინოდ დაჯდომას ერთი წუთითაც ვერ ვახერხებდი. **ოლიკო ბავშვის მოვლაში კატეგორიულად არ მეხმარებოდა. ამ სიტუაციაში მერაბმა გამოაცხადა, მე სოხუმში უნდა წავიდეო და წავიდა კიდეც.** დედაჩემს დავურეკე და ჩამოვიდა წყნეთში. **ბივი გოგუაძეს** ჰქონდა წყნეთში აგარაკი. მისი ოჯახი უკვე თბილისში დაბრუნდა და იმათ აგარაკზე გადავედით საცხოვრებლად. ცოტათი ამოვისუნთქე. მეცადინეობა დავიწყე, ასპირანტურაში ჩავაბარე.

წყნეთში აცივდა. თბილისში სიარული გაძნელდა და ქალაქში ბინის ძებნა დავიწყეთ. არავის უნდოდა, პატარა ბავშვის პატრონისთვის ბინა მიექირავებინა. ირაკლის და დედაჩემის ოზურგეთში წასვლა არ შეიძლებოდა. ბავშვს ძუძუს ვაწოვებდი. ორი სომეხი ქალბატონის ოჯახში, სამოთახიან ბინაში ერთი ოთახი, როგორც იქნა, დავიქირავეთ. ძალიან მძიმე ხალხი აღმოჩნდა. ყოველ ნაბიჯს გვიკონტროლებდნენ. სამზარეულოში და აბაზანაში ყოველ შესვლას გვითვლიდნენ. ერთი თვის შემდეგ ცოტა უკეთესი ბინა ვიშოვეთ და იქ გადავედით. **მალე მერაბი გამოჩნდა. ისევ დაპირებები, ისევ თხოვნა და ხვეწნა და დედაჩემის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ისევ შევრიგდით.**

ეს პერიოდი პოლიტიკაში ოდნავ მუხრუჭების მოშვებით ხასიათდებოდა. **გადასახლებიდან დაბრუნდნენ ყოფილი პოლიტიკური პატიმრები, რომლებიც დახვრეტას ან სიკვდილს გადაურჩნენ. დავიწყე მამაჩემის ბედის დადგენა. მივწერე საბჭოთა კავშირის გენერალურ პროკურორს თხოვნით, ეცნობებინათ მამაჩემის ბედი. თუ გარდაცვლილი იყო, ნება მოეცათ, სამშობლოში ჩამომესვენებინა.** წერილი ბაშკირეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურას გადაეცა **(მამაჩემის ბოლო გასახლების ადგილი ხომ ქალაქი უფა იყო).** მომივიდა ასეთი პასუხი:

Справка о реабилитации

Дело по обвинению гражданина Беридзе Ивана Владимировича 1902 года рождения, до ареста работавшего счетоводом ЖАКТА и проживающего в городе Уфе, пересмотрено Президиумом Верховного суда Башкирской АССР 30 декабря 1962 года.

Постановление от 28 декабря 1937 года в отношении Беридзе Ивана Владимировича отменено и дело производством прекращено за отсутствием в его действиях состава преступления.

პასუხმა არ დამაკმაყოფილა. კვლავ მივწერე წერილი. ახლა უკვე ბაშკირეთის პროკურატურას იმავე თხოვნით. პასუხად საქართველოს უშიშროების კომიტეტში დამიბარეს. შემიყვანეს ვიღაც ჩინოსნის კაბინეტში (მგონი, პოლკოვნიკი იყო), მას ხელში ქაღალდი ეჭირა. წამიკითხა. **ბაშკირეთის გენერალური პროკურორი მაცნობებდა, რომ მამაჩემი 1942 წელს თირკმლების ანთებით გარდაიცვალა.** გავქვავდი. „საფლავი?“ — ვიკითხე. „ხომ იცით, მაშინ საფლავისათვის არავის ეცალა, ომი იყო და საძმო საფლავებში ასაფლავებდნენ“ და გაიღიმა **(მაშინ მომეჩვენა, რომ ცინიკურად გაიღიმა, ახლა ვხვდები, რომ თავს უხერხულად გრძნობდა და ამ უხერხულობისგან გაიღიმა).** „ესე იგი, — დავაკონკრეტე მე, — რამდენიმე ათეული ან ასეული ადამიანი დახვრიტეს და მერე საძმო საფლავში ჩაფლეს, არა?“ პოლკოვნიკმა უხერხულად აიჩეჩა მხრები, თავი ასწია და ზევით აიხედა: **„რას იზამთ, დრო იყო ასეთი“.** ფეხზე ძლივს ავდექი, მინდოდა, მეტირა, მეყვირა, მაგრამ ამ შენობაში ამ კაცს, რომელიც ამ საშინელი სისტემის ნაწილი იყო, არ უნდა დაენახა ჩემი განწირულება. თავი ვაიძულე, მშვიდად გამოვსულიყავი. გარეთ **მერაბი** მელოდებოდა. **ალექსანდროვის ბაღში შევედით და დიდხანს, დიდხანს მდუღარე ცრემლებით დავტიროდი მამას, რომელიც არასოდეს მინახავს, რომელსაც არასოდეს გაუგია ჩემი არსებობა, 40 წელი იცოცხლა და აქედან 14 წელი ციხესა და გადასახლებაში გაატარა.**

სახლში, კედელზე მამაჩემის სურათი მიკიდია. ძალიან ლამაზი კაცია. ეტყობა „ნიშანი რასსის“, როგორც გრიგოლ რობაქიძე ამბობდა. ძალიან გონიერი და ძალიან ნაღვლიანი გამოხედვა აქვს. **სურათს რომ დახედავთ, აუცილებლად მიხვდებით, ასეთი კაცი უნდა დაეხვრიტათ. ასეთების ადგილი იმ საშინელ სისტემაში არ იყო.**

მე და მერაბმა გადავწყვიტეთ, არაფერი გვეთქვა დედაჩემისა და ჩემი მამიდებისთვის. მათ სჯეროდათ, რომ მამაჩემი ცოცხალია და იმედის ნაპერწკალს იტოვებდნენ, რომ ის როდისმე დაბრუნდებოდა.

**დედაჩემს მერაბი სიცოცხლის ბოლომდე დიდ პატივს სცემდა და საშინლად არ უნდოდა, გაეგო, რა ხდებოდა ჩვენ შორის!**

გაგრძელება შემდეგ ნომერში

**გასულ წელს საქართველოს ოთხ დიდ ქალაქში ავტომობილების ხილულ გამონაბოლქვზე შემოწმება დაიწყო. „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შეტანილი ცვლილებების თანახმად, იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომლის გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებების შემადგენლობა დადგენილ ნორმას არ შეესაბამება, იწვევს სატრანსპორტო საშუალების მძღოლის დაჯარიმებას საკმაოდ სოლიდური თანხით. ბენზინისძრავიანი ავტომობილების ელექტრო ან ჰიბრიდულ ძრავაზე მომუშავე მანქანებით ჩანაცვლება ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებას უზრუნველყოფს, თუმცა, საქართველოში შემოყვანილი მეორადი ჰიბრიდული ავტომობილების პრობლემას ბატარეების რესურსი წარმოადგენს, რაც მძიმე ტვირთად აწვება ავტომობილის მფლობელს. რა უნდა ვიცოდეთ ჰიბრიდული ავტომობილების შესახებ, როგორ მოვუაროთ ბატარეებს და რომელი მოდელია ყველაზე გამძლე? — აღნიშნული საკითხების შესახებ გამომგონებელი, ელექტროქიმიური ტექნოლოგიების სპეციალისტი ალექსანდრე მაისურაძე გვესაუბრება:**



„ჩვენ გამოვიგონეთ სისტემა, რომლითაც ხდება განახლებული ბატარეების ხარისხის უტყუარი შემოწმება!“

BATAREEBI.GE
WWW.batareebi.ge info@batareebi.ge
+995 551 877 177
თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის მეორე შესახვევი

## ალექსანდრე მაისურაძე:

# ყველაზე სუსტი ჰიბრიდული სისტემა TOYOTA AQUA-ს და PRIUS C-ს აქვს!

— სანამ ავტომობილის შეძენას გადაწყვეტთ, გამოიკვლიეთ თქვენთვის საინტერესო ჰიბრიდული მოდელის სერვისის ხარჯები. თანხის დაზოგვა ავტომობილის შეძენისას გამართლებული არ არის, რადგან მალევე იჩენს თავს ესა თუ ის პრობლემა, რომლის მოგვარება დიდ დროსა და ფინანსურ დანახარჯთან არის დაკავშირებული. მეორადი ჰიბრიდული ავტომობილის ყიდვის შემთხვევაში გირჩევთ, არჩევანი „ტოიოტაზე“ გააკეთოთ, რომელიც იყო პიონერი აღნიშნულ ტექნოლოგიაში 1997 წელს „პრიუსის“ დანერგვით.

**— რაში მდგომარეობს „ტოიოტას“ ჰიბრიდული მანქანების უპირატესობა სხვა მწარმოებლის ჰიბრიდებთან შედარებით?**

— „ტოიოტას“ ჰიბრიდულ მანქანებს, როგორც წესი, აქვთ რეგენერაციული დამუხრუჭების სისტემა, რა დროსაც წარმოქმნილი კინეტიკური ენერგია გარდაიქმნება ელექტროენერგიად და ინახება ჰიბრიდულ ბატარეაში. ეს ხელს უწყობს საერთო ენერგოეფექტურობას. „ტოიოტას“ ჰიბრიდულ მანქანებს ხშირად უწოდებენ „თვითდამმუხტავ ჰიბრიდებს“, რადგან მათ შეუძლიათ დატენონ საკუთარი ბატარეა ბენზინის ძრავისა და რეგენერაციული დამუხრუჭების კომბინაციით.

**— რამდენად უსაფრთხოა ჰიბრიდულ სისტემაში გამოყენებული ბატარეები ჩვენი ჯანმრთელობისათვის?**

— ტუტე ბატარეა, რომელიც გამოყენებულია ჰიბრიდებში, არის ყველაზე უსაფრთხო. სინამდვილეში, ჰიბრიდული მანქანები ბენზინზე მომუშავე მანქანებთან შედარებით დიდ სარგებელს გვთავაზობენ გარემოსდაცვითი კუთხით. ისინი ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოდ ითვლება და არ არსებობს არანაირი მტკიცებულება, რომ მგზავრებისათვის ან მოსახლეობისათვის ზიანის მომტანია.

**— როდის დაინტერესდით ჰიბრიდული სისტემის ბატარეების შესწავლით და რა სასარგებლო რჩევების გაზიარება შეგიძლიათ ჩვენი მკითხველისათვის?**

— მას შემდეგ, რაც საქართველოში დაიწყეს ჰიბრიდული ავტომანქანების შემოყვანა, ცხადია, გაჩნდა მაღალი მოთხოვნა მათ სერვისზე. სწორედ მაშინ დავინტერესდით ჰიბრიდული სისტემის დიაგნოსტიკით. ჩვენი გუნდის მიზანია, შევცვალოთ ბატარეების სერვისის ბაზრის მუშაობის სტილი საქართველოში. ვართ რაციონალურობის, ბალანსისა და გარემოს დაცვის მომხრეები და მრავალი წელია, ვმუშაობთ, როგორც ქართული ტექნოლოგიური ჯგუფის „კოლჰიტეკის“ ნაწილი, რომელმაც უკვე დანერგა ტექნოლოგიური სიახლეები საქართველოში. ჩვენ ვთანამშრომლობთ სტოკჰოლმის უნივერსიტეტთან და ვცდილობთ, წარმატებული ტექნოლოგიები დავნერგოთ ჩვეულებრივი მომხმარებლების ყოველდღიურ ცხოვრებაში. **სამწუხაროდ, ჰიბრიდების მფლობელებმა არ იციან, რომ საქართველოში მანქანის ჩამოყვანის შემდეგ აუცილებლად უნდა შეამოწმონ და დამუხტონ ბატარეები, რათა არ დაზარალდნენ.**

როგორც ძრავში ზეთის გამოცვლა არის საჭირო, ისევე საჭიროა ბატარეების პერიოდული მოწესრიგება, სპეციალური ალგორითმით გასწორება. აღნიშნულ მომსახურებას ამ ეტაპზე მხოლოდ ჩვენი ორგანიზაცია სთავაზობს მომხმარებელს.

**— რაში მდგომარეობს ჰიბრიდული ავტომობილების ბატარეების სწორი მოვლის საიდუმლო?**

— ჰიბრიდულ სისტემას ყველაზე მეტად არ მოსწონს სიცხე, აქედან გამომდინარე, იაპონელებმა ბატარეებს დაუყენეს ქულერი, რომელიც მათ მუდმივ გაგრილებაზეა პასუხისმგებელი. საქართველოში ქულერის სერვისს თითქმის არავინ აქცევს ყურადღებას. სინამდვილეში, ბატარეების სიცოცხლისუნარიანობის საიდუმლო სწორედ მის გაწმენდაში მდგომარეობს. როგორც კი ქულერი მტვრით გაივსება, ის აზიანებს ჰიბრიდულ სისტემას. ქულერის გაწმენდა 20-30 ლარი ღირს, ხოლო დაზიანებული ბატარეების შეცვლა ხშირად 500-დან 1000 ლარამდე ჯდება. ასევე აუცილებელია 6 თვეში ერთხელ ალგორითმის გასწორება. ამ ეტაპზე ტუტე ბატარეებზე მომუშავე ჰიბრიდული მანქანები საკმაოდ გამძლე და გამოცდილია. უბრალოდ, საჭიროა სწორი დიაგნოსტიკა. ზოგჯერ შესაცვლელია 5-6 ბატარეა, თუმცა, ავტომფლობელი ცვლის მხოლოდ 2-3 ცალს, რომელიც ყველაზე უარეს მდგომარეობაშია. ასეთ შემთხვევაში 2-3 თვეში კიდევ უფრო მეტი ბატარეა ზიანდება და ხარჯი ორმაგდება. ასევე აღსანიშნავია, რომ ბალანსირების გარეშე ბატარეების გამოცვლას აზრი არა აქვს.





**— რამდენად სანდოა მეორადი ბატარეა, რომლითაც ხდება ძველი ბატარეების ჩანაცვლება და როგორ დავიცვათ თავი მოტყუებისაგან?**

— ახალი ბატარეა დაახლოებით 100 დოლარი ღირს. ამიტომ არავინ მოგატყუოთ, რომ თქვენს ძველ ბატარეას ახლით ჩაგინაცვლებენ. ყველა სერვისში ისევ განახლებულ ბატარეებს აყენებენ. **ჩვენ გამოვიგონეთ სისტემა, რომლითაც ხდება განახლებული ბატარეების ხარისხის უტყუარი შემოწმება.** www.batareebi.ge არის საიტი, სადაც დეტალურად შეგიძლიათ, გაეცნოთ ინფორმაციას ჩვენი გამოგონებების შესახებ. ჩვენ ვთავაზობთ ჰიბრიდის მეპატრონეებს სრულ სერვისს დროის დაკარგვის გარეშე. შევქმენით **ბატარეების სათადარიგო კომპლექტები,** რომელსაც ვუყენებთ ავტომობილს და დროულად ვუშვებთ. ვიტოვებთ დაზიანებულ სისტემას, ვუკეთებთ დიაგნოსტიკას, ვცვლით დაზიანებულ ბატარეებს, ვასწორებთ ალგორითმს და ვასუფთავებთ ქულერს. ამ მომსახურებას ძალიან დიდი დრო სჭირდება. **იცოდეთ, რომ მოტყუებული ხართ, თუკი ბატარეა უცებ გამოგიცვალეს.** ჰიბრიდულ სისტემაში დაზიანებული ბატარეების დიაგნოსტიკას, გამოცვლას და შემდეგ მის ალგორითმით ბალანსირებას 28 საათი სჭირდება. დღეს წარმოუდგენელია, ამდენი ხნის განმავლობაში ადამიანმა მანქანა სახელოსნოში დატოვოს. სწორედ უდროობის გამო ექმნებათ ამდენი პრობლემა ჰიბრიდის მფლობელებს და რამდენიმე თვეში ერთხელ უზარმაზარი ხარჯის გაღება უწევთ ბატარეების შესაცვლელად. რეალურად იმაზე მეტ თანხას ხარჯავენ, ვიდრე ეკონომიას აკეთებენ ნაკლები წვის ხარჯზე. **ბატარეების არასწორი და დაგვიანებული სერვისი დიდი ზარალის მომტანია.**





**— ყველაზე ხშირად რომელი მარკის ავტომობილებს სჭირდებათ ბატარეების შეცვლა და რომელია ამ მხრივ ყველაზე გამომდგარი მოდელები?**

— ჩვენი ორგანიზაცია მხოლოდ Toyota-ს ფირმის მოდელებს ემსახურება. ყველაზე გამომდგარი მოდელი ამ ფირმის ჰიბრიდებს შორის არის Camry-ის ჰიბრიდი. ძალიან გამძლეა RAV 4-ის ჰიბრიდი, ხოლო ყველაზე სუსტი ჰიბრიდული სისტემა Toyota AQUA-ს და Prius C-ს აქვთ. ზოგადად, საქართველოში ამ კუთხით ცოდნის დონე ძალიან დაბალია. მომხმარებლებმა არ იციან, რომ ჰიბრიდულ სისტემას აფუჭებს ჭუჭყიანი ქულერი. ამიტომ პასუხი მარტივია, **ყველაზე ხშირად ბატარეები უფუჭდებათ იმ ავტომობილებს, რომელთაც ყველაზე ჭუჭყიანი ქულერი აქვთ!**

„სწორი დიაგნოსტიკა, ბატარეების ბალანსირება, ქულერის გაწმენდა თქვენი ჰიბრიდის ეკონომიურობას უზრუნველყოფს და ბატარეების გაფუჭებისგან დაგიცავთ!“

*ესაუბრა*
***მეგი საჯაია***



# მიხეილ ცაგარელი:

# ასტროლოგია და ავტომობილის მართვა

*— რატომ არის იოლი გზებზე ქალწულის ნიშნით დაბადებული მძღოლის შემჩნევა, რით გამოირჩევა? რას ვერ პატიობს, რას შეამჩნევს უმალ და ვის აუვლის გვერდს ანდა როგორ გზებზე და კლიმატურ პირობებში ეკრძალება საჭის მართვა? სასწორი-მძღოლი მუდმივად რას ცდილობს და რა არის მისთვის მნიშვნელოვანი? რა შემთხვევაში დაუშვებს შეცდომას და როგორი განწყობისას უნდა ერიდოს ავტომობილის მართვას? ღრიანკალი-მძღოლი სადამდე შეიძლება მიიყვანოს სურვილმა და მცდელობამ, იცოდეს ყველაფერი ყველაფრის შესახებ? მას რისი უნარი გააჩნია ანდა რას არ უნდა ელოდეთ მისგან? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

**— განვაგრძოთ საუბარი ავტომობილის მართვის იმ თავისებურებების შესახებ, რომლითაც ხასიათდებიან, ზოგადად, ზოდიაქოს ამა თუ იმ ნიშნის წარმომადგენლები. ამ თვალსაზრისით, რით გამოირჩევიან ქალწულის ნიშნით დაბადებული მძღოლები?**

— 6. **ქალწული-მძღოლის გზაზე შემჩნევა საკმაოდ ადვილია, იქნება იგი ქალი თუ კაცი, რადგან მეტად კორექტულია, ნელა მოძრაობს და, ხშირ შემთხვევაში, სხვა მძღოლებზე მზრუნველი ზრუნავს.** მას განმარტოებით მოძრაობა არ უყვარს, ამიტომ ცდილობს, ავტომობილების ჯგუფს შეუერთდეს. თუმცა, არც მანქანების დიდი ინტენსივობა და მჭიდრო ნაკადში მოძრაობა მოსწონს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ **ქალწული-მძღოლი** თავის მოწონებას არ ცდილობს და საკმაოდ სპეციფიკურად მართავს საჭეს, რაც ხშირად სხვებისთვის გაუგებარია, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მისი ტარების მანერა ძალიან უსაფრთხოა და თავმდაბლურიც, რადგან თვლის, რომ ჯირითისთვის არ არის დაბადებული. თუმცა, სინამდვილეში ეს ასე სულაც არ არის. იგი თავად შეცდომებს იშვიათად უშვებს და ხარვეზს არც სხვებს პატიობს. მას არ უყვარს ზარმაცი, ზანტი, არაკორექტული და, მითუმეტეს, უხეში, უზრდელი, არამოაზროვნე მძღოლი, ამიტომ ასეთის შემჩნევისას ცდილობს, მალევე გვერდი აუაროს. **გარდა ამისა, ქალწული-მძღოლი სხვის ცრუ მანევრს ადვილად ამჩნევს და აუცილებელ მანიპულაციებს დროულად ახორციელებს.** ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იგი თავის ავტომობილს კარგად უვლის. მის მოწესრიგებასა და დასუფთავებაზე საკმაოდ ბევრ დროს ხარჯავს და რაც არ უნდა დაღლილი დაბრუნდეს, ფარეხში დასვრილ მანქანას არ დააყენებს. აქვე საჭიროა, ითქვას ისიც, რომ **ქალწულის ნიშნით დაბადებული მძღოლისთვის მოყინულ გზებზე, თიხნარებზე და ძლიერი ნისლის პირობებში მოძრაობა რეკომენდებული არ არის.**

7. **სასწორ-მძღოლს რაც შეეხება, იგი გზებზე მუდმივად ბალანსირებს, რათა წონასწორობა შეინარჩუნოს, არც გარისკოს და კომფორტულად, უსაფრთხოდ იმოძრაოს. ეს საკმაოდ კარგად გამოსდის, რამეთუ ერთდროულად შეუძლია მშვიდად აზროვნებაც და მანქანების დიდ ნაკადში მოძრაობაც. სასწორი-მძღოლი** თუ მოახერხებს გონებისა და ემოციების დაბალანსებას, მაშინ მის გვერდით მოძრაობა სიამოვნებად იქცევა. **იგი არავის ადანაშაულებს და ცდილობს, ნებისმიერი რთული თუ კონფლიქტური სიტუაცია მშვიდად, დიპლომატიურად განიხილოს.** გზებზე მოძრაობისას გადაწყვეტილების მიღებამდე შეეცდება, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია შეაგროვოს მძღოლებისგან, საგზაო ნიშნებისა და სხვადასხვა მინიშნების მეშვეობით, რათა თავი უფრო დაცულად იგრძნოს. **მისთვის მოძრაობისას მნიშვნელოვანია ბალანსი და სილამაზე. თუ შინაგან ჰარმონიას ვერ მოიძიებს და დაძაბული, გაღიზიანებული, უკმაყოფილო ან გაწერვიულებულია, შეიძლება შეცდომები დაუშვას, რაც უმალ შეიჩნევა, ამიტომ თუ სასწორის ნიშნით დაბადებული გზებზე მოძრაობისას თავს არაკომფორტულად, დაძაბულად გრძნობს, სჯობს, დროებით მაინც უარი თქვას ავტომობილის მართვაზე, რათა ეს მის ჯანმრთელობაზე ცუდად არ აისახოს.**

8. **ღრიანკალი-მძღოლი კი ყოველთვის ცდილობს, იცოდეს ყველაფერი ყველაფრის შესახებ, რათა ნებისმიერი ქმედება ზედმიწევნით ზუსტად შეასრულოს. იგი მშვიდად მოძრაობს, თუმცა, მოულოდნელად ძალუძს რაიმე ისეთი მანევრის ჩატარება, რომელსაც არავინ ელოდება. ზოგჯერ კი ისე ყურადღებით აკვირდება სხვა მძღოლის მანიპულაციას, ფანდსა თუ შეცდომას, რომ თავად ავარიულ სიტუაციაში შეიძლება აღმოჩნდეს. ღრიანკალს** სწამს თავისი ნიჭისა და შესაძლებლობების, ამიტომ მხოლოდ საკუთარი უნარებისა და გონებრივი მონაცემების სჯერა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მას ძალუძს, სხვა მძღოლის სულ რამდენიმე მანევრზე დაკვირვებით განსაზღვროს მოძრაობის კომფორტულობა ანდა სახიფათო სიტუაციის განვითარების ალბათობა თუ ტრაექტორია. მის თვალს არ გამოეპარება სხვა მძღოლის მანქანის ტარების მაღალი კლასი და ოსტატობა. **ღრიანკალი** კარგ მძღოლს სიამოვნებით გაუწევს დახმარებას, ხოლო არასასიამოვნოს იოლად მოიცილებს თავიდან, თუნდაც ყველა შესაძლო უხეში მეთოდით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იგი მძღოლის ამპლუაში საუკეთესო სტრატეგი და ტაქტიკოსია. ნორმალურ პირობებში მშვიდად მოქმედებს და ემოციებს არ ავლენს, მაგრამ თუკი ვინმე არაკორექტულად მოექცევა ან მის მანქანას ზიანს მიაყენებს, მისი პასუხი ძალიან მძაფრი და არასასიამოვნო იქნება და შესაძლოა, ჯანმრთელობაზეც აესახოს. **ღრიანკალს არასრულფასოვნების კომპლექსი არ აწუხებს, ამიტომ მისგან თავმდაბლობას ან დათმობას ნუ ელოდებით. გახსოვდეთ, რომ ღრიანკალი-მძღოლი გზებზე საკუთარი თავის ბატონ-პატრონია.**

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***



## 26 თებერვალი - 3 მარტის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
უამრავი საქმე გექნებათ, რომლებიც სწრაფ გადაწყვეტას მოითხოვენ. სამსახურში ხრიკების და ფარული ინტრიგის შემჩნევისას ინტუაციას მოუსმინეთ და არავის ეკონფლიქტოთ. მეგობრები ყოველმხრივ დაგეხმარებიან. თქვენი კარიერისა და პირადი ურთიერთობისთვის სასიკეთოა იმიჯისა და სტილის შეცვლა. მშვენიერ პერსპექტივას გპირდებათ უცხოელებთან თანამშრომლობა, ქველმოქმედება და ონლაინ-ბიზნესი.

**კურო** (21.04-20.05)
მიზნის მისაღწევად შესაძლოა, მოგიწიოთ სხვადასხვა წრისა და სტატუსის მქონე ბევრ ადამიანთან ურთიერთობა. გადაადგილება-მოგზაურობები საკმაოდ სასიკეთო შედეგს მოიტანს. მიუხედავად ამისა, ოჯახისა და ნათესავების გარემოცვაში ბევრ დროს გაატარებთ. კომფორტის მოთხოვნილება მოგემატებათ და შესაძლოა, სახლის კეთილმოწყობა გადაწყვიტოთ. მდგრადი ჯანმრთელობაც კი შრომისუნარიანობას გაზრდის.

**ტყუპი** (21.05-22.06)
ხალხმრავალ და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს მოერიდეთ და ფულიც ყაირათიანად ხარჯეთ. სახლში უცნობებს ნუ მიიპატიჟებთ და ამ კვირაში ბინის რემონტს ნუ დაიწყებთ. სულიერი და სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობა შეინარჩუნეთ. სასიყვარულო სფეროში გაუგებრობას ემოციურობის გამოვლენის გარეშე ადვილად მოაგვარებთ. ჯანმრთელობის გაუარესებამ კი შესაძლოა, გადაადგილებასა და მოგზაურობაში ხელი შეგიშალოთ.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
ზედმეტად მომთხოვნი ნუ იქნებით, ნაჩქარევი გადაწყვეტილებებისგან თავი შეიკავეთ და მიღებული ინფორმაციაც შეამოწმეთ. საქმისადმი კონსერვატიული მიდგომა და მშვიდი მუშაობა წარმატებას მოგიტანთ. დახმარებას კი ასაკით უმცროსები გაგიწევენ. მდგრადი ჯანმრთელობა და დადებითი განწყობა ურთიერთობებისას ხელს შეგიწყობთ. მოგზაურობებიც სასიკეთოდ ჩაივლის.

**ლომი** (23.07-23.08)
ენერგეტიკული მაჩვენებელი დაქვეითებულია, რაც შესაძლოა, აისახოს მუშაობის ხარისხსა და ჯანმრთელობაზეც. მიღებული ინფორმაციის დამუშავება გაგიჭირდებათ, რაც სამსახურში პრობლემის მიზეზი შეიძლება გახდეს, ამიტომ ინფორმაციებს შემოწმების გარეშე ნუ გამოიყენებთ. მითუფრო თუ ეს პირად ან სასიყვარულო ურთიერთობას ეხება. კარგი პერიოდია ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსაკვლევად და კომპლექსური მკურნალობის დასაწყებად.

**ქალწული** (24.08-23.09)
მდგრადი ჯანმრთელობა აქტიურ მუშაობაში ხელს შეგიწყობთ. კარგი პერიოდია ახალი კავშირების დასამყარებლად, ახალი იდეების დასამუშავებლად და ცოდნის მისაღებად. საქმიან შემოთავაზებებსაც უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. შემოსავლის გასაზრდელად აუცილებელია კონტაქტებისა და კომუნიკაციის გაზრდაც. შესაძლოა, მეგობრული კავშირი სასიყვარულოში გადაიზარდოს ანდა პირიქით. ნებისმიერ შემთხვევაში ჭეშმარიტი გრძნობის დამალვა მიზანშეწონილი არ იქნება.

## 26 თებერვალი - 3 მარტის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
გულახდილობის მიუხედავად, გარშემო მყოფებს თქვენი გაგება გაუჭირდებათ. გადაღლა და ნერვიულობა ჯანმრთელობაზე, განწყობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე ცუდად იმოქმედებს. შემოსავლის გასაზრდელად სასურველია რაიმე ახალი და ინოვაციური საქმის წამოწყება. შეხვედრებისას შესაძლოა, ახალი ადამიანით მოიხიბლოთ. მოგზაურობა კი სირთულეს დაუკავშირდება.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
გარშემო მყოფებთან ურთიერთობა დადებითად აისახება თქვენს კარიერასა და პროფესიულ საქმიანობაზე. ოჯახში სიმშვიდის უზრუნველსაყოფად ხშირად უნდა შეეხმიანოთ ოჯახის წევრებსა და ნათესავებს და საჭიროებისას დახმარებაც უნდა გაუწიოთ. ფინანსურ საკითხთა მოგვარებისას ფარულ საქმეებსა და ინტრიგას მოერიდეთ. გადაღლას კი ადვილად გაანეიტრალებთ ქალაქგარეთ ბუნების წიაღში სეირნობით ანდა დასასვენებლად გამგზავრებით.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
რთული სიტუაციების რიცხვი იმატებს, ამიტომ შეეცადეთ, ემოციებს არ აჰყვეთ. ცვლილებები მოსალოდნელია, როგორც პირად ცხოვრებაში, ისე საქმეში. გაუგებრობა ოჯახში სერიოზული გადაწყვეტილების მიღებაზე დაგაფიქრებთ. შესაძლოა, საცხოვრებელი ადგილი შეიცვალოთ. ამ პერიოდში ძლიერი მედიკამენტებისა და ალკოჰოლის მიღებას მოერიდეთ. კარგი დროა გამოსაჯანმრთელებელი პროცედურების ჩასატარებლად. შორეული მოგზაურობა კი ჯობს, გადადოთ.

**თხის რქა** (22.12-19.01)
საერთო საქმისა და პარტნიორთა ინტერესის დაცვა ავტორიტეტს შეგმატებთ. ეცადეთ, შინაგანი დაძაბულობა და დაუნდობლობა დაძლიოთ. მოქნილობა და დიპლომატიურობა გამოავლინეთ, რათა ირგვლივ სიმშვიდე შეინარჩუნოთ. მნიშვნელოვანი საბუთების გაფორმება და გადაწყვეტილებების მიღება კი გადადეთ. მეგობრული ურთიერთობა შესაძლოა, სასიყვარულოში გადაიზარდოს. გადაადგილებები და ახლო მანძილზე მოგზაურობა, რომანტიკულ განწყობას გაგიძლიერებთ.

**მერწყული** (20.01-18.02)
შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყარო აღმოაჩინოთ, რაც თავდაჯერებას გაგიძლიერებთ. ახლობლები და მეგობრები დიდ როლს ითამაშებენ თქვენ ცხოვრებაში, თუმცა, მათ ურთიერთობებში ნუ ჩაერევით და პროვოკაციასაც ნუ აჰყვებით, რათა ნერვიულობამ ჯანმრთელობაზე ცუდად არ იმოქმედოს. გარკვეულ გამოცდას მოუწყობთ თქვენს სასიყვარულო ურთიერთობას.

**თევზები** (19.02-20.03)
ენერგიული იქნებით. გონებამახვილობა მოგემატებათ. ორგანიზატორული თვისებებიც გამახვილდება. შესაძლოა, შემოსავალმაც იმატოს. გაგიადვილდებათ მხარდამჭერის მოპოვება. სახლის დიზაინის განახლება და რაიმეს შეძენა ოჯახში სიტუაციას გააუმჯობესებს, გზებზე გადაადგილებისას კი ნუ გარისკავთ და სიფრთხილე გამოავლინეთ. სასიყვარულო სფეროში მნიშვნელოვან ცვლილებებს ნუ ელით.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია
## 26, 28, 29 თებერვალი და 3 მარტი

**24 თებერვალი – სავსემთვარეობა;**
**10 მარტი – ახალმთვარეობა.**



# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 26 თებერვალი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.42 საათზე, ჩადის 17.47 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (18.22) სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 19.41 საათზე, ჩადის 27 თებერვალს 07.37 საათზე (მთვარის მე-18 დღე იწყება 21.15 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 11.37 საათიდან 18.31 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** სულიერი ენერგიის დაგროვების დღეა. ამავდროულად, იყავით ყურადღებით. მაღალია კონფლიქტის, ტრავმის, ავარიის ალბათობა. ნუ გამოავლენთ სიამაყესა და ამპარტავნობას, აგრესიულობა დაიოკეთ, წვრილმანებს ნუ ჩაეძიებით. კარგი დღეა საფინანსო-საბანკო ოპერაციებისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, აუდიტისთვის, საბუთების გასაფორმებლად. არ არის სასურველი სარისკო ქმედება, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ყელი, თირკმლები. **ქვები:** მწვანე და ყვითელი იასპი, მალაქიტი. **საღამოს** — ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის.

## 27 თებერვალი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.40 საათზე, ჩადის 17.48 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 20.41 საათზე, ჩადის 28 თებერვალს 07.54 საათზე (მთვარის მე-19 დღე იწყება 22.30 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 22.23 საათიდან 23.59 საათამდე. **ტენდენციები:** კარგი დღეა აქტიური ადამიანისთვის, სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, შემოქმედებისთვის, ხელის სათხოვნელად და ქორწინებისთვის, საყიდლებისთვის, ექიმთან კონსულტაციისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის. შედეგიანია თირკმლების, ღვიძლისა და შარდსასქესო სისტემის მკურნალობა. არ არის სასურველი ბევრი სითხის მიღება, საბანკო-საფინანსო ოპერაციები. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თირკმლები, ყელი, ენდოკრინული სისტემა, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ფირუზი, საფირონი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის.

## 28 თებერვალი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.39 საათზე, ჩადის 17.49 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 21.43 საათზე, ჩადის 29 თებერვალს 08.13 საათზე (მთვარის მე-20 დღე იწყება 23.47 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 00.00 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** რთული და დაძაბული დღეა. მოვლენები სერიოზულობას ითხოვენ. შესაძლოა, სხვის დაგებულ მახეში გაებათ, ინტრიგის მსხვერპლი გახდეთ. არ არის სასურველი ზედმეტი სითხის, გაზიანი სასმელების, ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მიღება, საფინანსო ოპერაციები. შედეგიანია კბილების მკურნალობა, კოსმეტიკური პროცედურები. კარგი დღეა ქორწინებისთვის, თანამშრომლობისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ავეჯის, მუსიკალური აპარატურის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, აქსესუარის, პარფიუმერია-კოსმეტიკის შესაძენად, შემოქმედებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თირკმლები, ენდოკრინული სისტემა, ყელი, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, აკვამარინი, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 29 თებერვალი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.37 საათზე, ჩადის 17.51 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (06.58) ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 22.47 საათზე, ჩადის 1 მარტს 08.33 საათზე (მთვარის მე-20 დღე გრძელდება. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 00.00 საათიდან 07.10 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** კარგი დღეა შეხვედრებისთვის, ახალი ნაცნობობისთვის, მასობრივი ღონისძიებებისთვის, რეცხვისა და ქიმწმენდისთვის, ტექნიკის შესაძენად, დამცავი სასიგნალო სისტემის გასაკეთებლად, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, ანტიკვარიატის, ცხოველების შესაძენად, საგამოძიებო საქმიანობისთვის, მასაჟისა და კოსმეტიკური პროცედურებისთვის. არ არის სასურველი ინტიმური კონტაქტები, სხივური თერაპია, ახალი საქმის დაწყება, მგზავრობა, ბინის შეცვლა, სოცუზრუნველყოფისა და სადაზღვევო ორგანიზაციებთან ურთიერთობა. შედეგიანია ყელ-ყურ-ცხვირის მკურნალობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, ობსიდიანი, ქრიზოპრაზი, იასპი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, მერწყულისთვის.

## 1 მარტი, პარასკევი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.35 საათზე, ჩადის 17.52 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 23.53 საათზე, ჩადის 2 მარტს 08.55 საათზე (მთვარის 21-ე დღე იწყება 01.07 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** კარგი დღეა ახალ-ახალი შეხვედრებისა და გაცნობისთვის. კოლექტიური თანამშრომლობისთვის, მასობრივი ღონისძიებისთვის, კონფიდენციალური მოლაპარაკებისთვის, გეგმების დასახვისთვის, თვითშემეცნებისთვის, ავტომობილის ყიდვა-გაყიდვისთვის. ეფექტურია ყელ-ყურ-ცხვირის, ენდოკრინული სისტემის მკურნალობა. ურთიერთობისას ინტუიცია და გამჭრიახობა დაგეხმარებათ სწორ არჩევანში. არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, თანამშრომლის სამსახურში მიღება, სესხის აღება-გაცემა, მგზავრობა, ბინის შეცვლა, სხივური თერაპია, სოცუზრუნველყოფისა და სადაზღვევო ორგანიზაციებთან ურთიერთობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ობსიდიანი, ტოპაზი, ოპალი, ონიქსი, იასპი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის.

## 2 მარტი, შაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.34 საათზე, ჩადის 17.53 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (17.48) მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 23.53 საათზე, ჩადის 3 მარტს 09.23 საათზე (მთვარის 22-ე დღე იწყება 02.32 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 11.49 საათიდან 17.57 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს მაღალია ფინანსური სიურპრიზებისა და სასიყვარულო კონფლიქტების ალბათობა, მოვლენების სწორად განჭვრეტაში ინტუიცია დაიხმარეთ. კარგი დღეა თვითშემეცნებისთვის, კომპეტენტურობის გამოსავლენად, სამეცნიერო კვლევისთვის, მასაჟისა და კოსმეტიკური პროცედურებისთვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, რეცხვისა და რემონტისთვის, ანტიკვარიატისა და ცხოველების შესაძენად. არ არის სასურველი მგზავრობა, ბინის შეცვლა, სესხის აღება, სხივური თერაპია, ინტიმური კონტაქტები, სოცუზრუნველყოფისა და სადაზღვევო ორგანიზაციებთან ურთიერთობა, ნოტარიუსთან საბუთის გაფორმება, სასიკეთოა მეტი მოძრაობა. ეფექტურია ზედა სასუნთქი გზების მკურნალობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, ობსიდიანი, იასპი, ფირუზი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის. **ნეგატიურია** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 3 მარტი , კვირა

**მზე** მყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.32 საათზე, ჩადის 17.54 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 01.01 საათზე, ჩადის 09.58 საათზე (მთვარის 23-ე დღე იწყება 03.59 საათზე. მე-4 ფაზა იწყება 19.25 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს გაუფრთხილდით მატერიალურ ფასეულობებს და ასევე ახლობლების სულიერი სიმშვიდეც დაიცავით. გაიაზრეთ წარსული. არ არის სასურველი განმარტოება, სისხლის გადასხმა, მშენებლობა, სარკაზმი და ამპარტავნობა. სასიკეთოა სუნთქვითი ვარჯიშები, მასაჟი. კარგი დღეა მგზავრობისთვის, ტურისტული ლაშქრობისთვის, უცხოელებთან კონტაქტებისთვის, სპორტული ღონისძიებებისთვის და ვარჯიშისთვის, საზოგადოებრივი აქტიურობისთვის, პრეზენტაციებისთვის, სულიერ-ინტელექტუალური განვითარებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, სერდოლიკი, საფირონი, იაგუნდი, ნეფრიტი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

# საეკლესიო კალენდარი



27 თებერვალი - ხსენება ღირსისა მღვდელ-მონაზონისა ილარიონ ქართველისა, ახლისა

✝ **26 თებერვალი. ორშაბათი.** ღირსისა მარტინიანე პალესტინელისა; ღირსისა ევლოგისა, ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსისა; ღირსისა სტეფანესი, ბეროზაში სვიმეონისა, სერბეთის მეფისა, მირონმდინარისა; მოციქულთა და მოწამეთა: აკვილასი და პრისკილასი; წმიდათა მოწამეთა მამისა და ძისა, ჯვარცმით აღსრულებულთა.

✝ **27 თებერვალი. სამშაბათი. ღირსისა მღვდელმონაზონისა ილარიონ ქართველისა, ახლისა; ღირსისა ავქსენტი განდეგილისა, სასწაულმოქმედისა;** ღირსისა მარონისა, სირიელი მეუდაბნოისა; აბრაამისა, კარიელი ეპისკოპოსისა; მოციქულთა სწორისა კირილესი, სლოვენთა მოძღვრისა; მღვდელმოწამისა ფილიმონისა, ღაზელი ეპისკოპოსისა; მოწამისა გიორგი მიტილენელისა, კონსტანტინოპოლს ვნებულისა; ღირსისა ავქსენტისი, კატირლიოსის მთაზე მოღვაწისა; ახალმოწამისა ნიკოლოზისა კორინთიის იხთისელისა; ღირსმოწამისა დამიანესი; მღვდელმოწამისა ნიკოლოზ ტრაპეზუნდელისა.

✝ **28 თებერვალი. ოთხშაბათი.** მოციქულისა ონისიმესი, 70-თაგანისა; ღირსისა ევსევისა, სირიელი მეუდაბნოისა; მოწამისა მაიორისა; მოწამისა იოანე თესალონიკელისა; ღირსისა ანთიმოზ ქიოსელისა.

✝ **29 თებერვალი. ხუთშაბათი.** მოწამეთა: პამფილე, უალენტი, პავლე, პორფირი, სელევკო, თეოდულე, ივლიანე და ხუთთა მეგვიპტელთა: ელიასი, იერემიასი, ესაიასი, სამოელისა და დანიელისი; მოწამეთა სპარსელთა მარტიროპოლს ვნებულთა და ღირსისა მარუთასი, მესოპოტამიელი ეპისკოპოსისა; ფლავიანე აღმსარებელისა, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა; მოწამისა ტანკოსი, ვერდენის ეპისკოპოსისა, შოტლანდიელისა.



1 მარტი - ხსენება დიდმოწამისა თეოდორე ტირონისა

✝ **1 მარტი. პარასკევი. დიდმოწამისა თეოდორე ტირონისა, ახლად სტრატიოტად განწესებულისა;** მღვდელმოწამისა თეოდორე აჭარელისა, მღვდელმონაზონისა, ოსმალთაგან წამებულისა; მართლისა მარიამნესი, მოციქულ ფილიპეს დისა; აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა მოწამისა მინა კალიკელადისა; მღვდელმოწამისა ერმოგენისა, რუსეთის პატრიარქისა, სასწაულმოქმედისა; ღირსისა თეოსტირიქტოსი; ავქსივი კვიპრელი ეპისკოპოსისა; კეთილმსახურთა მეფეთა მარკიანესი და პულხერიასი; ღირსისა რომანოზ ტირნოველისა; მოწამისა მიქაელ ანდრიანოპოლელისა; მოწამისა თეოდორე ბიზანტიელისა.



27 თებერვალი - ხსენება ღირსისა მარონისა, სირიელი მეუდაბნოისა

✝ **2 მარტი. შაბათი. ნიკოლოზისა, ყოვლისა საქართველოის კათალიკოს-პატრიარქისა;** ლეონ რომის პაპისა; აღაპიტო აღმსარებელისა, სვინაელი ეპისკოპოსისა, სასწაულმოქმედისა; ღირსისა პავლე კორინთელისა, ქრისტესთვის სალოსად სახელდებულისა; მოწამეთა ლეონისა და პარიგორისა, ლიკიის პატარში მოღვაწეთა; მოწამისა პიულისა.

✝ **3 მარტი. კვირა. უძღები შვილის კვირიაკე.** მოციქულთა: არქიპოსი და ფილიმონისა, 70-თაგანთა და მოწამისა, მოციქულთა სწორისა აპფიასი; წმიდათა პირველმოწამე ლაზთა: მაქსიმესი, თეოდოტისი, ევსუქისი და ასკლიპიდოსი; ღირსთა ევგენი და მაკარი აღმსარებელთა, ანტიოქიელ ხუცესთა; ღირსისა რაბულასი; ღირსისა კონონ კილიკიელისა; მოწამისა ფილოთეა ათენელისა.



3 მარტი - უძღები შვილის კვირიაკე

## ბერის რჩევები ერში მცხოვრებ ქრისტიანს

● მღვდელი ღვთის ანგელოზია, ამიტომ მეტი პატივი უნდა მივაგოთ, ვიდრე მშობლებს. ის ქრისტეს მსახურია დედამიწაზე და ვინც პატივისცემით ეპყრობა, ქრისტესაც პატივს სცემს.

● ბავშვობაში შეძენილი ჩვევები ნორჩ ხეზე ამოკვეთილი ასოებივითაა, ხესთან ერთად იზრდებიან, ფართოვდებიან და ბოლოს მის ნაწილად იქცევიან.

● ცეცხლზე შემოდგმულ ქოთანს ბუზი, ქვეწარმავალი და მწერი ვერ ეკარება. როცა გაგრილდება, მაშინღა ძვრებიან შიგ. ადამიანიც ასეა, ვიდრე სულიერ მოღვაწეობაშია, ბოროტისთვის მიუწვდომელია.

● როცა ვლოცულობთ, ყოველთვის წარმოვიდგენთ, რომ ღმერთი გვიყურებს და ჩვენი სიტყვები ესმის, მაგრამ, როცა ვნება მოგვეძალება, ისე ვიქცევით, თითქოს ვერ გვხედავს.



● სხვას ყველაფერი შეუნდე, საკუთარ თავს კი — არაფერი.

● ის, ვინც თავს იმართლებს, სინანულს განეშორა.

● თუ სული თავს დაიდანაშაულებს უფლის წინაშე, უფალი მას შეიყვარებს.

● შევიცნოთ საკუთარი თავი, დავინახოთ ჩვენი წყლულები, რათა წამალი მოვუძებნოთ.

## 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 4. ფედრა; 8. მოპედი; 11. კანიბალი; 12. ლეპრა; 13. ზაქრო; 14. კიროსი; 15. ბოროდინი; 16. ნაგაი; 17. კროლი; 18. ზენონი; 19. მელანომა; 23. მიტრა; 24. დიდი; 26. რიონი; 27. კალამბური; 29. სი; 31. როსტანი; 32. კიური; 34. ორიგინალი; 37. მაო; 38. ჟარგონი; 39. მწარე; 40. ტარანტინო; 42. ნოე; 43. რიფტი; 44. ტროსი; 45. დილიჟანსი; 49. სიქა; 51. მანია; 53. პინა; 55. მაკულატურა; 56. დოლჩე; 57. ტესტი; 58. პესო; 59. ტიროლი; 60. ლექსი; 61. ირიბი; 62. ექიმი; 63. ალენ.

**შვეულად:** 1. კაპონე; 2. ნიკორა; 3. შაპიტო; 4. ფიზიკა; 5. დოქტორი; 6. ალონიმი; 7. სპაგეტი; 8. მაკიზარი; 9. პარანგონი; 10. დესანტი; 19. მაკრო; 20. ლილვი; 21. ნემსი; 22. მოურავი; 24. დირიჟორი; 25. დისტროფია; 28. მაწონი; 29. სიმინდი; 30. კინეტიკა; 32. კომეტა; 33. ურანოსი; 35. რუანი; 36. გვადი; 41. ტბა; 45. დომენი; 46. ლოკალი; 47. ჟილეტი; 48. ნატურა; 49. სადილი; 50. ქალაქი; 51. მატიე; 52. ნესტი; 53. პეპია; 54. ნოსტე.

**მალაგაბანანიანგიომალოლიტანიაგარაჟირაფიასი**
**ბრავოკალიუმიაკიდონორისისინიორაგულივერისიო**

| ერთგვარი ღვინო | ტროპიკული ხილი | კეთილთვისებიანი სიმსივნე | ნაბოკოვის რომანი | ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში | გრძელკისერა ცხოველი | 10X10 |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ხერხემლის ძვალი** | **დოლჩე და ...** | **დიდი ქვეწარმავალი** | **სოფელი თუშეთში** | **საყოველთაო ლოცვა** | **რიაზანოვის ფილმი** | **აფრიკული პალმა** / **მე-7 ნოტი** |



თარაზულად: 4. ჟან რასინის დრამა; 8. გაუმჯობესებული მოტოველოსიპედი; 11. კაციჭამია, ველური; 12. კეთრი; 13. პერსონაჟი ი. ჭავჭავაძის პოემიდან „კაკო ყაჩაღი“; 14. სპარსეთის მეფე; 15. რუსი კომპოზიტორი; 16. იაპონელი მწერალი; 17. სპორტული ცურვის სახეობა; 18. ბერძენი ფილოსოფოსი; 19. კანის სიმსივნე; 23. მზის, სინათლის ღმერთი ძველი ირანის, ინდოეთის რელიგიაში; 24. ა. ანტონოვსკაია „... მოურავი“; 26. მდინარე დასავლეთ საქართველოში; 27. ერთგვარი სიტყვათა თამაში; 29. მე-7 ნოტი; 31. ფრანგი პოეტი და დრამატურგი; 32. რადიოაქტიურობის საზომი ერთეული; 34. დედანი; 37. ჩინელი ბელადი; 38. პირობითი ენა, რომელიც გასაგებია ადამიანთა გარკვეული ჯგუფისათვის; 39. წიწაკის გემო; 40. ამერიკელი მსახიობი და რეჟისორი კვენტინ ...; 42. ბიბლიური პერსონაჟი; 43. დედამიწის ქერქის ხაზისებრი ტექტონიკური სტრუქტურები; 44. გვარლი; 45. ცხენებიანი მრავალადგილიანი კარეტა; 49. ღონე, ძალა; 51. ძლიერი მიდრეკილება რაიმესადმი; 53. სასწორის თეფში; 55. უვარგისი ქაღალდი; 56. გაბანას მეწყვილე; 57. გამოცდა, გამოკვლევა (ინგლ.); 58. არგენტინის, კუბის ფულის ერთეული; 59. მხარე ავსტრიაში; 60. პოეტის ნაწარმოები; 61. დამრეცი; 62. მკურნალი; 63. ... დელონი.

შვეულად: 1. ამერიკელი განგსტერი; 2. ქართული ხორცპროდუქტების ფირმა; 3. მოძრავი ცირკი; 4. მეცნიერების ერთ-ერთი დარგი; 5. სამეცნიერო ხარისხი; 6. ფსევდონიმად გამოყენებული ვისიმე ნამდვილი სახელი; 7. იტალიური მაკარონი; 8. ფრანგი პარტიზანი; 9. უზადო ბრილიანტი; 10. ჯარების გადასხმა მოწინააღმდეგე ტერიტორიაზე; 19. რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილი, ნიშნავს დიდს; 20. მბრუნავი ღერო მექანიზმებში; 21. მკერავის იარაღი; 22. მემამულის ქონების გამგებელი; 24. ორკესტრის ხელმძღვანელი; 25. ორგანიზმის კვების დარღვევა; 28. მჟავედ შედედებული რძე; 29. მარცვლოვანი კულტურა; 30. თეორიული მექანიკის დარგი; 32. კუდიანი ვარსკვლავი; 33. კრონოსის მამა (ბერძნ, მით.); 35. ქალაქი საფრანგეთში; 36. ლეო ქიაჩელი — „... ბიგვა“; 41. ბუნებრივი წყალსატევი; 45. მეფის, ჰერცოგის პირადი საკუთრება მიწაზე დასავლეთ ევროპაში (ძვ.); 46. რესტორანი, კაფე გერმანიაში; 47. მამაკაცის მოკლე სამოსი, იცვამენ პიჯაკის, ფრაკის ქვეშ; 48. ბუნება (მოძვ.); 49. შუა დღის პურის ჭამა; 50. დიდი დასახლებული პუნქტი; 51. ფრანგი მომღერალი ქალი; 52. ტენი; 53. თამროს მამა („გლახის ნაამბობი“); 54. გ. სააკაძის მშობლიური სოფელი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| მოწონების შორისდებული | ქიმიური ელემენტი, მეტალი | მოკლედ აჭრილი ყურძნის რქა | მსახიობი ჩაკ ... | მიმართვა ქალისადმი იტალიაში | ჯონათან სვიფტის პერსონაჟი | ნიავი |
|---|---|---|---|---|---|---|
| **კედლის სანათი** | **მუსიკალური ნაწარმოების ხმით შესრულება** | **ესკიმოსების ნავი** | **სისხლის გამცემი** | **გველის ხმიანობა** | **თევზის სახეობა** | **... უზნის მელოდიები** / **ჰერას ქურუმი ქალი** |

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




**WWW.ASAVALI.COM**
**mail@asavali.com**

რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

2024 წლის 26 თებერვალი – 3 მარტი №10 (1528)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მედიაკორპორაცია "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**
**mail@asavali.com**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**
გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


